საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერთ ფასი:
მუშა-მოსამსახურეებისათვის, გლეხების წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება მეთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— შეტაკება პოლიციასა და სტუდენტებს შორის ვარშავაში.
— მუშათა და გლეხთა მთლიანობის კანდიდატების დაპატიმრება პოლონეთში.
— შეთქმულების აღმოჩენა კალკუტაში (ინდოეთი).
— ინგლისი ჰაეროდრომს აგებს ჰონკონგში (ჩინეთი).
— საკავშირო ცაკის მესამე სესია მოწვეულია 10 აპრილისათვის.
— გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველი ტირაჟი შესდგება ივნისში.

პარასკევი, 2 მარტი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 51 (2094)

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა
მარტისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

აუცილებელი ღონისძიებანი

ამას წინად გამოქვეყნებული გვქონდა შინაარსი საკავშირო მთავრობის დადგენილებისა, რომელიც ეხება ღონისძიებებს მომავალ თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. ამ კამპანიას დღეს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც ამჟამად დგანან ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე.

მოსახლეობის მომარაგება სურსათსანოვაგის საკმაო რაოდენობით, ტექნიკურ კულტურათა და მესაქონლეობის გაფართოება მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზის შესაქმნელად, ჩვენი საექსპორტო შესაძლებლობათა გადიდება, სასოფლო მეურნეობის გადაყვანა უფრო მაღალ ტექნიკურ საფუძველზე, დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია—ასეთია მთავარი ამოცანები, რომელთა განხორციელებას ხელი უნდა შეუწყოს თესვის კამპანიამ.

ჩვენი ხალხი საგრძნობლად იკვებება შემოზიდული პურეულით. ეს აიხსნება არა მარტო მცირემიწიანობით, რომელიც დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ არა ნაკლებ მიწის დამუშავების პრიმიტიული წესებით. აგრონომიული უცოდინარობა და გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მასალების სიმცირე იწვევენ მეტად დაბალ მოსავლიანობას გლეხის მიერ გაწეულ შრომასა და ხარჯებთან შედარებით.

ჩვენ უნდა მივაწოდოთ გლეხობას შერჩეული თესლეული, ხელოვნური სასუქი და ვასწავლოთ მათი გამოყენება. თავის დროზე უნდა მოვამარაგოთ სოფელი მკვდარი და ცოცხალი ინვენტარით, კერძოთ გუთნებით, ტრაქტორებით და სხვა მანქანებით. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ რთული სასოფლო-სამეურნეო იარაღების სათანადოთ მოხმარება გლეხობამ ჯერ კიდევ არ იცის. გარდა ამისა, ამ მანქანებს ზოგჯერ არ გააჩნიათ სათადარიგო ნაწილები ან ისინი გაფუჭებულია და უმოქმედოთ აწყვია. აუცილებელია ამ ნაწილების შეძენა, შემკეთებელ სახელოსნოების გახსნა და ინსტრუქტორების დაგზავნა სოფლად.

თესვის კამპანიის გატარების დროს შეთანხმებულად უნდა გამოვიდნენ მეწარმოქმედების ორგანოები, კოოპერაცია, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა. მათი მუშაობა უნდა იქნეს მიმართული არა მარტო იქითკენ, რომ გლეხობა მოამარაგონ საჭირო იარაღებით და მასალებით და აგრონომიულ-ტექნიკური რჩევა მისცენ მას. ამასთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგიტაციაპროპაგანდის გაწევას და მიზანშეწონილ ორგანიზაციულ ღონისძიებათა მიღებას გლეხურ ინდივიდუალურ მეურნეობიდან კოლექტიურ მეურნეობისაკენ გადასასვლელად.

რა დიდიც არ უნდა იყოს მთავრობის ნივთიერი დახმარება სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, ის ჯეროვან ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ მშრომელ გლეხობის თვითმოქმედება ფართედ არ გავშალეთ, და არ მოვახდინეთ მისი კოოპერატიულ-საწარმოო გაერთიანება. მხოლოდ ამ გზით შეუძლია გლეხობას თავი დააღწიოს სიღარიბეს, მხოლოდ ამ გზით მოხერხდება სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქცია და მისი სოციალისტური გარდაქმნა.

თესვის კამპანია სწორედ ამ მიზნისათვის უნდა გამოვიყენოთ. ღარიბ და საშუალო გლეხობის გაერთიანება მიწის საზიაროთ დამმუშავებელ, სამანქანო, სამელიორაციო და სხვა ამხანაგობებათ და მათთვის ყოველგვარ შეღავათების და დახმარების აღმოჩენა კრედიტის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მასალების მიწოდების დარგში, მათი უზრუნველყოფა აგრონომიული და ტექნიკური მუშაკებით და სხვა ასეთი უნდა იყოს ჩვენი მუშაობის შინაარსი. ამასთან ჩვენ სასტიკად უნდა შევებრძოლოთ ე. წ. ცრუამხანაგობებს, რომლებსაც კულაკები და საერთოდ შეძლებული ელემენტები აარსებენ სხვადასხვა შეღავათების მიღების მიზნით.

თესვის კამპანიაში დიდი როლი უნდა ითამაშონ არსებულმა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. მათ თავისი საქმიანობით პრაქტიკულად უნდა დაუმტკიცონ გლეხობას მსხვილი და კოლექტიური მეურნეობის უპირატესობა წვრილ და ინდივიდუალურზე. ამავე დროს მათ დახმარება უნდა აღმოუჩინონ მეზობელ სოფლებს რჩევა-დარიგებით, თესლეულის და მანქანების მიწოდებით და სხ. რა თქმა უნდა, ამისათვის საჭიროა თვით კოლექტივების და საბჭოთა მეურნეობათა განმტკიცება.

ზევით აღნიშნული ზომები, რომლებიც უნდა მივიღოთ თესვის კამპანიის დროს, ეხება არა მარტო ხორბლეულ კულტურებს, არამედ უფრო მეტი საფუძვლით ტექნიკურ კულტურებს, რომელთა განვითარება მოითხოვს გაცილებით უფრო მეტ საშუალებებს და აგრო-ცოდნას, რის გამო კოოპერატიული შეკავშირება აქ უაღრეს საჭიროებას წარმოადგენს.

ჩვენ მტკიცე გეზი გვაქვს აღებული ძვირფას კულტურების გავრცელებაზე და მომავალი თესვის კამპანიის დროს ამას ხაზი უნდა გაესვას. გლეხობისა და სახელმწიფოსათვის ამ კულტურების მნიშვნელობის ახსნა-განმარტებასთან ერთად უნდა მივიღოთ პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა გლეხობა დაინტერესდეს მათი გაშენებით. სხვათა შორის აუცილებელია კონტრაქტაციის სისტემის შემოღება, ტექნიკურ კულტურათა მწარმოებელ გლეხებსა და მათ გაერთიანებებთან ხელშეკრულებათა დადება მათი დათესვისა და შეძენის შესახებ. ეს წესი ტექნიკურ კულტურათა მძღევარ გლეხობას ნივთიერ სტიმულს მისცემს უფრო გულმოდგინეთ მოჰკიდოს საქმეს ხელი, ამასთან სახელმწიფოსაც უზრუნველჰყოფს ნედლეულით და კერძო კაპიტალის სამოქმედო სარბიელს შეზღუდავს ნედლეულის დამზადების დარგში.

თესვის კამპანიის წინაშე, ამგვარად, უაღრესი მნიშვნელობის ამოცანები დგანან. კამპანიის დაწყებამდე დრო ცოტა დაგვრჩა და მისთვის მზადებას ახლავე უნდა შევუდგეთ. საჭიროა ამ საქმეში ცხოველი მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა და ჯეროვანი ხელმძღვანელობა გაუწიონ მას. საჭიროა მასში მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის ჩაბმა. ასეთ პირობებში კამპანიის წარმატებით დამთავრება უზრუნველყოფილი იქნება.

ჩემბერლენი ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

უნგრეთი წინააღმდეგია სან-გოტარდის ინციდენტის გამოკვლევის

ინგლის-სპარსეთის დამოკიდებულების გამწვავება

ჩემბერლენის განცხადება

საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 29 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„თემთა პალატის წევრი ვეჯვუდი (მუშათა პარტია) შეეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრს, წაკითხული აქვს თუ არა მას რიკოვის სიტყვა, რომელშიაც ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა მზადაა მისცეს ინგლისის მთავრობას გარანტიები ინგლისის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ“.

ჩემბერლენმა უპასუხა: „მე ეს სიტყვა არ წამიკითხავს, მაგრამ, თუ საბჭოთა მთავრობას სურს და მზად არის მოგვცეს ასეთი გარანტიები, მას შეუძლია ეს გააკეთოს სათანადო წესით და მაშინ ხსენებული გარანტიები განხილული იქნება“.

ვეჯვუდი შეეკითხა: „რას ჰგულისხმობს მინისტრი სიტყვებში — სათანადო წესით—“.

ჩემბერლენმა უპასუხა: „დიპლომატიურ გზას“.

ვეჯვუდი: „საბჭოთა კავშირის და ინგლისის მთავრობებს შორის ხომ არ არსებობს ურთიერთობა“.

ჩემბერლენი: „საბჭოთა მთავრობას შეუძლია გვაცნობოს თავისი პირობები იმ დიპლომატიური წარმომადგენლის საშუალებით, რომელსაც დავალებული აქვს ინგლისის ინტერესების დაცვა საბჭოთა კავშირში“. (ადს).

სან-გოტარდის ინციდენტი

ვალკო ამჟღავნებს ინციდენტის ნამდვილ ხასიათს.

ვენა, 29 თებერვალი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობით, უნგრეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა ვალკომ წარმოსთქვა სიტყვა სან-გოტარდის ინციდენტის შესახებ (იარაღის საიდუმლო ტრანსპორტის აღმოჩენა სან-გოტარდში). ვალკომ, სხვათაშორის, განაცხადა:

„არც ერთ სახელმწიფოს და თვით ერთა ლიგის თავმჯდომარესაც არა აქვთ უფლება მოახდინონ ინციდენტის გამოკვლევა, სანამ ერთა ლიგას არ გამოუტანია სათანადო დადგენილება. ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარეს არ აქვს უფლება წინასწარ განსაზღვროს ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილება. ვინაიდან ამჟამად არ არსებობს ომის საფრთხე. ტრიანონის ხელშეკრულების თანახმად უნგრეთის განიარაღებას უნდა მოყვეს საერთაშორისო განიარაღება, ამიტომ უნგრეთს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ განიარაღებას არ ექნეს ცალმხრივი ხასიათი. ერთა ლიგის მიერ გამოკვლევის მოხდენა ნაგულისხმევია მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებისთვის. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ერთა ლიგის საბჭო არ გამოიყენებს გამოკვლევის მოხდენის უფლებას ისეთ უმნიშვნელო საქმეში, როგორიცაა სან-გოტარდის ინციდენტი“ (ადს).

ინგლის-სპარსეთის ურთიერთობის გამწვავება

სპარსეთი ყაჩაღის უფლებებს

თეირანი, 29 თებერვალი. გაზეთი „შეხრე მონარ“-ი, რომელიც გამოდის მეშედში, სასტიკად ილაშქრებს ინგლისის მიერ ბახრეინის კუნძულების დაკავების წინააღმდეგ. გაზეთი აცხადებს:

„ის ფაქტი, რომ ინგლისელებმა იხარგებლეს არეულობით და დაიკავეს ბახრეინი, არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს უფლებას ჰქონდეთ კუნძულების მფლობელობისათვის. ასეთი არგუმენტაციით რომ ვიხელმძღვანელოთ, საბჭოთა კავშირს თავის განუყოფელ საკუთრებათ უნდა მიაჩნდეს ნავთსადგური ენზელი და სხვა ადგილები კასპიის ზღვის ნაპირებზე, რომლებიც ერთ დროს დაიკავა რუსეთმა. (ადს).

ინგლისის პასუხი

ლონდონი, 29 თებერვალი. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გადასცა სპარსეთის ელჩს ლონდონში ნოტა, რომლის ასლი დაეგზავნა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს. ნოტა უარჰყოფს სპარსეთის მოთხოვნის სამართლიანობას სპარსეთის სუვერენიტეტის ცნობის შესახებ ბახრეინის კუნძულებზე. ნოტაში აღნიშნულია, რომ ინგლისის განსაკუთრებული ხელშეკრულებითი ურთიერთობა ბახრეინის კუნძულების შეიხთან, ბახრეინის შეიხს აღიარებს დამოუკიდებელ მმართველად, რომელიც იმყოფება ინგლისის პროტექტორატის ქვეშ. ეს ურთიერთობა უკვე 100 წელია არსებობს. დასასრულ ნოტაში აღნიშნულია, რომ ინგლისის მთავრობა ცდილობს დაიცვას კუნძულების მცხოვრებლები მეზობლების ცალკეულ ცდებიდან, რომლებიც მიმართულია იმისაკენ, რომ კუნძულების მცხოვრებლებს თავზე მოახვიონ „უცხოელთა“ ბატონობა. (ადს).

არაბთა ტომები დახმარებას ითხოვენ

თეირანი, 29 თებერვალი. სპარსეთის პრესა აქვეყნებს შატელ არაბის მახლობლად მცხოვრებ არაბთა ტომების შეიხების დეპეშებს სპარსეთის შაჰის სახელზე. შეიხები თავის დეპეშაში აღნიშნავენ, რომ მრავალი ტომები სპარსეთის ქვეშევრდომი არიან, მაგრამ ირაქის მთავრობა აიძულებს მათ მიიღონ ირაქის ქვეშევრდომობა. იმ ტომებს, რომლებიც ამაზე უარს იტყვიან, ავიწროებენ და აზდევნიან ჯარიმას. შეიხი სთხოვს სპარსეთის მთავრობას მიიღოს ზომები ამ ტომების დასაცავად. გაზეთი აქვეყნებს აგრეთვე შაჰის პასუხს დეპეშებზე. პასუხში ნათქვამია: „მთავრობა იღებს ზომებს თქვენი თხოვნის დასაკმაყოფილებლად“. (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა ურთიერთობა

ალი გოლი-ხანის განცხადება

მოსკოვი, 1 მარტი. სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ალი გოლი-ხან ანსარიმ მოსკოვიდან გამგზავრების წინ მიიღო საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი.

კითხვაზე—თუ როგორი გავლენა მოახდინა სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაზე ხელშეკრულებამ, რომელიც 1927 წელში დაიდო, ანსარიმ განაცხადა:

„მე კმაყოფილებით შემიძლია აღვნიშნო, რომ სავაჭრო ხელშეკრულებამ უკვე გამოიწვია სპარსეთის საქონლის იმპორტის გამოცოცხლება საბჭოთა კავშირში და ამასთან დაკავშირებით საბჭოთა საქონლის შესყიდვაც გაძლიერება სპარსეთში. სპარსელი ვაჭრების დაკვეთების შემდგომი რეალიზაცია საბჭოთა წარმოებების მიერ კიდევ უფრო გააფართოებს საქონლის აღებ-მიცემობას ორივე ქვეყანას შორის. ამჟამად ადგილი აქვს ზოგიერთ დაბრკოლებებს გადასახადით დაბეგვრის დარგში, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს დაბრკოლებანი უახლოეს ხანში აღმოფხვრილ იქნება“.

შემდეგ ალი გოლი-ხან ანსარი შეეხო პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთ დამოკიდებულებას სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და განაცხადა:

„ვინაიდან ყოველი სახელმწიფოს პოლიტიკა გამოწვეულია ამ სახელმწიფოს ეკონომიური ინტერესების დაცვით, ამიტომ ეს ხელშეკრულება, რომელიც მტკიცე სავაჭრო შეთანხმების ხასიათს ატარებს, კიდევ უფრო ამაგრებს საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას, რაიც მეტად მნიშვნელოვანია ორივე სახელმწიფოსათვის, მათი არსებითი ინტერესებისათვის“ (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

მუკდენი ზავს ითხოვს

პეკინი, 29 თებერვალი. „შუნ ტიენ ში ბაო“-ს ცნობით ჩან-ძო-ლინს განზრახული აქვს ტელეგრაფით გამოაქვეყნოს მოწოდება სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის და „ხალხის წარმომადგენლების კონფერენციის მოწვევის შესახებ სადაო საკითხების გადასაჭრელად“. (ადს).

გაძლიერებული ტერორი

შანხაი, 29 თებერვალი. ხანკოუდან მიღებული ცნობებით, ჩინეთის ცენტრალურ პროვინციებში საშინელის სიმკაცრით სდევნიან კომუნისტებს. სიკვდილით დასჯილია მრავალი ათასი მუშა. დასჯილთა შორის ბევრია გაბატონებულ წრეების პირადი მტრები და აგრეთვე ისეთი პირები, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ რევოლიუციონურ მოძრაობასთან. ტერორი ტარდება ლოზუნგით „კომუნიზმი უნდა აღმოიფხვრას“.

თავდასხმა პროფკავშირის შენობაზე

შანხაი, 29 თებერვალი. ჰონკონგის გაზეთების ცნობით, კანტონის პოლიცია თავს დაესხა შუშის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის შენობას. პოლიციამ დააპატიმრა 100 მუშა და ხელთ იგდო იარაღი, დროშები და რევოლიუციონური ლიტერატურა.

1 მილ. მანეთი აეროდრომის ასაგებათ ჰონკონგში

ლონდონი, 29 თებერვალი. ინგლისის მთავრობამ გადასდო 100.000 გირ. სტერლინგი (ერთ მილიონ მანეთამდე) ჰონკონგში აეროდრომის ასაგებათ.

კომუნისტები სვატოუში

შანხაი, 29 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ქალაქ სვატოუში (ნავთსადგური გუანდუნის პროვინციის სამხრეთ ნაწილში, ხვატოუსა და კანტონს შორის), რომელიც რევოლიუციონური ჯარების ხელშია, კომუნისტებმა დაიკავეს ინგლისის პროტესტანტული ეკლესიის სკოლები, საცხოვრებელი სახლები და ეკლესია. იგივე გაზეთები უარყოფენ ხმებს, თითქოს სვატოუს რევოლიუციონური მთავრობა სდევნიდეს სარწმუნოებას.

კანტონის ფულის კურსი ეცემა

შანხაი, 29 თებერვალი. ჰონკონგის გაზეთების ცნობით, კანტონში შექმნილ საზიზ მდგომარეობის გამო, რაც გამოწვეულია პოლიციის მიერ ჟუმბარებისა, იარაღებისა და რევოლიუციონური ლიტერატურის აღმოჩენით, კანტონის ფულის კურსი 50 პროც. დაეცა (ადს).

ვონ სუნ-მინის სიკვდილით დასჯა

შანხაი, 29 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ხანკოუში სიკვდილით დასაჯეს ვონ-სუნ-მინი, პროფსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე სიანძინის რაიონში. ვონ-სუნ-მინი, როგორც გაზეთები იუწყება, რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობის შემდეგ დარჩა ხანკოუში და დაპატიმრების დროს თითქოს გამოტყდა, რომ ეწეოდა არალეგალურ მუშაობას უხანის ხელისუფლების წინააღმდეგ (ადს).

ხალხი, რომელიც ტკბილად ვერ ცხოვრობს

შანხაი, 29 თებერვალი. „შანხაი ტაიმს“-ის ცნობით, ფინ-იუ-სიანის ჯარებს, ქალაქ უეიხუეის (პეკინ-ხანკოუს რკინის გზაზე) დაკავების დროს, ტყვედ ჩაუვარდა 60 რუსი თეთრგვარდიელები, რომლებიც ჩან-ცზუნ-ჩანის სამსახურში იყვნენ. გაზეთის სიტყვით, თეთრგვარდიელები ცუდად არიან ჩაცმული და ისეთი ხალხის შთაბეჭდილებას სტოვებენ „რომელიც ტკბილად ვერ ცხოვრობს“. (ადს).

„ორი მეზობლის მეტოქეობა სპარსეთში“

თეირანი, 29 თებერვალი. გაზეთი „ვატანა“ თავის წერილში სათაურით „ორი მეზობლის მეტოქეობა სპარსეთში“ ინგლის - საბჭოთა წინააღმდეგობის შესახებ სწერს: „რუსეთში ახალი რეჟიმის დამყარების შემდეგ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს ერთხელაც არ ულალატნიათ სპარსეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პროგრამისათვის“. გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს ამხ. დავტიანის როლს სპარსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების საქმეში და აცხადებს: „რა თქმა უნდა, მის მოქმედებას იძულებული არიან მიბაძონ სხვა დიპლომატიურმა წარმომადგენლებმაც, რომლებიც ყოველნაირად სცდილობენ არ მიიღონ რაიმე საყვედურები“.

გაზეთს საჭიროდ მიაჩნია სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულებით შექმნილ ხელსაყრელ კონიუნქტურის გამოყენება ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის. (ადს).

ბელორუსთა გრომადის პროცესი

სიცრუის ხუხულა ინგრევა

ვარშავა, 29 თებერ. გუშინ ბელორუსთა გრომადის პროცესზე სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასამართლო თანახმაა გამოიწვიოს დამცველთა მიერ დასახელებული მოწმეები. შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდების მოწმეთა დაკითხვას. პირველად მოსმენილ იქნა მოწმე იასინსკის—ბელოსტოკის პოლიციის კომისარის ჩვენება. იასინსკიმ სასამართლოს მოუთხრო ბელორუსთა გრომადის მუშაობის შესახებ და დაეყრდნო პროვოკატორ ბურინის ჩვენებებს. ბურინმა, რომელიც დაპატიმრებული იყო და იჯდა ბელოსტოკის ციხეში, დაიბარა იასინსკი და მიაწოდა მას ცნობები გრომადისა და მისი მოღვაწეობის შესახებ. იასინსკის სიტყვით ბურინმა მას აცნობა, რომ გრომადას და გლეხთა დამოუკიდებელ პარტიას მჭიდრო კავშირი ჰქონდათ კომუნისტურ პარტიასთან. დამცველ სმიაროვსკის კითხვებმა აიძულა იასინსკი მიეცა ჩვენება, რომლიდგანაც სჩანს, რომ ბურინი პოლიციამ გამოიყენა, როგორც პროვოკატორი და ამის გამო გაანთავისუფლა საპატიმროდან. დამცველი აცხადებს, რომ ბელორუსთა გრომადა და გლეხთა დამოუკიდებელი პარტია ლეგალური ორგანიზაციები იყვნენ. ამას ამტკიცებს აგრეთვე ხელისუფლების განცხადება ყველა იმ პირთა მიცემის შესახებ პასუხისგებაში, ვინც არ გამოვა ამ ორგანიზაციებიდან მათი დათხოვნის შემდეგ.

დამცველი დურაჩი აცხადებს, რომ გრომადის და გლეხთა დამოუკიდებელი პარტიის ლოზუნგები არ განირჩეოდა რუს ესერთა ლოზუნგებისაგან. ამაზე პროკურორი უპასუხებს, რომ „რუსი ესერები თავის დროზე საბჭოთა მთავრობაში შედიოდნენ“. იასინსკის შემდგომი დაკითხვის გზით დამცველები ამტკიცებენ, რომ ბურინი დაპატიმრებული იყო 1925 წელს, ხოლო ყინაიდან გრომადა დაარსდა 1926 წელს, მაშასადამე, ბურინს არ შეეძლო რაიმე სცოდნოდა მისი მუშაობის შესახებ. დამცველები აღნიშნავენ, რომ გრომადის წევრებს არ შეეძლოთ „დახცივის თათბირზე“ მონაწილეობის მიღება, რაზედაც ბურინი ლაპარაკობდა თავის ჩვენებაში, ვინაიდან იმ დროს გრომადა ჯერ კიდევ არ არსებობდა.

იასინსკი აცხადებს, რომ ბურინი ახლო ურთიერთობაში იყო გრომადის მოღვაწეობასთან და მას შეეძლო სცოდნოდა გრომადის მუშაობის მსვლელობა. ამ განცხადების წინააღმდეგ გამოდის ბრალდებული ტარაშკევიჩი, რომელიც ამბობს, რომ ბურინის გაზეთი „ბოლშევიკი“ სასტიკად ილაშქრებდა ტარაშკევიჩის წინააღმდეგ და, მაშასადამე, ზედმეტია ლაპარაკი ახლო ურთიერთობის შესახებ ბურინსა და ბრალდებულებს შორის. ერთ-ერთი ბრალდებული გლეხი აცხადებს, რომ მისი დაპატიმრების შემდეგ იასინსკი ტერორ ქვეშ ჰყოფნიდა მას და მოითხოვდა მისგან ჩვენებებს იმის შესახებ, რომ ბელორუსთა გრომადა ეწეოდა კომუნისტურ მუშაობას.

სასამართლოს თავმჯდომარე უხეშად აწყვეტინებს ჩვენებას ბრალდებულს და აცხადებს, რომ იასინსკის დაკითხვა გაგრძელდება დახურულ კარებში. ამით დამთავრდა სასამართლოს სხდომა. (ადს).

უშიშროების კომიტეტში

კიდევ ერთი პროექტი

ჟენევა, 29 თებერვალი. უშიშროებისა და საარბიტრაჟო კომიტეტის 28 თებერვლის საღამოს სხდომაზე ირჩეოდა საკითხი ფინანსიურ დახმარების მიწოდების შესახებ იმ ქვეყნისთვის, რომელსაც თავს დაესხმიან.

ბელგიის დელეგატმა ალაკმენმა გამოაქვეყნა შესაფერი პროექტი. პროექტი წარმოდგენილია ერთა ლიგის საფინანსო კომიტეტის სახელით.

ინგლისის დელეგატმა კუშენდენმა აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობამ უკვე მოიწონა ფინანსიური დახმარების იდეა და წინადადებას იძლევა საფინანსო კომიტეტის პროექტი მიღებულ იქნეს საფუძვლად მისი უფრო დეტალური დამუშავებისათვის.

ამ საკითხის დასამუშავებლად არჩეულია შერეული კომისია ერთა ლიგის საფინანსო კომიტეტის სამი წევრის და უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით. (ადს).

გერმანიის დელეგაციის წინადადება

ჟენევა, 29 თებერვ. უშიშროების კომიტეტის 29 თებერვლის სხდომამ მოუნდა გერმანიის დელეგაციის წინადადებათა განხილვას. ეს წინადადებანი მდგომარეობენ შემდეგში:

1. თუ კონფლიქტი წარმოიშვა ორ ან რამოდენიმე სახელმწიფოს შორის; ერთა ლიგის საბჭოს აქვს უფლება მიიღოს წინასწარი გადაწყვეტილება კონფლიქტის გამომწვევი დავის შესახებ. ეს წინასწარი გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა მოდავე მხარეებისათვის.

2. იმ შემთხვევებში, როცა მზადდება შეიარაღებული შეტაკება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, ერთა ლიგის საბჭოს აქვს უფლება ვალდებულჰყოს ყველა ეს სახელმწიფონი დაიცვან არსებული მდგომარეობა და მათი შეიარაღებული ძალების რაოდენობა.

3. იმ შემთხვევაში, თუ საომარი მდგომარეობა უკვე დაიწყო, ერთა ლიგის საბჭოს აქვს უფლება ვალდებულჰყოს მეომარი მხარეები დაუყოვნებლივ დასდონ დროებითი ზავი.

გერმანიის დელეგაციის წინადადება სერიოზულად გააკრიტიკა ინგლისის დელეგატმა. ხოლო სპარსეთის და პოლონეთის წარმომადგენლები სავსებით შეუერთდნენ ამ წინადადებებს. ამ წინადადებათა განხილვა გადადებულია, უშიშროების კომიტეტის შემდეგ სესიამდე იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნას დაინტერესებული მხარეების წინასწარი დასკვნა.

პოლონეთი არჩევნების წინ

შეტაკება ვარშავაში

ვარშავა, 29 თებერვალი. დღეს მოხდა შეტაკება ნაციონალ - დემოკრატ სტუდენტების საარჩევნო დემონსტრაციასა და პოლიციას შორის. სტუდენტებმა აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. დემონსტრაცია გარეკა ცხენოსანმა პოლიციამ ცივი იარაღის საშუალებით. არის დაჭრილები, როგორც სტუდენტებს, ისე პოლიციელებს შორის. სტუდენტებმა ჩამოგლიჯეს პლაკატები პილსუდსკის სურათით.

ვარშავა, 29 თებერვალი. გუშინ, ვარშავის მუშათა უბნებში სია № 13-ის (მუშურ-გლეხური მთლიანობის) მომხრეებმა მოაწყვეს საარჩევნო მიტინგები, რომლებიც პოლიციამ გარეკა. ორ მიტინგზე პოლიციამ, მიუხედავათ მუშების აქტიურ წინააღმდეგობისა, დააპატიმრა ორატორები. დაპატიმრებულია მიტინგების მონაწილე მუშები. (ადს).

ვარშავა, 29 თებერვალი. სტუდენტებსა და პოლიციას შორის მომხდარ შეტაკების გამო ვარშავის მთავრობის კომისარმა წერილით მიმართა ვარშავის ყველა უმაღლეს სასწავლებლების რექტორებს და სთხოვა მათ „დააწყნარონ ახალგაზრდობა“, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში კომისარი იძულებული იქნება „გამოიყენოს ყველა მის განკარგულებაში მყოფი საშუალებები“. კომისარი განსაკუთრებით მით არის აღშფოთებული, რომ სტუდენტებმა ხევდნენ პლაკატებს პილსუდსკის სურათით. (ადს).

სია № 13-ის კანდიდატების დაპატიმრება

ვარშავა, 29 თებერვალი. პილსუდსკის ორგანო „გლოს პრავდი“-ს ცნობით, გუშინ დააპატიმრეს სია № 13-ის (მუშურ-გლეხური მთლიანობის) კანდიდატი ჟარსკი და სამი სხვა პირი, რომელთა გვარებს გაზეთი არ იტყობინება. დაპატიმრებულთ ბრალს სდებენ „კომუნისტურ საქმიანობაში“.

გაზეთი მათ უწოდებს პოლონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს. 28 თებერვალს ღამით პოლიციამ ვარშავის სხვადასხვა რაიონებში დააპატიმრა 20-მდე კაცი, რომლებიც ავრცელებდნენ მუშურ-გლეხურ მთლიანობის სიის საარჩევნო ლიტერატურას.

საბჭოთა დაკვეთები ავსტრიაში

ვენა, 29 თებერვალი. „დერ მორგენ“-ის ცნობით, ვენაში წარმატებით მიმდინარეობს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირში ავსტრიის საქონლის გაზიდვის შესახებ. გაზეთების ცნობით, მარტის ბოლომდე ავსტრიის ფირმები საბჭ. კავშირიდან მიიღებენ 1 მილ. დოლარის დაკვეთებს, უმთავრესად ელექტრონის მასალებზე. (ადს).

ფაშისტების თავხედური აღსარება

რომი, 29 თებერვალი. ვეჯევანოში მოსამართლემ გაამართლა გაფიცული სასოფლო-სამეურნეო მუშები. მან განაცხადა, რომ მუშებს უფლება ჰქონდათ ხელი აეღოთ მუშაობაზე, ვინაიდან დამქირავებელმა დაარღვია კოლექტიურ შეთანხმების პირობები. კორპორაციების სამინისტროს (ფაშისტური ორგანიზაციები, რომელიც შექმნილია პროფკავშირის ნაცვლად) ოფიციალური ორგანო სასტიკად ჰკიცხავს ამ განაჩენს და სწერს:

„ფაშისტური კანონმდებლობის ძირითად პრინციპს წარმოადგენს თავდაცვის აკრძალვა შრომის კონფლიქტების დროს და მათი სახამართლო წესით გადაჭრის შემოღება. ამის უარყოფა ან მარტო იმის წარმოდგენაც კი, რომ მუშებს შეუძლიათ მიმართონ გაფიცვას მწარმოებელთა უკანონო მოქმედების შემთხვევაში ნიშნავს დაბრუნებას სოციალური პოლიტიკისაკენ, რომელსაც გასცილდა ფაშიზმი“ (ადს).

ვოლდემარასის პასუხი ზალესკისადმი

კოვნო, 29 თებერვალი. გამოქვეყნებულია ვოლდემარასის საპასუხო ნოტა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრ ზალესკის ნოტაზე. ვოლდემარასი საპასუხო ნოტაში აღნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობამ არ შეასრულა არც ერთი დაპირება, რომელიც ჟენევაში დასდო ლიტვის შესახებ; ამასთან პოლონეთის მთავრობა უარს აცხადებს განსაზღვროს მომავალი მოლაპარაკების შინაარსი და გამოსთქვამს თავისი თვალსაზრისი ერთა ლიგის წარმომადგენლის მონაწილეობაზე ამ მოლაპარაკებაში. ვოლდემარასი ლიტვის მთავრობის სახელით წინადადებას აძლევს პოლონეთს, რათა ეთხოვოს ერთა ლიგას შეასრულოს თავისი დაპირება პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკებაში დახმარების აღმოჩენის შესახებ. თუ პოლონეთი დასთანხმდება ამ წინადადებაზე, ვოლდემარასი მოითხოვს დაინიშნოს მოლაპარაკების დრო და ადგილი; თავის მხრივ იგი აცხადებს, რომ მზად არის ეს მოლაპარაკებანი დაიწყოს 30 მარტს კენიგსბერგში (ადს).

გრეგორის საქმე

ლონდონი, 29 თებერვალი. დაგვიანებით იუწყებიან, რომ მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქცია არჩევდა კომისიის მოხსენებას გრეგორის საქმეზე. ფრაქციის წევრები მოითხოვდნენ, რომ ფრაქციამ უნდა მოითხოვოს განსაკუთრებული კომისიის დანიშვნა, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს საქმე ეგრედ წოდებულ „ზინოვიევის წერილის“ შესახებ.

ფრაქციის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, თუ როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს მუშათა პარტიამ ამ საკითხში. მიღებულია დადგენილება, რომ მაკდონალდმა უნდა მოითხოვოს ბოლდუინს განსაკუთრებული დღის დანიშვნა კამათის გასამართავად ამ საკითხზე თემთა პალატაში (ადს).

გამოძახილი გრეგორის საქმეზე

პარიზი, 29 თებერვალი. პარიზის პრესა ეხება ინგლისის მთავრობის საგამომძიებლო კომისიის მოხსენებას გრეგორის საქმეზე. სოციალისტური პარტიის ორგანო „პოპიულერი“, ეხება რა გრეგორის როლს „ზინოვიევის წერილთან“ დაკავშირებულ ანტისაბჭოთა გამოსვლებში, სწერს:

„სხვა ქვეყანაში ასეთი მხილება, როგორც ადგილი ჰქონდა გრეგორის საქმეში, მთავრობის კრიზისს გამოიწვევდა“.

მეორე სოციალისტური გაზეთი „სუარი“ გამოსთქვამს იმედს, რომ კომისიის მოხსენება განხილულ იქნება თემთა პალატაში, ამასთანავე კამათში გამოირკვევა გრეგორის როლი „ზინოვიევის წერილის“ გამოყენების საქმეში და აგრეთვე ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტაშიო.

კლემანსოს ორგანო „ომ ლიბრი“ აყენებს კითხვას: რატომ მოხდა, რომ ბრალდებანი, რომელნიც გრეგორის წინააღმდეგ იქნა წაყენებული „ზინოვიევის წერილთან“ დაკავშირებით ჯერ კიდევ 1924 წელში, დღემდე არავის არ განუხილავთ და მხოლოდ მაშინ, როცა წარმოიშვა საქმე გრეგორის სავალიუტო სპეკულიაციების შესახებ, ეს ბრალდებანი განიხილა საგამომძიებლო კომისიამ. გაზეთი სწერს: „ეს გარემოება მეტად საგულისხმოა. სხვა ქვეყანაში ეს გარემოება გამოიწვევდა საყოველთაო აღშფოთებას და შექმნიდა მთავრობის კრიზისს“ (ადს).

სკანდალი სამხრეთ-სლავიის პარლამენტში

ვენა, 1 მარტი. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, ვუკიჩევიჩის ახალი მთავრობის შედგენის შემდეგ ოპოზიციამ პარლამენტის პირველსავე სხდომაზე შეიტანა წინადადება იმის შესახებ რომ დაინიშნოს საპარლამენტო კომისია ბელგრადის პოლიციის ციხეში შექმნილი მდგომარეობის გამოსარკვევად. მთელმა რიგმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ ვიწრო მიწისქვეშა კამერებში მოთავსებულია 30-40 პატიმარი. ავადმყოფები და ჯანსაღები, სისხლის სამართლის დამნაშავენი და პოლიტიკურები ერთად არიან მოთავსებული. ყველა პატიმრებს აწამებენ. მდიდრებს მალე ანთავისუფლებენ ქრთამების საშუალებით. ქრთამებს იღებენ ვექილების ხელით, რომელნიც მუდმივ კავშირში იმყოფებიან პოლიციასთან.

შინაგან საქმეთა მინისტრმა კოროშეცმა აღიარა, რომ ციხეში მართლაც ჰქონდა ადგილი მრავალი ბოროტებებს და განაცხადა, რომ მიღებულ იქნება ზომები ამ საქმის გამოძიებისათვის. ამასთანავე კოროშეცმა მხილებანი ციხეში არსებული წესების შესახებ გამოაცხადა „კომუნისტების ჩვეულებრივი აგიტაციის მეთოდად“. ამ სიტყვებმა მწვავე შეტაკება გამოიწვია ოპოზიციონური და მთავრობის პარტიების დეპუტატებს შორის, რამაც მიიღო ხელჩართული ჩხუბის ხასიათი. სხდომა შესწყდა. სხდომის განახლების შემდეგ უმრავლესობამ დაადგინა გამორიცხულ იქნას რადიჩი სამი სხდომიდან. ნიშნად პროტესტისა ამ დადგენილების წინააღმდეგ, „დემოკრატიულმა კოალიციამ“ გადასწყვიტა ამ სამი სხდომის განმავლობაში არ დაესწროს პარლამენტის სხდომებს (ადს).

შეთანხმება ლატვიასთან

რიგა, 29 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრის ამხ. კაცენელენბაუმის მიერ რიგაში გამართულ მოლაპარაკების შესახებ, ლატვიის ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ცელენსმა განაცხადა, რომ „ლატვიის ბანკი შესაძლებლად სცნობს კრედიტის მიწოდებას ლატვიის იმ ფირმებისათვის, რომლებიც ასრულებენ საბჭოთა კავშირის სამეურნეო ორგანოების დაკვეთებს“. შეთანხმება მიღწეულია ყველა პრინციპიალურ საკითხების გარშემო. (ადს).

შეთქმულების აღმოჩენა

ლონდონი, 29 თებერვალი. რეიტერის სააგენტო კალკუტიდან (ინდოეთი) იუწყება, რომ ბენგალის პროვინციაში 20 ახალგაზრდა კაცს წაუყენეს ბრალდება იმაში, რომ მათ მოაწყვეს შეთქმულება მკვლელობის და გაძარცვის მიზნით რომლის საშუალებითაც სურდათ იარაღის შეძენა რევოლიუციონურ მიზნებისათვის. სახელმწიფო პროკურორმა განაცხადა, რომ შეთქმულებას ფართო ქსელი ჰქონდა ბიჰარის, ორისის, ბენგალის და ასამის პროვინციებში. შეთქმულება აღმოაჩინეს აღნიშნულ ორგანიზაციის პროკლამაციების პოვნის შემდეგ. პროკლამაციაში ნათქვამია სხვ. რომ ორგანიზაციის მიზანია „ინდოეთის შეერთებულ შტატების ფედერატიულ რესპუბლიკის შექმნა შეიარაღებულ აჯანყების საშუალებით“ (ადს).

საერთაშორისო პროლეტარიატის არმია

საბჭოთა კავშირის წითელი არმიის ათი წლის თავის დღესასწაულს იმდენად განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა თავისი მასიურობით და ენტუზიაზმით, რომ ყველა ქვეყნის ბურჟუაზიულ ყვითელ პრესას არ შეეძლო ცილისწამებისა და სიყალბის კამპანია არ დაეწყო მსოფლიოში პირველი სოციალიზმის მშენებელი პროლეტარიატის არმიის წინააღმდეგ. ბურჟუაზიის მოსყიდული ჟურნალისტების გაბოროტება წითელი არმიის წინააღმდეგ მით უფრო დიდია რომ ისინი იძულებული არიან აღიარონ, რომ საბჭოთა კავშირს და მის თავდაცვის იდეას უდიდესი თანაგრძნობით ეკიდებიან მათ ქვეყნებშიაც კი.

იმ ინსინუაციის კორიანტელში, რომელშიაც სურთ გაახვიონ წითელი არმია ჩვენს მტრებს, ამჟამად თითქმის არ გაისმის ხმა, რომელიც ლაპარაკობდეს ამ არმიის სისუსტეზე. წავიდა ის დრო, როცა უცხოელი მილიტარისტები საბჭოთა ქვეყანაზე გალაშქრებას სახავდნენ. როგორც ადვილად განსახორციელებელ, ერთი გაზეთის გამოთქმით, „გასეირნებას პეტროგრადში და მოსკოვში“. ეხლა ლაყბობას ბოლშევიკების სისუსტის შესახებ აღარავითარი ფასი არ აქვს საგაზეთო ბირჟაზე და პროფესიონალური მატყუარები იძულებული არიან მიმართონ სხვაგვარ საშუალებას: ისინი ეხლა თავის მკითხველებს აშინებენ საბჭოთა ქვეყნის „გრანდიოზული“ შეიარაღებით, რომელის საშუალებითაც ბოლშევიკებს თითქოს „12 საათის განმავლობაში“ შეუძლიათ მოსპონ „უკიდურესი მტერი“. ფრონტის ასეთი შეცვლა ბურჟუაზიული პრესის მიერ უკვე მოწმობს იმას, რომ დიდი ცვლილებანი მოხდა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე მისი არმიის საერთაშორისო წონისა და მნიშვნელობის მხრივ. და რომ ეს ცვლილებანი მიღწეულ იქნა საბჭოთა კავშირის ძლიერი განვითარების ძალით.

მაგრამ ინსინუატორები არ კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რომ ობივატელებს აშინებენ საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღების მითიური რაოდენობით. ამზადებენ რა სამხედრო გალაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ისინი მთელი ძალ-ღონით სცდილობენ რომ საბჭოთა კავშირი დასახონ იმპერიალისტურ ქვეყნად, რომელიც აწარმოებს შეტევითი სამხედრო პოლიტიკას. ეს ფანდი სრულიად ვერ აღწევს მიზანს, ვინაიდან საბჭოთა მთავრობამ წინააღმდეგ უშედეგო და შეუსაბამო ლაყბობისა, რომელსაც ჟენევაში ეწევა ერთა ლიგასთან არსებული უშიშროების კომისია, გამოსცა დეკლარაცია საყოველთაო განიარაღების შესახებ.

არა მარტო რევოლიუციონური მუშები, არამედ სხვა ფენებიც, რომელთაც მართლაც სურთ მშვიდობიანობა, ყველა ქვეყნებში, იძულებული არიან აღიარონ, რომ საბჭოთა კავშირის დეკლარაცია არის ყველაზე უფრო მეტად მიზანშეწონილი და გადამჭრელი ნაბიჯი განიარაღებისაკენ, და რომ ასეთი დეკლარაცია არც ერთ მთავრობას არ წარმოუდგენია არასოდეს.

და აი, ახალი ძალით, ახალი ვარიაციებით ფართოვდება ცილისწამების კამპანია. ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯოინსონ ჰიკსი ლაპარაკობს, რომ თუ ინგლისი განიარაღდა, მას არ ექნება საშუალება „დაიცვას თავი სისხლისმსმელი რუსებისაგან“. კონსერვატიული გაზეთი „მორნინგ პოსტი“ სწერს: „თუ ევროპა განიარაღდა, მაშინ როგორ შესძლებს იგი დაიცვას თავი საბჭოთა კავშირის ნახევრად-მშიერი მრავალი მილიონი ხალხისაგან, რომელსაც შეეძლება გადმოლახოს საზღვარი და შეამგვესონოს როგორც კალიებმა?“.

საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების მიმართ კლასიური მძულვარებით გაჟღენთილ ამგვარ ინსინუაციებს შორის უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს იტალიის ფაშისტური კორესპონდენტის რობერტ სუსტერის წერილს, რომელიც „პოპოლო დ'იტალია“-ში იყო გამოქვეყნებული საბჭოთა წინადადებების გამო განიარაღების შესახებ. ამ წინადადებებს ფაშისტი, სხვათა შორის, ხსნის საბჭოთა ქვეყნის შინაგანი მოთხოვნილებით. „კატასტროფიული ფინანსიური მდგომარეობის გამო, რომელშიაც იმყოფება საბჭოთა ხელისუფლება, ცხადია, ეს ხელისუფლება მოხაოული იქნება შეინარჩუნოს ის ფული, რომელიც არმიის შენახვაზე იხარჯება“-ო. სწორედ ამით ავტორი აღიარებს, რომ საბჭოთა მთავრობა, გამოდის რა მშვიდობიანი მშენებლობის ინტერესებიდან, მზად არის ჩაატაროს განიარაღება თავის საკუთარ ქვეყანაში, რასაკვირველია იმ პირობით, თუ განიარაღდებიან იმპერიალისტები, და რომ ამგვარად წინადადება, რომელსაც საბჭოთა მთავრობა აძლევს სხვა სახელმწიფოებს განიარაღების შესახებ, სრულებით არ არის „თეატრალური ჟესტი“. მაგრამ ავტორი შემდეგ კიდევ უფრო საყურადღებო ფაქტს აღიარებს. თუ საბჭოთა მთავრობა, მისივე სიტყვით, განიარაღებაში დაინტერესებულია შინაგანი ხასიათის მიზეზების გამო, სამაგიეროდ კაპიტალისტურ მთავრობებს, პირიქით, სწორედ შინაგანი მიზეზების გამო არ შეუძლიათ დასთანხმდნენ განიარაღებაზე.

რა მოხდება, თუ ეს მთავრობები, რომლებიც ამჟამად „თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული სადარაჯოზე სდგანან“, ერთ მშვენიერ დღეს განიარაღდებიან —კითხულობს სუსტერი, და უპასუხებს: „მაშინ მოსკოვის ფულით მომარაგებულნი და პროფესიონალ - ორგანიზატორების მიერ მომზადებულნი საზოგადოების ნაძირალები აღსდგებიან და ადვილად დაანგრევენ კაპიტალისტურ რეჟიმს სხვა ქვეყნებში“.

საუცხოვო აღიარებაა. ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით და ყოველთვის ვამბობდით, რომ კაპიტალისტური რეჟიმი სხვა ქვეყნებში ხიშტებისა და ტყვიამფრქვევების დახმარებით არსებობს. მაგრამ სწორედ ეს ფაქტი აიძულებს მუშებსა და მშრომელებს (ფაშისტისათვის ისინი საზოგადოების ნაძირალებია) კიდევ უფრო გადაჭრით მოითხოვონ მილიტარიზმის მოსპობა.

ასეთი აღიარების შემდეგ უკვე აშკარა სიყალბით არის აღსავსე ფაშისტის შემდეგი გულახდილობა, რომ „მეფის რუსეთს უნდოდა თავისი კაზაკების ურდოების შემწეობით წყნარ ოკეანედან ხმელთა შუა ზღვამდე გაბატონება, ხოლო კომუნისტურ რუსეთს უნდა ევროპის ჩაყლაპვა განიარაღებისა და სოციალური რევოლიუციის ფორმულით“-ო. კარგი „იმპერიალიზმია“, რომელსაც სურს სხვა ერების „დაპყრობა“ საყოველთაო და მათ შორის საკუთარი განიარაღებით!

უკვე ჩვენ მიერ მოხსენებული „მორნინგ პოსტ“-ი აღიარებს, რომ მისი თვალსაზრისით „ომზე უარესი რამეც არსებობს, როგორც, მაგალითად, ოქტომბრის რევოლიუცია“-ო. აი კიდევ ყოვლად მოსაწონი აღიარება, მაგრამ საჭიროა, რომ ეს თვალსაზრისი გაიზიარონ მასებმა, განსაკუთრებით ინგლისის კოლონიებში. მით უმეტეს, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი ყოველ წლობით თანდათან უფრო გულახდილად ლაპარაკობს ომზე. სულ ცოტა ხნის წინად ამ მხრით „ამერიკულ რეკორდს“ მიაღწია ვილბურმა, რომელმაც აშკარად განაცხადა, რომ კრეისერები ამერიკელ ვაჭრებსა და მრეწველებს სჭირდებათ ახალი ბაზრების დასაპყრობათ. რა უფრო უმჯობესია: ახალი სისხლიანი ომი ვაჭრებისა და მრეწველებისათვის ბაზრების დასაპყრობად, თუ ამ ვაჭრებ - ბატონების აღკვეთა (ოქტომბრის რევოლიუცია)? ამ საკითხს მასები გადაჭრიან „მორნინგ პოსტ“-ის დაუკითხავად. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ საერთო ღრიანცელში იმ „მემარცხენე“ სოციალ - დემოკრატიული პრესის ეხლანდელი პოზიცია წითელი არმიის საკითხში, რომელიც თავის მორიგ მანევრს ახდენს. იმ დროს, როცა ყველა ქვეყნის „ფორვერტსები“ ერთმანეთს იჯიბრებიან საბჭოთა კავშირისათვის ჩირქის მოცხებაში, მემარცხენე სოციალ - დემოკრატები, ხედავენ რა, თუ როგორ იზრდება მუშათა მასების თანაგრძნობა საბჭოთა კავშირისა და წითელი არმიისადმი, ცდილობენ აიღონ სხვა ტონი და ყოველნაირად აქებენ წითელ არმიას. გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ლეიპციგერ ფოლკს-ცაიტუნგ“-ი, წითელი არმიის ათი წლისთავის გამო, ბედავს „მიესალმოს სოციალისტური პროლეტარიატის სამხედრო ორგანიზაციას, რომელიც მოწოდებულია აწარმოოს პროლეტარული ბრძოლა კაპიტალისტური კლასის დიქტატურასთან და იბრძოლოს მუშათა ხელისუფლებისა და სოციალიზმის განხორციელებისათვის“. „შეცდომა იქნებოდა, — სწერენ „მემარცხენე“ სოციალ - დემოკრატები, რომ ბოლშევიკებს მილიტარისტები ვუწოდოთ. საბჭოთა რუსეთი დიდი ხნის წინად აღმოჩნდებოდა პირისპირ რომელიმე კაპიტალისტური სახელმწიფოს სამხედრო ინტერვენციის წინაშე, რომ წითელი არმია არ ჰყოლოდა მას“.

მოდი ნუ გაოცდები!

„მემარცხენე“ სოციალ - დემოკრატები, რომ ოდნავ მაინც სერიოზულად ეკიდებოდნენ იმას, რასაც ისინი სწერენ, მათ, წითელი არმიისადმი მიძღვნილი ხოტბის სტრიქონებიდან, ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნები მაინც უნდა გამოეყვანათ: ჯერ ერთი, ისინი აღიარებდნენ პროლეტარიატის დიქტატურის ოდავო აუცილებლობას, დიქტატურის, რომელიც ემყარება ბურჟუაზიაზე შეიარაღებულ ძალმომრეობას, და უკუაგდებდნენ ოპორტუნისტულ ილიუზიებს „დემოკრატიული სისაძაგლის სოციალისტურ საზოგადოებაში“ მშვიდობიანად შეზრდის შესახებ. მეორე, ისინი მხარს არ დაუჭერდნენ ისეთ საზიზღარ კამპანიას საბჭოთა კავშირის წითელი არმიის წინააღმდეგ, როგორიც იყო „მყრალი“ კამპანია ეგრედ წოდებულ „საბჭოთა ყუმბარების“ შესახებ, მათ კი ამ კამპანიას მხარი დაუჭირეს მეტად აქტიურად. მესამე, ისინი არ დაბეჭდავდნენ თავის გაზეთში საზიზღარ წერილებს წითელი არმიის, როგორც ბონაპარტიზმისა და ტერმიდორის იარაღის შესახებ.

მეოთხე, ისინი გასწყვეტდნენ კავშირს იმ პარტიასთან, რომლის ტაქტიკის ალფასა და ომეგას წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და წითელი არმიის ყოველდღიურად წასისინება კაპიტალისტების გულის მოსაგებად. არც ერთი ეს დასკვნა სოციალ - დემოკრატიული ფრაზის ამ „მემარცხენე“ გმირებს არ გამოჰყავთ იმიტომ, რომ ისინი რჩებიან საკოდავ, მაგრამ მეტათ მავნებელ პოლიტიკურ პროსტიტუტკებად, რომელთაც შეცდომაში შეჰყავთ გამემარცხენების გზაზე შემდგარი მუშები თავისი მოჩვენებითი სიყვარულით საბჭოთა კავშირისადმი.

ჩვენ წითელ არმიას, რომელმაც თავისი არსებობის ათი წლის თავი იზეიმა, გაბედულად შეუძლია უცქიროს თავის აწმყოსა და მომავალს. მიუხედავად საზიზღარი სიცრუისა, ნამდვილი სიმართლე წითელი არმიის შესახებ სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა რიგებში. და ეს წითელ არმიას უქმნის ისეთ უმაგალითო ძალას, როგორიც არ ჰქონია არც ერთ არმიას მსოფლიოში. იმავე მიზეზით წითელი არმია, რომელიც საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე სდგას, ნამდვილად წარმოადგენს საერთაშორისო რევოლიუციისა და საერთაშორისო პროლეტარიატის არმიას.

„პრავდა“, 1 მარტი.

ღამის ცნობები

კლასობრივი ბრძოლა გერმანიის ლითონის მრეწველობაში

ბერლინი, 1 მარტი. გერმანიის მელითონეთა კავშირის განცხადების თანახმად 24 თებერვალს განცხადდა მუშაობა შუა გერმანიის ლითონის მრეწველობის ყველა წარმოებში. კრუპის ლითონის ჩამომსხმელ ქარხნებში მაგდებურგში და ლითონის წარმოებებში ტალში ადმინისტრაცია შეეცადა [illegible] მუშაობის შემოღებას. მუშები არ დაემორჩილენ ამ განკარგულებას. გარლცგერიდში მწარმოებლებმა უარი განაცხადეს 80 მუშის უკან მიღებაზე, მაგრამ მუშების მკაცრი პროტესტის გამო 26 მუშა მიიღეს. მინდორფში მწარმოებლებმა ფაბრიკანტების თავმჯდომარემ მრეწველებს არ დართეს ნება დაეწყო მუშაობა. მუშებმა ამის გამო უარი განაცხადეს მუშაობის გაგრძელებაზე.

მელითონეები უარს [illegible] შეთანხმებაზე

ბერლინი, 29 თებერვალი. ზემო სილეზიის მელითონეთა პროფკავშირებმა აცნობეს მწარმოებლებს, რომ 31 მარტიდან ისინი გაუქმებულად აცხადებენ ამჟამად არსებულ შეთანხმებას ხელფასის განაკვეთების და სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ ზემო სილეზიის რკინისა და რკინის დამუშავების მრეწველობაში (ადს).

ზემო სილეზიაში

ბერლინი, 1 მარტი. ზემოსილეზიის ქვანახშირის მრეწველობის ყველა 5 პროფკავშირმა დაადგინა 31 მარტს გაუქმებულ იქნას შეთანხმება 8 საათის ზევით მუშაობის შესახებ. პროფკავშირები მოითხოვენ შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღებას მიწისქვეშა მომუშავეთათვის და 8 საათის სამუშაო დღის მიწის ზევით მომუშავეთათვის. ამის გარდა მადნის მეშახტეთა კავშირმა გაუქმებულად გამოაცხადა საერთო ხელშეკრულება ხელფასის შესახებ (ადს).

კანონი მობილიზაციის შესახებ ოსმალეთში

ანგორა, 28 თებერვალი. მეჯლისმა მიიღო ახალი კანონი მობილიზაციის შესახებ. ომის შემთხვევაში, ან თუ ამას მოითხოვს შინაური მდგომარეობა, მინისტრთა საბჭოს ეძლევა უფლება გამოაქვეყნოს დეკრეტი მობილიზაციის შესახებ გენერალურ შტაბთან შეთანხმებით. დეკრეტი მობილიზაციის შესახებ ძალაში შედის მისი რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცების შემდეგ.

ბელორუსიის გრომადის პროცესი გადადებულია

ვარშავა, 1 მარტი. ვილნოდან მიღებული ცნობებით, სასამართლომ დღევანდელ სხდომაზე დაადგინა გადადოს ბელორუსიის გრომადის პროცესი. ვარშავის დღევანდელ გაზეთებში არ არის მოთავსებული არავითარი ცნობები გრომადის პროცესის შესახებ. პოლონეთის დეპეშათა სააგენტოც არავითარ ინფორმაციას არ იძლევა გრომადის პროცესის შესახებ (ადს).

პოლიტპატიმართა ამნისტიისათვის

ბერლინი, 29 თებერვალი. რეიხსტაგის კომუნისტ-დეპუტატ შტეკერის წინადადებით რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ ერთხმად დაადგინა განიხილოს კომფრაქციის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის შესახებ. (ადს).

აკადემიკოს ბეხტერევის ხსოვნის უკვდავსაყოფა

მოსკოვი, 29 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ თავის სარეზერვო ფონდიდან გადასცა ტვინის შემსწავლელ სახელმწიფო რეფლექსოლოგიურ ინსტიტუტს 10.000 მანეთი აკადემიკოს ბეხტერევის ხსოვნის უკვდავსაყოფად. (ადს).

კომინტერნში

მოსკოვი, 1 მარტი. ვინაიდან გლეხთა საერთაშორისო ინტერნაციონალის გენერალური მდივანი ამხ. სმირნოვი დანიშნულია რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ინტერნაციონალის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა გენერალური მდივნის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. გლეხთა ინტერნაციონალის გენერალური მდივნის თანამდებობაზე დაინიშნა ამხ. ტეოდოროვიჩი.

ტირაჟი შესდგება ივნისში

მოსკოვი, 1 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა გლეხობის მიერ მრავალ კრებებზე გამოთქმული სურვილი, რათა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი უფრო ადრე გამართულიყო და დაადგინა, რომ მოგებათა პირველი ტირაჟი ოქტომბრის ნაცვლად ივნისში გამართოს. (ადს).

საბჭოთა კავშირში

დანიშვნები

მოსკოვი, 1 მარტი. საბჭოთა კავშირის ვიცე-კონსული პეხლევში ნოვუშნიკოვი დანიშნა საბჭოთა კავშირის კონსულად მაკუში (სპარსეთი) (ადს).

ალი-გოლი-ხან ანსარის გამგზავრება

მოსკოვი, 1 მარტი. ამხ. რიკოვმა მიიღო სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალი-გოლი-ხან ანსარი, რომელიც მიემგზავრება საბჭოთა კავშირიდან (ადს).

გლეხთა სესხის რეალიზაცია

მოსკოვი, 29 თებერვალი. რ. ს. ფ. ს. რ. ფინსახკომის ცნობებით, 25 თებერვლამდე გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი გასაღებულ იქნა შემდეგი რაოდენობით: ტამბოვის გუბერნიაში—75 პროც., ვორონეჟის—60 პროცენტი, ორლოვის—45 პროც., ივანოვო-ვოზნესენსკის გუბ.—40 პროც., ჩრდილო-კავკასიაში—30 პროც., ურალზე—25 პროც.

ხისტად მიმდინარეობს კამპანია ვოლგის გუბერნიაში, სადაც გასაღდა საორიენტაციო თანხის 3 პროც., კალუგის გუბ.—6 პროც., ტვერის, ტულის, ნიჟეგოროდის, ვიატკის, სამარის და ორენბურგის გუბერნიებში გასაღდა 7-დან 12 პროცენტამდე (ადს).

შინამრეწველ-ქალთა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 1 მარტი. შინამრეწველ-ქალთა პირველმა საკავშირო თათბირმა თავის რეზოლუციებში აღნიშნა, რომ მშრომელმა შინამრეწველ-ქალებმა მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს პირობებში მიიღეს ხელოსნო-კოოპერატიულ ორგანიზაციაში გაერთიანების საშუალება. კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით და ხელის შეწყობით ქალთა ხელოსნო-კოოპერატიული ორგანიზაციები მტკიცდება, ძლიერდება და შინამრეწველ-ქალებს აბამს სოციალისტურ მშენებლობაში. თათბირი აღნიშნავს, რა მნიშვნელოვან მიღწევას შინამრეწველ-ქალთა კოოპერაციაში შეკავშირების საქმეში, საჭიროდ სცნობს, რომ პარტიულმა, და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ შინამრეწველ-ქალთა და პირველ რიგში ღარიბ-ქალთა მაქსიმალურად ჩაბმას კოოპერაციაში (ადს)

კულტურული ბანდიტიზმი

ტვერი, 29 თებერვალი. საგუბერნიო სასამართლოში დღეს [illegible] საქმე 3000 წიგნის დაწვის შესახებ. წიგნები ეკუთვნოდა ფეიქართა კლუბს. საბრალმდებლო სკამზე ზის კლუბის 4 პასუხისმგებელი მუშაკი. საბრალმდებლო დასკვნიდან სჩანს, რომ დამწვარ წიგნებს შორის იყო მარქსის, ენგელსის, ლენინის, პლეხანოვის და სხვა ავტორების თხზულებანი. გასამართლება დიდ ინტერესს იწვევს (ადს).

საკავშირო ცაკის მესამე სესია

მოსკოვი, 1 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს 10 აპრილს საკავშირო ცაკის მეოთხე მოწვევის მესამე სესია. დღის წესრიგი: საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1927—28 წლის ბიუჯეტი, სახკომსაბჭოს მოხსენება და საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის მოხსენება, საბჭოთა კავშირის 1925—26 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და აგრეთვე ამავე წლის ბიუჯეტის შესრულების რევიზიის შედეგების დამტკიცება. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. საკავშირო ცაკის სესიებს შორის მიღებულ დადგენილებათა დამტკიცება. (ადს).

საბჭოთა კავშირის 1927—28 წ. ბიუჯეტი

მოსკოვი, 1 მარტი. სახალხო კომისართა საბჭომ და შრომისა და თავდაცვის საბჭომ განიხილეს საბჭოთა კავშირის მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დასამტკიცებლად წარუდგინა საკავშირო მთავრობას. სახკომსაბჭომ და შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცეს მთლიანი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 1927-28 წლისათვის 6.035.387.645 მანეთის რაოდენობით. 1926-27 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილთან შედარებით, საკავშირო მთავრობის მიერ მიღებულ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გადიდებულია 19 ნახ. პროცენტით. საგადასახადო შემოსავალი საკავშირო მთავრობის მიერ დამტკიცებულია 2.828.224.000 მანეთის რაოდენობით. არასაგადასახადო შემოსავალი 2.632.163.645 მან. რაოდენობით. შემოსავალი სახელმწიფო სესხებიდან საკავშირო მთავრობის მიერ დამტკიცებულია 523 მილიონ მანეთის რაოდენობით.

რაც შეეხება ბიუჯეტის საგასავლო ნაწილს, საკავშირო მთავრობამ იგი უწყებათა და დაწესებულებათა მიხედვით, რომლებსაც აქვს დამოუკიდებელი ხარჯთ-აღრიცხვა, განსაზღვრა 3.746.376.357 მანეთი, სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდებისათვის დამტკიცებულია თანხა 1.199.057.000 მანეთის რაოდენობით. მიმდინარე წლისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს საბიუჯეტო ასიგნებათა მნიშვნელოვანი ზრდა სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მისაწოდებლად ([illegible] პროც. მეტი). საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ 1927-28 წლის ბიუჯეტის პროექტი გადასცა საბჭოთა კავშირის ცაკს საბოლოოდ დასამტკიცებლად. (ადს).

საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის

თესვის კამპანიას უხელმძღვანელებს ამხ. ციურუპა

მოსკოვი, 1 მარტი. ვინაიდან საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი სახალხო მეურნეობისათვის, საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ციურუპას დაავალა თვალყური ადევნოს და კონტროლი გაუწიოს საბჭოთა მთავრობის მიერ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას, რომელიც დაკავშირებულია 1928 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან. ამხ. ციურუპას ეძლევა უფლება მოითხოვოს კავშირის ორგანოებისაგან, საერთო საკავშირო მნიშვნელობის ორგანიზაციებისაგან და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების რწმუნებულთაგან, ხოლო საჭირო შემთხვევაში რესპუბლიკანურ და ადგილობრივ სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციებისაგან, წარმოადგინონ ცნობები მიღებულ ღონისძიებათა და საგაზაფხულო თესვის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. უფლება ეძლევა წინადადება მისცეს ყველა დაწესებულებას, წარმოებებს და ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ გამოასწორონ დეფექტები საგაზაფხულო თესვის გატარებისათვის მიღებულ ღონისძიებებში და აგრეთვე საჭირო შემთხვევაში მისცეს [illegible] პასუხისგებაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში ამხ. ციურუპას უფლება აქვს კავშირის სახ. კომისართა საბჭოს სახელით გადასწყვიტოს საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებული საკითხები და მოაწყოს საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის მიღებულ ზომების გამოკვლევა, ამასთანავე ერთად საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაავალა მიმართოს გლეხობას მოწოდებით საგაზაფხულო თესვის სივრცის გაფართოების აუცილებლობის შესახებ. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 29 თებერვალი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პლენუმზე ამხ. მელნიჩანსკის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ორატორებმა დაადასტურეს მომხსენებლის ძირითად დებულებათა სისწორე. საბოლოო სიტყვაში ამხ. მელნიჩანსკიმ განაცხადა, რომ საკავშ. ცენტრ. პროფსაბჭ. უნდა შეიმუშაოს გადამჭრელი ზომები პროფკავშირების ფინანსთა გასაჯანსაღებლად. მოხსენების გამო რეზოლუციის შესამუშავებლად გამოყოფილია კომისია. (ადს).

მოსკოვი, 1 მარტი. 1 მარტს საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ფინის მოხსენება საურთიერთო დახმარების სალაროების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა მათი რეორგანიზაციის დადებითი შედეგები და კატეგორიულად წინააღუდგა სალაროების მიერ საბანკო კრედიტის მიღებას, რადგან ეს გარემოება სალაროებს ფინანსიურად ბანკების გავლენას უმორჩილებს და ფაქტიურად მათ კონტროლს უქვემდებარებს. კამათის დროს ორატორები იცავდნენ საბანკო კრედიტის სისტემას, რომელიც, მათის აზრით, სალაროების მუშაობას პოპულარულად ხდის მუშათა მასის თვალში.

საბანკო კრედიტის წინააღმდეგ გამოვიდა ამხ. ტომსკი; მან შეუწყნარებლად ჩათვალა, რომ სალაროები, რომლებიც პროლეტარიატის თვითმოქმედების სკოლას წარმოადგენენ, ბანკებისა და ფინანსთა კომისარიატის კონტროლს ქვეშ იყვნენ. პირიქით, მუშათა მასები უნდა უწევდნენ კონტროლს სახელმწიფოს საბანკო და საფინანსო აპარატს. ბანკის სესხი ხელსაყრელი არ არის მუშებისათვის, რადგან ამას მოჰყვება სესხის იძულებითი გადახდევინება და წესდებულების კონტროლის საშუალებით, ეს კი სალაროებს გადააქცევს მუშათა საკრედიტო ამხანაგობად. სესხს მისცემენ არა გაჭირვებულს, არამედ იმას, ვისაც უფრო მეტი უნარი აქვს გადახდისა. საბანკო კრედიტი ძირგამოუთხრის [illegible] პოლიტიკას და სალაროს ყოველგვარ მნიშვნელობას დაუკარგავს.

ამხ. ფინის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა საფუძვლად მიიღო პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წინადადება (ადს).

მოჯამაგირეთა შორის მუშაობის მორიგი ამოცანები

სოფლად მუშაობის ბევრ დარგში პარტორგანიზაციამ კარგ შედეგებს მიაღწია, მაგრამ მოჯამაგირეთა შორის მუშაობის შედეგები, მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, გვიჩვენებს, რომ ადგილობრივ ჯერ კიდევ გადაჭრილი არაა ყველა ის სერიოზული ამოცანა, რომელსაც პარტია აკისრებს სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატს.

ამიერ-კავკასიაში მოჯამაგირეთა თვალსაჩინო მასების არსებობა, რაც საუკეთესო დასაყრდენს ჰქმნის პარტიის პოლიტიკისათვის სოფლად, პარტიულ ორგანიზაციებს სერიოზულ ამოცანებს უსახავს. საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილებათა მიხედვით, ამ მუშაობის ძირითად პუნქტებს წარმოადგენს: მოჯამაგირეების მოქცევა პარტიული და პროფკავშირების ორგანიზაციების გავლენის ქვეშ; მათი ეკონომიური და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება; კულტურული დონისა და კლასობრივი თვითშეგნების ამაღლება და მათი სრული განთავისუფლება კულაკობის გავლენისაგან.

ამ მუშაობაში მთავარ ნაკლს წარმოადგენს პარტიული ხელმძღვანელობის სისუსტე და მოჯამაგირეების ფრიად ნაკლებად ჩაბმა პარტიაში. მოჯამაგირეების პროცენტი პარტიაში უდრის 1,2; უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში ამ პროცენტს ზრდის ტენდენცია არ ეტყობა. ბევრ რაიონში პარტიული ორგანიზაციები სისტემატიურ მუშაობას არ ეწევიან მოჯამაგირეთა შორის. იშვიათი არაა ისეთი მოვლენა, როდესაც უჯრედები არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ მოჯამაგირეთა შორის მუშაობისათვის, ან კიდევ ამ მუშაობის მთელი სიმძიმე აწევება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მუშების კავშირს. ზოგჯერ უჯრედებს ემჩნევათ, რომ სრულიად არ ესმით ამ მუშაობის დიდი მნიშვნელობა. ასეთი არანორმალური მოვლენანი აღნიშნეს საკავშირო კომპარტიის მე-10 ყრილობამ და პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა; მათ კონკრეტიული მითითებანი მოგვცეს იმის შესახებ, რომ პარტიაში ყოველნაირათ უნდა ჩავაბათ მოჯამაგირეთა აქტივი, რომელიც იზრდება საბჭოების, ღარიბთა ჯგუფების, კოოპერაციის და სხვათა მუშაობით; რომ უნდა გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა საკავშირო ორგანოთა კომფრაქციების ანგარიშის სისტემატიური მოსმენის გზით, კავშირის მუშაობის პერიოდული გამოკვლევის საშუალებით, უნდა დავაწინაუროთ გამოცდილი და მომზადებული პარტიულები მოჯამაგირეთა შორის მუშაობაზე, მოვაწყოთ კომუჯრედები იმ ადგილებში, სადაც მოჯამაგირეები ბლომად არიან და სხვა. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ეს ზომები, აგრეთვე ძირიანად უნდა შესცვალონ მუშაობა მოჯამაგირეთა შორის; ეს პრობლემა პარტიული მუშაობის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად უნდა დავისახოთ სოფლად.

ამჟამად მთავარ პრობლემას წარმოადგენს მოჯამაგირეობის ჩაბმა სასოფლო-სამეურნეო მუშების კავშირში. მთელ ამიერ-კავკასიაში დაახლოებით ითვლება 80.000-დან 100.000-დე სასოფლო-სამეურნეო მუშა, კავშირში კი მოქცეულია მხოლოდ 52.827 კაცი (1927 წლის 1 ივლისამდე); აქედან 31.062 მოჯამაგირეა. ეს გარემოება შედეგია სუსტი პარტიული ხელმძღვანელობისა სასოფლო-სამეურნეო მუშებზე და კავშირში მათი ჩაბმის მოუგვარებლობისა (პროფგამოცდა, საწევროს გაჭიანურება და სხვ.). უეჭველად უნდა განხორციელდეს ამ საკითხის ამომწურავი ჩვენი პარტიის მე-10 ყრილობის მითითება: „საჭიროდ იქნას ცნობილი სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის მუშათა კავშირის მუშაობის გაძლიერება ჯერ კიდევ შეუკავშირებელი მოჯამაგირეების დასარაზმად, აგრეთვე გაადვილდეს სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის მუშათა კავშირში ჩაბმა იმ ჯერ კიდევ ჩაუბმელ სოფლის ნახევარპროლეტარულ ელემენტებისა, რომელთათვისაც შრომის გაქირავება არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენს".

პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობაში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მოჯამაგირეთა აქტივის კადრების შექმნას, რადგან ეს აქტივი სოფლად პროლეტარული გავლენის საუკეთესო გამტარებელია. ამ მიზნით საჭიროა ფართოდ განვავითაროთ კავშირების მასიური მუშაობა, ყოველნაირად მივიზიდოთ მოჯამაგირეები უჯრედების ღია სხდომებზე, აგრეთვე ზომები მივიღოთ, რომ განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ მოჯამაგირეების (და მოჯამაგირე ქალების) დაწინაურება ყველა საზოგადოებრივ საბჭოთა ორგანიზაციებში, მეტადრე ხელმძღვანელ სამუშაოზე, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მუშაობას დაწინაურებულთა შორის და ყოველნაირად დავეხმაროთ მათ.

მთელ მასიურ მუშაობაში საგანგებო ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ მივიზიდოთ მოჯამაგირეები ღარიბ გლეხობაში სამუშაოდ, აგრეთვე ჩავაბათ ისინი საბჭოების საარჩევნო კამპანიაში და სხვა. უკანასკნელ დრომდე ღარიბ გლეხობაში მუშაობის ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ მოჯამაგირეობა ამ მუშაობაში მეტად სუსტადაა ჩაბმული. პარტიულმა ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა მოახერხონ, რომ მოჯამაგირეობა გადაიქცეს საარჩევნო კრებებისა და ღარიბთა კრებების ძირითად კადრად, აგრეთვე, რომ იგი იყოს პარტიული მუშაობის საუკეთესო გამტარებელი ღარიბი გლეხობის ორგანიზაციის საქმეში, ამავე დროს გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს კულაკობასთან, რომელიც აშინებს მოჯამაგირეებს იმ მიზნით, რომ ჩამოაშოროს იგი ამ მუშაობას.

რადგან მოჯამაგირეთა შორის ბევრი ახალგაზრდაა, პარტიულმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ ისინი სასოფლო-სამეურნეო მუშების კავშირის გავლენის ქვეშ მოექცნენ, ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ ახალგაზრდა მოჯამაგირეობა ჩაებას კომკავშირში, სათანადოდ მოეწყოს მასიური კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და პროფესიონალური აღზრდა. მთელ ამ მუშაობაში კომკავშირმა უნდა გამოიჩინოს დიდი თაოსნობა, მან უნდა მოახერხოს, რომ მოჯამაგირე ახალგაზრდობის ხვედრითი წონა გაიზარდოს კომკავშირის სოფლის ორგანიზაციებში.

მოჯამაგირეობის ეკონომიური დაცვის დარგში პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მოახერხონ მე-15 ყრილობის შემდეგ დადგენილებათა განხორციელება: ა) კულაკური ტიპის მეურნეობაში შრომის კოდექსის განხორციელება მოჯამაგირეობის (მათ შორის მოჯამაგირე ქალების) მიმართ; ბ) „დროებითი წესების" განხორციელება იმ მეურნეობაში, სადაც დამხმარე დაქირავებული შრომაა (სამუშაო დღე სეზონო მუშაობის დროს განისაზღვროს 10 საათი); გ) მოჯამაგირეობის სოციალური დაზღვევის ახალი კანონის განხორციელება; დ) მთელი მოჯამაგირეობის შეკავშირება კოოპერაციაში, რისთვისაც გამოყენებულ იქნას ღარიბი გლეხობის ფონდები, კოოპერაციის უკეთესად გამოყენება მოჯამაგირეების საჭიროებისათვის. გარდა ამისა, პარტიულმა ორგანიზაციებმა ზომები უნდა მიიღონ, რომ გაჯანსაღდეს საბჭოებთან არსებული მომრიგებელი კომისიების შემადგენლობა და სასამართლოს ორგანოებში სწრაფად გაირჩეს მოჯამაგირეების შრომის საქმეები; გაუმჯობესდეს მოჯამაგირეობისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენა, შრომის სასოფლო-სამეურნეო ინსპექციის მუშაობა და, ბოლოს ყოველმხრივ გაუმჯობესდეს მოზარდების ეკონომიური მდგომარეობა (უნდა გატარდეს ცხოვრებაში ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ მოზარდების სამუშაო დღე 8 საათით განისაზღვრებოდეს). რადგან ამიერ-კავკასიის მოჯამაგირეთა ხელფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში (ამიერ-კავკასიაში საშუალო ხელფასია 15 მანეთი, სხვა რესპუბლიკებში 20 მანეთი და მეტი), ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ, რომ თანდათან გადიდდეს მათი ხელფასი, აგრეთვე საკმაო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ შრომითი ხელშეკრულებები შეეხოს მთელ მოჯამაგირეობას.

მოჯამაგირეთა შორის კულტურულ განმანათლებელ მუშაობას უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ამიერ-კავკასიის თითქმის ყველა რაიონში ეს მუშაობა საგრძნობლად მოიკოჭლებს. ამ მუშაობას აბრკოლებს მოჯამაგირეობის შრომისა და ყოფაცხოვრების სპეციალური პირობები: მოჯამაგირეთა მასის დაქსაქსვა და ერთმანეთისაგან დაშორება, ადგილების ხშირი გადანაცვლება და სხვა. ასეთი პირობები უკარნახებს პარტიულ ორგანიზაციებს, რომ მთელი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ფორმები და მეთოდები შეუფარდონ ამ პირობებს (მაგალითად, წითელი „იურტების" ორგანიზაცია, პარტიული კრებების გამართვა, სკოლებში და წრეებში მეცადინეობის დანიშვნა და სხვა იმ დროს უნდა ხდებოდეს, როდესაც მოჯამაგირეებს შეიძლებათ მონაწილეობის მიღება). პარტიულმა ორგანიზაციებმა უეჭველად უნდა მოახერხონ, რომ მოჯამაგირეობამ წერა-კითხვა ისწავლოს სახელმწიფოს ხარჯზე, მათვე მაქსიმალურად უნდა ჩააბან მოჯამაგირეობა პოლიტსკოლებში, სხვადასხვა სკოლებში, სამკითხველოების მუშაობაში და სხვა. მე-15 ყრილობის დადგენილებათა თანახმად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მოჯამაგირე ახალგაზრდობის და მოჯამაგირეთა შვილების სწავლება გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში, პროფტექნიკურ სასოფლო-სამეურნეო სკოლებში და კურსებზე და სხვ. მთელ კულტურულ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ეროვნულ უმცირესობათა მოჯამაგირეობას დროინდელად აღმოუჩინოს დახმარება კულტურული მუშაობის მხრით, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს იგი საჭირო ლიტერატურით. ერთი სიტყვით სოფლად კულტურული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემა მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული მოჯამაგირეობის საჭიროებისათვის.

ვ. შუბირაძე.

საქართვ. ლენინურ კომკავშირის მე-9 ყრილობა

მეექვსე სხდომა

ყრილობის მე-6 სხდომა შესდგა გუშინ დილის 10 საათზე ამხ. ნესტოროვის თავმჯდომარეობით. გრძელდება კამათი ამხ. მ. გობეჩიას მოხსენების გარშემო.

ამხ. შატბერიშვილის სიტყვა

ორატორი ეხება კომკავშირის მიერ ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებას, და გადადის ფიზკულტურის მუშაობაზე. მისი სიტყვით ფიზკულტურის წრეების მუშაობა ადგილებზე საგრძნობლად მოისუსტებს. ახალგაზრდათა ჯანმრთელობის დაცვას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. გასამხედროება არ დგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. ესა თუ ის ორგანიზაცია დღეს დაადგენს ლაშქრობის მოწყობას და ხვალ გადის მანევრებზე, ეს მარტო ფორმალობაა. საჭიროა ძირითად მასის შესაფერად მომზადება.

ამხ. ზარხარიანის სიტყვა

ამხანაგებო, თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ნაც. უმცირესობათა შორის მუშაობაზე. ჩვენ პარტიულ კომიტეტებთან გვაქვს მოწყობილი სპეციალური განყოფილებები ნაც. უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ. კომკავშირის უმაღლეს ორგანოებში არის ასეთი განყოფილებები. აუცილებლად საჭიროა, ასეთების მოწყობა კომკავშირის ზოგიერთ დაბალ ორგანიზაციებში.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ, რომ კლუბებში ახ-სექციებში კარგად ვერ მუშაობენ. ჩვენ ვიცით რომ საკლუბო მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ახალგაზრდობა, მაგრამ ხშირად ასე გამოდის, რომ ადმინისტრაცია და ახ-სექციები ერთმანეთის წინააღმდეგ მიდიან. ფიზკულტურის დარგში მუშაობა ზედ-მეტევით მოისუსტებს, რასაც უსათუოდ ბოლო უნდა მოეღოს.—პარტხელმძღვანელობა გაუმჯობესდა, საჭიროა ამ ხელმძღვანელობის კიდევ უფრო გაძლიერება.

ამხ. ჯაფარიძის სიტყვა
(თბილისი)

აქ გამოსულმა ამხანაგებმა შეეხენ აღზრდის საკითხებზე, ჩვენი აქტივის მომზადების აუცილებლობაზე. ამისათვის ცეკას ცირკულარები არ არის საჭირო, არამედ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა უნდა მოაწყონ თვითგანვითარების წრეები.—საჭიროა პოლიტსკოლების ნაკლულოვანებათა შესწავლა და მისი გამოსწორება.

ამხ. ფვაბულიას სიტყვა
(აფხაზეთი)

ჩვენი საწარმოო უჯრედები ნაკლებათ იცნობენ ამა თუ იმ წარმოების მუშაობას. როდესაც უჯრედი ხსნის სამეურნეო ორგანოს ხელმძღვანელის მოხსენების გაგებას წარმოების მდგომარეობის და მუშაობის შესახებ, ადმინისტრაცია უარს ამბობს—„რა საჭიროა ეს თქვენთვისო".

შემდეგ მე უნდა შევეხო ახალგაზრდობის განათლების საქმეს. გასულ წელში და ეხლაც ჩვენ საშუალება გვქონდა გაგვეხსნა ახალგაზრდობისათვის საღამოს სკოლები, მაგრამ, ხშირად იმ დროს, როდესაც მოველოდით მეცადინეობის დაწყებას, ეს დაიკეტა. მე ვფიქრობ რომ მიმდინარე წელში ცეკა დაგვეხმარება საღამოს სკოლების გახსნის საქმეში.

ამხ. პერმზინკოვის სიტყვა

ჩვენ ფაბრიკა-ქარხნებთან გვაქვს დაარსებული საქარხნო სამეურნეო სკოლები, რომლებსაც არ ექცევა სათანადო ყურადღება, როგორც კომკავშირის, ისე პარტიულ ორგანიზაციებიდან, რასაც ცეკას ახალ შემადგენლობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. სკოლების კურსი ორ და სამ წლიანია. (წინედ 4 წლიანი იყო), ეხლა არის იმის ტენდენცია რომ კიდევ უფრო შემოკლდეს ეს დრო, რაც არანორმალურად უნდა ჩაითვალოს. სკოლებმა უნდა მოგვცეს კვალიფიციური მუშა ხელი, რაც ორ წელში არ მოიზადება.

ამხ. ბ. ჭელიძის სიტყვა
(სახ. უნივერსიტეტი)

ამხ. ჭელიძე უმთავრესად ეხება უმაღლეს სასწავლებლების მუშაობას და აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დრომდე თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა უმაღ. სასწავლებლები არსებობდნენ ისე, რომ არავითარი დამოკიდებულება არ ქონდათ სახელმწიფოსთან. ისინი წარმოადგენდნენ სახელმწიფოს სახელმწიფოში. უნივერსიტეტის რეორგანიზაციისათვის, მისი ბოლშევიზაციისათვის საჭირო იყო დასაყრდენი ძალის გამონახვა, რომელიც შესძლებდა ერთგვარ იდეურ გარდატეხას. ეს ახლა მოხდა.

მომავალში ცეკას მუშაობა სტუდენტთა შორის უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში: პირველი—გაუმჯობესებულ უნდა იქნეს სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობა და გადიდდეს სტიპენდიატთა რიცხვი.

მეორე—უნივერსიტეტიდან უნდა განიდევნოს მავნე ელემენტები, რომლებიც ხელს უშლიან როგორც აკადემიურ მუშაობას ისე ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცევა უმაღ. სასწავლებლებს.

ამხ. აზარაშვილის სიტყვა
(თბილისი)

ჩვენს ორგანიზაციაში აგიტაციის საქმე ცუდათაა დაყენებული. ჩვენ გვესაჭიროება მომზადებული პროპაგანდისტთა კადრები, რომელიც დღემდე ჩვენ არ გვყავდა. ჩვენ გვყავს კარგი მომუშავეები ეკონომიურ საორგანიზაციო მუშაობაში, მაგრამ აგიტძალები რომლის დახმარებით უნდა ჩავატაროთ სხვადასხვა კამპანიები—ჩვენ საკმაოდ არ გვყავს. ამ საკითხზე უნდა ვიზრუნოთ.

შემდეგ, ყრილობის ყურადღებას შევაჩერებ პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის სისტემაზე. ამ მუშაობისათვის მეთოდების ახსნამ ძალიან დააგვიანა, გვიან შეუდექით ამ საქმეს. ზოგიერთების შეხედულება ასეთია, რადგან პოლიტ-სწავლება ნებაყოფლობითია, მსურს მოვალ, მსურს არ მოვალო. ეს ტენდენცია უსათუოდ უნდა აღმოიფხვრას. გადავდივარ მასობრ-კულტურულ მუშაობაზე, ზოგიერთი ამხანაგები ასეთად გულისხმობდენ მხოლოდ გართობების მოწყობას. მე-15 პარტყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კულტურულ რევოლუციას, ამ მხრივ კომკავშირი სათანადოდ უნდა გამოეხმაუროს მას. ჩვენ აგრეთვე ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ თამბაქოს მოწევას, ლოთობას; უნდა გავავრცელოთ კომკავშირელთა შორის გაზეთი და სხვა. მეორე მხრივ ჩვენ უნდა ვეცადოთ კომკავშირელების კვალიფიკაციის აწევას, საერთო პოლიტ-განათლების დონის ამაღლებას და სხვა. ჩვენ ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობას.

ამხ. ულენტის სიტყვა
(კომკავშირის ცეკადან)

მე მინდა შევეხო ორ საკითხს—კომკავშირის გასამხედროებას და ფიზკულტურის დარგში მუშაობას, კომკავშირის გასამხედროებას დღეს დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს. საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციას დიდი მიღწევები აქვს ამ მხრივ, მაგრამ დღევანდელ მომენტში ეს მიღწევები არასაკმაოდ უნდა ჩაითვალოს. თვითეულ კომკავშირელმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სამხედრო ცოდნის შესწავლის საქმეში. დღეს სამხედრო მუშაობაში ჩაბმულია 15 ათასი კომკავშირელი. ამ მუშაობას ადგილებზე აქვს ნაკლიც, რაც უსათუოდ გამოსწორებულ უნდა იქნეს.

ოსოავიაქიმის საზოგადოებას თბილისსა და ბათომს გარდა არაფერი არ გაუკეთებია. ძლიერ ძვირია ვინტები, რის გამო მასიურად არ სწარმოებს სროლის შესწავლის საქმე. მომავალისათვის ყოველგვარი ზომები უნდა ვიხმაროთ, რათა უადო შევზულებაში გასული წ. არმიელები გამოვიყენოთ სამხედრო მუშაობაში. გასამხედროების საკითხის გატარება ჩვენ შესაძლოთ სასწავლებლებში, შემდეგში ეს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ, არ უნდა დარჩეს არც ერთი სკოლა გასამხედროების გარეშე. სკოლებში, ზოგიერთ შემთხვევაში არიან ასეთი ელემენტები, რომლებიც ხელს უშლიან ახალგაზრდობის გასამხედროებას. ასეთი ელემენტებიდან უნდა განვთავისუფლდეთ.—რაც შეეხება ფიზკულტურის დარგში მუშაობას, აქ გულახდილად უნდა ითქვას, რომ საქმე არ არის თავის დონეზე დაყენებული. მომავალში ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ინსტრუქტორთა კადრი. დღეს მიდის დისკუსია ფიზკულტურის საკითხის გარშემო, რაც უსათუოდ მოგვცემს სწორ ხაზს. შემდგომი მუშაობისათვის.

ამხ. ვოლსკის სიტყვა

ცენტრალური კომიტეტის მიღწევებთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კომკავშირულ პრესას. აქ ადგილი ქონდა ზოგიერთ ამხანაგების არა საქმიან გამოსვლას, რომლებიც აღნიშნავდენ, რომ გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" ვერ აკმაყოფილებს ჩვენს აქტივს ამისთვის ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, თუ ვის ემსახურება ჩვენი გაზეთი. გაზეთს აღებული აქვს ერთგვარი გარკვეული ხაზი და ემსახურება უმთავრესად კომკავშირის ფართო მასას. ამის საუკეთესო მაჩვენებელია გაზეთის ტირაჟის ზრდა, რომელიც 11 ათასამდე აღწევს. გაზეთი ამით უკვე დაუახლოვდა მასას. რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს, მართალია, ზოგიერთ შემთხვევებში ადგილებზე არ მიდის გაზეთი თავის დროზე, ამით კი ხელის მომწერთა რიცხვი კლებულობს, მაგრამ ამაში მარტო რედაქცია არ არის დამნაშავე. აქ ფოსტასაც ერთგვარი ბრალი მიუძღვის. ფოსტის ზოგიერთი თანამშრომლები არ არიან დაინტერესებული გაზეთის თავის დროზე მიწოდებით. გარდა ამისა ადგილებიდან მოგვდის ფული და არ ვიცით ვის. სად და რამდენი ცალი უნდა გავგზავნოთ. ცხადია ასეთ პირობებში ადგილი ექნება 5—10 შემთხვევას, რომ გაზეთი თავის დროზე არ მიდის მკითხველს.

ამხ. ვოლსკი დასასრულ ვრცლად ჩერდება ჟურ. „ახალგაზრდა ბოლშევიკის" შინაარსზე და მის დანიშნულებაზე.

გარდა ამისა კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მამალაძემ, დონიშვილმა და სხვ.

ამხ. გ. დევდარიანის მისალმება

ყრილობას მიესალმა საქ. კომკავშირის ორგანიზაციის ერთ-ერთი დამსახურებული და ხელმძღვანელი ამხ. გაიოზ დევდარიანი.

ამხანაგებო! ამის წინად საქ. კომკ. ცენტრალურმა კომიტეტმა პირველ ქართულ დივიზიის ნაწილს გადასცა წითელი დროშა. ეს იმის გამომხატველია, რომ ჩვენ ვართ ერთგული დამცველი საბჭოთა ხელისუფლების. ჩვენს ქართულ პირველ დივიზიაში 80 პროც. კომკავშირელია. ზოგიერთი კომკავშირელები ვერ დგანან თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

წითელი არმია დამცველია დაჩაგრულ ხალხის, საქ. კომკავშირს აქვს მდიდარი წარსული. ეს მან დაამტკიცა მენშევიკების ბატონობის დროს. საქ. კომკავშირელები მომავალშიაც შესძლებენ ღირსეულად ატარონ წითელი დროშა, მე დარწმუნებული ვარ, რომ კომკავშირელები საჭირო დროს ათასობით გამოვლენ კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქ. პირველი ქართული დივიზია ულრმეს რწმენას გამოთქვამს, რომ კომკავშირი ღირსეულად შეასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანას.

კამათის დახურვის შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. გობეჩიას საბოლოო სიტყვა.

ამხ. მ. გობეჩიას საბოლოო სიტყვა

ამხ. გობეჩიამ თავის საბოლოო სიტყვაში პირველად პასუხი გასცა შემოსულ შეკითხვებზე, რის შემდეგ შეეხო გამოსულ ამხანაგების სიტყვებს.

ამხანაგებო, ეხლა შევეხები ჩვენი დელეგატების გამოსვლებს ცეკას ანგარიშის ირგვლივ. თვით კამათი, რომელსაც ჰქონდა აქ ადგილი ცენტრალური კომიტეტის მუშაობის გარშემო, მოწმობს იმას, თუ რამდენათ გაიზარდა ჩვენი ორგანიზაცია და მისი აქტივობა. ამხანაგები გამოდიოდენ და აღნიშნავდნენ იმ მიღწევებს და ნაკლოვანებებს, რომლებიც იყო ჩვენ ორგანიზაციაში. მე მგონია, რომ ის მიღწევები, რომლებიც აქვს კომკავშირის ორგანიზაციას ამტკიცებს ამ ორგანიზაციის სიმტკიცეს და მთლიანობას.

აქ იყო ლაპარაკი აქტივის შესახებ. ბევრმა ამხანაგმა ილაპარაკა აქტივის არასაკმაოდ ზრდას და მისი პარტიზაციის შესახებ. მართალია აქტივის საკითხი ჩვენი ორგანიზაციის განვითარებაში არის ერთად-ერთი სერიოზული საკითხი. ჩვენი ორგანიზაციის მომავალი განვითარება დამოკიდებული არის იმაზე, თუ რამდენად მომზადებული აქტივი გვეყოლება. თუ ორგანიზაციის ზრდასთან ერთად არ გვეყოლება სათანადო აქტივი, ისე ორგანიზაცია ვერ განაგრძობს წინ სვლას. მართალია, ჩვენი აქტივის აღზრდის საქმეში არის მიღწევები, ამას ადასტურებს ჩვენი ორგანიზაციის მდგომარეობა, მაგრამ არის თუ არა საკმარისი ის მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს? მე ვიტყვი, რომ ჯერ-ჯერობით არა. ჩვენ მოხსენებაში ფართოდ შევეხე ამ საკითხს, მაგრამ კიდევ უნდა შევჩერდე ერთ საკითხზე: აღვნიშნავ აქტივის წამოწევას, მუშურ და ღარიბულ ახალგაზრდობისაგან. ერთმა ამხანაგმა ილაპარაკა იმ ციფრებზე, რომელიც ჩვენ დავიჭირეთ, მაგრამ ამ ციფრებში ბევრი შეცდომა არის სოციალურ ჯგუფების შესახებ. საჭირო არის მომავალში ც. კ. შეცდომები არ დაუშვას და მოახდინოს ხელახალი აღრიცხვა ჩვენი აქტივის სოციალური მდგომარეობის.

აქტივის ზრდა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმასთან, თუ როგორ მიუდგებით ამ საკითხს. აქ აღნიშნული იყო, რომ აქტივის ზოგიერთი ჯგუფები დატვირთული არიან მუშაობით და ზოგიერთი კი წვრილმან საქმეებს კეთებენ. ცეკას პლენუმის დადგენილებაში ნათლად არის ნაჩვენები თუ როგორ უნდა ჩავაბათ აქტივი მუშაობაში.

შემდეგი საკითხი იყო ფასიანი მდივნების შესახებ. ამხანაგებო, თუმცა მე-8 ყრილობამ გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, რომ თემებში გვყოლოდა ფასიანი მდივნები, მაგრამ ეს დადგენილება შესცვალა მე-8 პლენუმმა, თუმცა უფლება არ გვქონდა გაგვეუქმებია ყრილობის დადგენილება, მაგრამ ჩვენი დადგენილება შეუფარდით არსებულ პირობებს ცხოვრებამ სულ სხვა რამ დაგვანახვა, იმ თემებში, რომლებსაც ფასიანი მდივნები ჰყავს. მთელი მუშაობა აწვება ფასიან მომუშავეებს მას უყურებიან, რომ შენ ჯამაგირს ღებულობ და შენ გააკეთე ყველაფერიო. მე არ ვიცი სად არ გამართლდა თავისი მუშაობა უფასო მდივნებმა, ჩვენ კი ვიცით, რომ იმ მასალის მიხედვით, რომელიც ჩვენ ხელთ გვაქვს მუშაობა იგივ სიმაღლეზე ხდება.

შემდეგი საკითხი ეხება კ. კ. ორგანიზაციის ზრდას. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ნაკლებათ ილაპარაკეს ამის შესახებ 50 პროც. მთელი მუშა-ახალგაზრდობისა ჩვენ რიგებშია არის. მომავალში ჩვენ უნდა განვაგრძოთ მუშა-ახალგაზრდობის ხარჯზე ზრდა. გარდა ამისა გაძლიერებულ უნდა იქნეს მოჯამაგირეთა შორის მუშაობა, რათა ისინი ჩავაბათ კავშირის მუშაობაში.

უნდა შევეხო აგრეთვე პარტიაში გადარიცხვის საკითხს. ჩვენ მივიღეთ მრავალი ანკეტები მაზრებიდან, რომელსაც ჩვენ გადავგზავნით პარტიის ც. კ.-ში დასამტკიცებლად, რა არის მიზეზი, რომ აქამდე დამტკიცებული არ არიან პარტიაში? აქ არის დაშვებული შეცდომები. ადგილობრივ ორგანიზაციები ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ღარიბის გლეხის გადარიცხვას პარტიაში. მე არ ვიტყვი, რომ კომკავშირელი ღარიბს პარტიის გარეშე, მაგრამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბის გლეხურ-ახალგაზრდობას.

უნდა შევეხო აგრეთვე კომკავშირის მონაწილეობას სხვადასხვა საზოგადოებრივ დარგში. ამხ. მახათაძემ და ბერიძემ დასვეს საკითხი [illegible] შესახებ და აღნიშნული იყო [illegible] ბრძოლა. რა თქმა უნდა ასეთ მოვლენებთან ბრძოლა საჭიროა, მაგრამ ჩვენი ორგანიზაცია დღეს მუშაობს უფრო ფართო აპარატზე გადავიდა, ის მუშაობს საბჭოთა და პარტიულ ხაზით.

ეხლა გასამხედროების დარგში მუშაობის შესახებ. მე მოვიყვან ზოგიერთ ფაქტებს „ოსო-ავიაქიმის" მუშაობიდან. „ოსო-ავიაქიმი" სრულებით ანგარიშს არ უწევს კომკავშირის ორგანიზაციას, ამის დამამტკიცებელია შემდეგი: ამას წინედ მოხდა „ოსო-ავიაქიმის" ორგანიზაციის თათბირი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან იყვნენ წარმომადგენლები და ჩვენმა ც. კ. ამის შესახებ არაფერი იცოდა. საჭიროა შევეხოთ აგრეთვე ტყვიების საკითხს თითო ტყვია ავია-ქიმს უღირდა ორი კაპეიკი, და ყიდის 10 კაპეიკათ. სადა აქვს გლეხს საშუალება, რომ იყიდოს ტყვია. საჭირო არის მომავალში ამას გაუწიოს ორგანიზაციამ ანგარიში, რომ ასეთ შემთხვევებს ადგილი არ ექნეს.

ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ შევძელით კომკავშირელთა ასი პროცენტით გასამხედროების საქმეში ჩაბმა. საჭირო არის ყველა დირექტივები გავატაროთ ცხოვრებაში დაუყოვნებლივ. ერთი ხელის დაკვრით ყველაფერს ვერ გავაკეთებთ, მაგრამ უნდა ვეცადოთ თანდათან გავაუმჯობესოთ ამ მიმართულებით მუშაობა.

მე ვეთანხმები ამხანაგებს, რომლებიც აღნიშნავენ ნაკლოვანებებს, მუშათა და გლეხთა განათლების საკითხში. ბევრი იყო ამის შესახებ ლაპარაკი. დღეს ჩვენმა აქტივმა შეიგნო, თუ რა მნიშვნელობა აქვს სოფლის გლეხურ ახ. სკოლებს. საჭირო არის, რომ შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი გლეხ-ახალგაზრდობის სკოლების სასარგებლოდ. გლეხურ ახალგაზრდობისათვის უნდა იქნეს მოწყობილი სხვადასხვა კურსები, სადაც ისინი ისწავლიან რამეს სპეციალობას.

შემდეგ მინდა შევჩერდე მუშა-ახალგაზრდობის მომზადების საკითხზე. აქ გამოვიდა ერთი ამხანაგი, რომელმაც აღნიშნა, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში არ არის კარგად დაყენებული კვალიფიკაციის საქმე. ჩვენ ამ დარგში უნდა გავაუმჯობესოთ მუშაობა, რომ ახალგაზრდობა დავაინტერესოთ.

ამხანაგებო, აქ ამხ. ჭელიძემ გაგაცნოთ სახ. უნივერსიტეტის მდგომარეობა. მან აღნიშნა, რომ ორი წლის განმავლობაში დიდი მიღწევები გვაქვს, წარსულ წელს უნივერსიტეტში ჩვენ შევიყვანეთ 400 კომკავშირელი, წელს კი 600. აქ მუშაობა შედარებით გაუმჯობესდა. უნივერსიტეტში ჩვენ გვებრძვიან ანტი-საბჭოთა ელემენტებიც სხვადასხვა პროვოკაციონიზმით. ასეთ მოვლენას უნდა შევებრძოლოთ.

სინკის წარმომადგენელმა აქ აღნიშნა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის კონკურსი უნდა შეიცვალოს. ამის შეცვლა დაუშვებლად მიმაჩნია. ის ამხანაგები, რომლებიც ათავებენ ცხრაწლედებს, მიდიან უმაღლეს სასწავლებლებში. ასეთებს კი რამდენიმე ათასი კაცი ათავებს. უნივერსიტეტში კი უნდა შევიდეს 400—500 კაცი. ამიტომ არის საჭირო კონკურსი. კომკავშირელების მოსამზადებლად თბილისში გახსნილია უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებად მოსამზადებელი კურსები. ასეთი კურსები ზოგიერთ მაზრებშიაც იქნება გახსნილი.

ამხანაგებო, ზოგიერთებმა აქ ილაპარაკეს იდეოლოგიურ ფრონტზე და პოეტებზე, მართალია ამ დარგში მუშაობა ცუდათ არის დაყენებული, რასაც ცეკამ ყურადღება უნდა მიაქციოს. ლაპარაკი იყო გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტის" შესახებ. ამ გაზეთის ერთ-ერთი რედაქტორი მე ვარ. ბევრი საჩივარი იყო, რომ ეს გაზეთი არ აკმაყოფილებს აქტივს. ამხანაგებო, ეს გაზეთი არის მასისათვის და არა აქტივისათვის. კავშირის ფართო მასა გაზეთით კმაყოფილია. ჩვენ ამ დარგში ბევრი მიღწევები გვაქვს. შეიძლება უარყოფითი მხარეებიც ქონდეს მაგრამ გაზეთმა გამოაცოცხლა კომკავშირის მუშაობა.

მე მგონია ჟურნალ „ახალგაზრდა ბოლშევიკი" არ არის საყვედურის ღირსი. ჩვენმა ჟურნალმა დიდი დახმარება გაუწია ჩვენს აქტივს ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეხლა რელიგიის შესახებ. ჩვენი ახალგაზრდობა ზოგჯერ მიდის ეკლესიის გალავანში, სწორედ რიგში აქ იმისთვის, რომ ლოცვის შემდეგ იწყება თამაში. დღეს იზრდება სხვადასხვა სექტები. ასეთი სექტები არსებობენ ბორჩალოს, ახალ-ქალაქის, ახალციხის მაზრებში და თბილისშიაც კი. ეს სექტები გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ ახალგაზრდობის დასაპყრობისათვის. ამას ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ კომკავშირის საქმიანობა.

შემდეგ შევეხები ფიზკულტურის საკითხს. ფიზკულტურის დარგში საქმიანობა ძალიან მოისუსტებს. მე მიკვირს რატომ ამხ. კიკნაძე არ გამოვიდა კამათში. ც. კ. უკანასკნელ ხანებში გააძლიერა ხელმძღვანელობა ფიზკულტურის მუშაობაზე, მაგრამ მიღწევები და შედეგები მცირე არის. რა არის ამის მიზეზი? ის რომ საკმაო მუშაკები არა გვყავს. მეორეთ საჭიროა მთლიანად მოხდეს რეორგანიზაცია ფიზკულტურის დარგში. რაც შეეხება მომუშავეებს, ისინი თანდათან უნდა გადავახალისოთ. ჩვენ გვყავს ისეთი ხელები, რომლებიც არ სცნობენ კომკავშირს და მისგან შორს დგებიან. ასეთი ხელები უნდა მოვიშოროთ.

უკანასკნელი საკითხი არის ქალთა შორის მუშაობა, აქ ამხანაგებმა აღნიშნეს სისუსტე რომელიც ახასიათებს ქალთა შორის ჩვენს მუშაობას. ერთმა ამხანაგმა ილაპარაკა გორში კომკავშირიდან გასულ ქალების შესახებ. ამის მიზეზი არის შემდეგი: 24 წელში გორის მაზრაში იყო მოწვეული ახ. ქალთა თათბირი, სადაც ბევრ რამეს დაპირდენ ქალებს, მაგალითად პრა-კურსის სკოლის გახსნას და სხვა ამისთანა დაპირებამ გავლენა მოახდინა ქალებზე ისინი ეწერებოდენ ორგანიზაციაში და შემდეგ, როდესაც დაპირება არ ასრულდა ნელ-ნელა გავიდენ კომკავშირის რიგებიდან.

დასასრულ მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს კომკავშირის ორგანიზაცია მომავალში პარტიასთან ერთად წავა ახალ მიღწევებისაკენ.

კომისიის არჩევა რეზოლუციის შესამუშავებლად

ამხ. მ. გობეჩიას საბოლოო სიტყვის შემდეგ ცეკას ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა ყრილობამ სცნო დამაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიტიკური ხაზი სწორად.

ამის შემდეგ ცეკას საანგარიშო მოხსენების ირგვლივ მისაღები რეზოლუციის შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია 33 ამხ. შემადგენლობით:

ამხ. გობეჩია, ჯავახიძე, არუთინოვი, ნესტოროვი, სიდამე, ჩაკვეტაძე, ბერეჟნოი, ფურცხალავა, ვარდოსანიძე, გასიევი, კუპრაძე, ბუჯიაშვილი, ზვიადაძე, მახათაძე, ჯიჯიხიაძე, მერკვილაძე, ულენტი; გაერიში, კაკაბაძე, წოფურია, მაისურაძე, იზბანოვი, გოგელაძე, ხაჩიკიანი, ხაბაგლიშვილი, ბერიძე, ხეჩუმოვი, [illegible] აზარაშვილი, ჩხეტია. კობახიძე და კვერნაძე.

დასასრულ, ამხ. ძნელაძის [illegible] ფონდის გასაძლიერებლად შეგროვილ იქნა დელეგატების [illegible]—12 მან. შორაპნის—50 მან. ქუთაისის—56 მან., ფოთის—12 მან., ახალციხის—12 მანეთი და სამხრეთ-ოსეთის—25 მან.

ამით დამთავრდა ყრილობის მეექვსე სხდომა.

საღამოს სხდომაზე, სოფლად მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბ. ჯაფარიძემ.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმი

1 მარტს საღამოს 7 საათზე სახალხო წითელ დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის მორიგი პლენუმი. მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი: 1. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მუშაობის გეგმა 1927-28 წლისათვის და ამ მუშაობის მდგომარეობა ამჟამად. (მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარის ამხ. დოლიძის მოხსენება და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის წევრის ამხ. მარკაროვის თანამოხსენება); 2. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პარტკოლეგიის მუშაობის გეგმა (პარტკოლეგიის თავმჯდომარის ამხ. ბოტურას მოხსენება); 3. ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შედეგები (ამხ. მარკაროვის მოხსენება); 4. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრ. საკონტროლო კომისიის რწმუნებულის ინფორმაციული ცნობა პარტსამეურნეო მუშაობის შესახებ ქუთაისის მაზრაში.

ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. დოლიძის მოხსენება და ამხ. მარკაროვის თანამოხსენება, რის შემდეგ დაიწყო კამათი.

პლენუმის სხდომებზე ესწრებიან საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციიდან სპეციალურად მოწვეული ძველი არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკები (ადს).

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის პლენუმი

ბაქო, 29 თებერვალი. გაიხსნა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მორიგი პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგშია ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 15 და 20 პროცენტით შემცირების გატარების შედეგები, საკონტროლო კომისიის და მუშ. და გლ. ინსპექციის მუშაობის გეგმა და ტროცკისტულ ოპოზიციის ლიკვიდაციის შედეგები.

ამხ. მირზაბეკიანის მოხსენებიდან ადმინისტრატიულ სამმართველო ხარჯების შემცირების გატარების შედეგების შესახებ გამოირკვა, რომ 15 პროცენტიანი შემცირება შესრულებულია 10,7 პროცენტით, რაც იძლევა 1.964.000 მანეთის ეკონომიას.

20 პროცენტიანი შემცირების გატარება იძლევა საერთოდ 3.380.000 მანეთის ეკონომიას, ანუ 16,6 პროც.

მუშაობის დეფექტებიდან მომხსენებელმა პირველ ყოვლისა აღნიშნა აპარატების წინააღმდეგობა, რაც გამოიხატება დირექტივების დაგვიანებით შესრულებაში, ხრის დაწესებულებები, რომლებსაც დღემდე არ წარმოუდგენიათ ხარჯთაღრიცხვები, პრესა და პროფორგანიზაციებიც სუსტ მონაწილეობას იღებდნენ დირექტივების გატარებაში. ამის გამო მუშაობა ხარჯების შემცირებისათვის დამთავრდა მხოლოდ თებერვალში 1 ოქტომბრის ნაცვლად.

კამათის და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა აირჩია კომისია ამხ. მირზაბეკიანის მოხსენების გარშემო პრაქტიკულ წინადადებების გამოსამუშავებლად (ადს).

შორდებიან ოპოზიციას

თბილისის ორგანიზაციის 12 წევრმა და კანდიდატმა: ამხ. ზაქარია მჭედლიძემ, გიორგი აზრუმანოვმა, ვასილ კლდიატაროშვილმა, ალექსანდრე ნიკოლაევმა, კონსტანტინე ვაშაძემ, გრიგოლ აბულაძემ, ნიკოლოზ ცინცაძემ, ა. კატალეცკაიამ, გიორგი ჩაჩანიძემ, მიხეილ ბახტაძემ, გრიგოლ ხოროძემ ხარჯის ნაზარიანმა შეიტანეს განცხადება, რომ ისინი იმიჯნებიან ტროცკისტული ოპოზიციისაგან.

ამხ. ზაქარია მჭედლიძე, პარტიის წევრი 1917 წლიდან, მუშა, თავის განცხადებაში სწერს: „მე-15 პარტყრილობამ აშკარად გამოარკვია, რომ ოპოზიცია არ მიდის სწორი გზით და სცდილობს შექმნას მეორე პარტია. ვღებულობ რა მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს, მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს გავატარო ცხოვრებაში ეს გადაწყვეტილებანი. ვიმიჯნები ოპოზიციისაგან, როგორც იდეურად, ისე ორგანიზაციულად".

ამხ. ვასილ კლდიატაროშვილი, პარტიის წევრი 1921 წლიდან, მუშა, სწერს:

„1926 წლიდან ვიზიარებდი ოპოზიციის შეხედულებებს და მონაწილეობას ვიღებდი ფრაქციულ მუშაობაში. მე-15 პარტყრილობამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ოპოზიცია სცდილობს მეორე პარტიის შექმნას. მეორე პარტია—არის ლენინიზმის უარყოფა და მუშათა კლასის მონაპოვართა ღალატი. მე, როგორც მუშა, მოვალედ ვსთვლი თავს გავიმიჯნო ოპოზიციისაგან, უარვყო ყველა მისი შეხედულებანი და მხარი დავუჭირო პარტიის ყველა გადაწყვეტილებებს. ოპოზიციის რიგებში ყოფნის ერთი წლის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ოპოზიციის შეხედულებანი აშკარად შემცდარია და მიუღებელია მუშათა კლასისათვის, ვხსნი ჩემს ხელმოწერას „83"-ის განცხადებიდან.

ამხ. ალექსანდრე ნიკოლაევი, პარტიის წევრი 1924 წლიდან, მუშა, აცხადებს შემდეგს: „მე ერთხანს ვერ გავერკვიე პარტიის სწორ ხაზში სოფლად მუშაობის დარგში. მას შემდეგ, რაც ეს საკითხი დამუშავებულ იქნა ყრილობებში, მე ეჭვი აღარ მეპარება იმაში, რომ პარტიის მიერ აღებული კურსი ამ საკითხის გადასაწყვეტად სწორია. ოპოზიციის შეხედულება, რომელსაც მეც უერთდებოდი ამ საკითხში, აღმოჩნდა წვრილბურჟუაზიული, [illegible] ვიყავი, ხოლო ამ შეხედულების დაცვა—კონტრ-რევოლუციურია. ამის გამო მე სავსებით ვეთანხმები მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს ოპოზიციის შესახებ და სავალდებულოდ ვსთვლი პარტიის ყველა გადაწყვეტილებებს და ყოველი ძალღონით შევუწყობ ხელს მათ გატარებას ცხოვრებაში". (ადს).

ა.-კ. პარტიული კინო-თათბირი

პირველი დღე

გუშინ საღამოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან გაიხსნა თათბირი კინო საკითხების შესახებ.—თათბირი გახსნა ამხ. ლისოვსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის კინო-თათბირმა და აგრეთვე ახლახან დამთავრებულმა რესპუბლიკანურმა კინო-თათბირებმა საფუძველი უნდა ჩაუყარონ პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობას კინო-მუშაობის დარგში.

შემდეგ თათბირმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) კინო მრეწველობის შედეგები და პერსპექტივები ამიერ-კავკასიაში, 2) პარტხელმძღვანელობის პრინციპები კინემატოგრაფიის დარგში, 3) კინემატოგრაფია და ბეჭდვითი სიტყვა კინოს შესახებ. 4) სამეურნეო და ორგანიზაციული საკითხები.

კინო-მრეწველობის შედეგები და პერსპექტივები ამიერ-კავკასიაში

მომხსენებელი ამხ. სუტირინი

ამიერ-კავკასიის საბჭოთა კინემატოგრაფიამ, ამბობს მომხსენებელი,—თავის არსებობის პირველი დღიდან უკანასკნელ დრომდე გამოუშვა დაახლოებით ორასი სურათი. აქედან 44 მხატვრული ფილმაა, დანარჩენები კი წარმოადგენენ უმთავრესად მოკლე მეტრაჟიან ქრონიკას, რომელიც, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს კინმრეწვისაგან არის გამოშვებული, რასაკვირველია, არ გამოხატავს „საბჭოთა საქართველოს მთელ აღმშენებლობას", როგორც ამას აცხადებს ეს კინო-ორგანიზაცია. ის მიღებული კლასიფიკაცია, რომლის თანახმად სურათები ნაწილდება ისტორიულ-რევოლუციონურ, ისტორიულ ყოფა-ცხოვრებით და თანამედროვე თემების გამომხატველ სურათებათ, ვერ უძლებს კრიტიკას. არ შეიძლება ყოფა-ცხოვრების ამსახველ სურათების ცალკე კატეგორიად გამოყოფა და ამ სახეობის სურათების რევოლუციონურ-ისტორიულ და თანამედროვე სურათების ციკლიდან გამოთიშვა. სწორი კლასიფიკაციის უქონლობა ახდენს უარყოფით გავლენას ამიერ-კავკასიის კინო-პროდუქციის იდეოლოგიურ ღირსებაზე. თავისი თემების მიხედვით ამიერ-კავკასიის კინო-წარმოების სურათების უმრავლესობა გამოხატავს ამიერ-კავკასიის, წარსულს, რომელიც ბევრი სურათების მიერ იდეალიზაციით არის წარმოდგენილი. ამის საუკეთესო მაგალითია საქართველოს სახკინმრეწვის მიერ გამოშვებულ ერთ-ერთი სურათის მთავარი გმირი „არსენა ყაჩაღი", წარსულის იდეალიზაციის ელემენტებსა ვხვდებით აგრეთვე აზკინოს სურათში „ლეგენდა ქალწულთა კოშკზე". თვით ფორმალური თვალსაზრისით ყველაზე კარგად გაკეთებული სურათი (საქართველოს სახკინმრეწვის გამოშვება) „სამი სიცოცხლე", მის მაგვარად, რომ მაყურებელს წარმოადგენს საქართველოში კაპიტალის პირველი დაგროვების ეპოქის სურათი, ყველა მისი უარყოფითი მხარეებით, იძლევა მელოდრამას,—სადაც გიორგი წერეთლის რომანის საუკეთესო იდეოლოგიური ნაკლოვანებანი კიდევ უფრო გაღრმავებულია. ამავე სახკინმრეწვის სურათი „ხანუმასაც" ასეთივე ხასიათი აქვს. ამ სურათში გამოხატულია ერთგვარი სიმპატია ძველი თბილისის დაკარგულ დროებაზე.—თავად-აზნაურულ ყოფა-ცხოვრებაზე. იდეოლოგიური მხრით კრიტიკას ვერ უძლებს აგრეთვე სახკინმრეწვის დადგმები ლერმონტოვის მოთხრობათა სიუჟეტებზე.

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ თუ გაგრძელდა ეროვნულ ფილმების ასეთ განმტკიცებულ საბჭოთ მიხედვით დამუშავება, ყოველთვის მივიღებთ იდეოლოგიური ხაზის გამრუდებას ასეთი ნაციონალისტური გადახრის გამო. სომხეთის კინოს მთელი პროდუქცია თვალსაჩინო მაგალითია ამის. რომელიც მთლიანად გაჟღენთილია ნაციონალისტური, უკეთეს შემთხვევაში, ბურჟუაზიულ-ლიბერალური იდეოლოგიით.

ამჟამად საბჭოთა რუსეთში ძველ კლასიკურ სკოლისა და ახალგაზრდა მემარცხენე სკოლის (ეიზენშტეინი, პუდოვკინის და სხვა). შორის სწარმოებს გაცხარებული ბრძოლა: მემარცხენე ფრთა იცავს კინოს, როგორც თეატრისაგან დამოუკიდებელ ხელოვნების ერთ სახეობას. ამ ბრძოლას დღემდე თავი არ უჩენია ამიერ-კავკასიაში, დღემდე ჩვენ არა გვყავს იდეოლოგიურად ჩვენთან დაახლოვებული რეჟისორთა ახალი კადრები, რომლებიც გაურბოდნენ შაბლონს და ეძებდნენ ახალ ფორმებს ამიერ-კავკასიის კინემატოგრაფიისათვის. ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ ჩვენი რეჟისორების შემადგენლობა საკმარისად კულტურული არ არის, ჩამოშორებულია თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებას და შეზღუდულია ვიწრო სპეციალურ მუშაობის ფარგლებით.

ჩვენი კინო-ფაბრიკების პროდუქციის დაბალი ღირსების მეორე მიზეზს წარმოადგენს ტექნიკური ჩამორჩენილობა, რომლის დროსაც რასაკვირველია, ძნელია შედევრის შექმნა. ასეთია არა მარტო საქართველოს სახკინმრეწვის, არამედ აზერბეიჯანისა და სომხეთის კინო-წარმოებათა სურათების შეფასება.

ამიერ-კავკასიის კინემატოგრაფიაში ემჩნევა ძლიერი ტენდენცია [illegible] თანამედროვეობის და რევოლუციონურ იდეოლოგიის. ამ ტენდენციას, განსაკუთრებით, მხარს უჭერს და იცავს რეჟისორთა შემადგენლობის ერთი ნაწილი. ადგილი აქვს აგრეთვე ჩვენს კინო-წარმოებაში შესამჩნევ ფორმალისტურ გადახრას, რომელიც უმთავრესად ეფექტურ [illegible] ძებნასა და მაყურებელთა ფართო მასისათვის გაუგებარ ხერხების ძებნაში გამოიხატება. ეს გადახრა ძალიან მავნებელია, რადგან არ შეესაბამება ჩვენი მასიური მაყურებლის განვითარებას. საერთოდ, მარქსისტულ თეორიულ დებულებებით ჩვენი კინოს მუშაობა ვერ არის გამაგრებული და განმტკიცებული.

ჩვენი კინემატოგრაფიის ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზებია: კინო-მუშაობის სიახლე ამიერ-კავკასიისათვის, სუსტი პარტხელმძღვანელობა, თეორიულ დებულებების უქონლობა და კინო-ორგანიზაციების ავანტიურიზმი.

ამჟამად ამიერ-კავკასიის კინო-ორგანიზაციების გარშემო სწარმოებს ბრძოლა კომუნისტური და ნაციონალისტური ელემენტების შორის. კომუნისტური ხელმძღვანელობა ჩვენს კინო-ორგანიზაციებში დღემდე სუსტია და ხარისხით დაბალი. პარტ-ორგანიზაციები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი კინემატოგრაფიის საკითხებით. საჭიროა კინო-წარმოებაში ცოცხალ კომუნისტური ძალების ჩაბმა, კინო-წარმოების გარშემო პროლეტარულ საზოგადოებრივი აზრის შექმნა, კინო-საკითხების შესახებ პრესაში და სხვა. საჭიროა კინო-წარმოებებთან არსებულ სამხატვრო საბჭოების გადახალისება იმ მხრით, რომ მათ შიგნით გაძლიერებულ იქნეს კომუნისტების შემადგენლობა. საჭიროა აგრეთვე რეჟისორთა კადრის მომზადება ახალგაზრდობიდან, ჩვენ ამოცანას წარმოადგენს,—რომ კინო-მრეწველობა შეტანილ იქნეს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის საერთო გეგმაში.

რიონჰესის სამუშაოთა პერსპექტივები

(საუბარი ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძესთან)

ამას წინეთ სახკომსაბჭოს სპეციალურმა კომისიამ მიიღო დადგენილება რიონჰესის სამუშაოთა სამმართველოს გადატანის შესახებ ქუთაისში, რაც გამოწვეულია სადგურის სამშენებლო სამუშაოთა უფრო მიზანშეწონილათ მოწყობის აუცილებლობით.

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ რიონჰესის სამუშაოთა პერსპექტივების შესახებ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

— სადგურის სამშენებლო პროგრამა მიმდინარე წლისათვის იმ ვარაუდით იყო შედგენილი, რომ წელს რიონჰესის სამუშაოები გაწარმოებულიყო მთელი ფრონტით და, უნდა დამთავრებულიყო სადგურის ყველა ნაგებობათა შენება. ამისათვის საჭირო იყო 4.280 ათასი მანეთის გაღება, მაგრამ ამ თანხის გაღება წელს არ იქნა შესაძლებლად ცნობილი; ეს თანხა შემცირებულ იქნა 1.560.000 მანეთამდე. ამ გარემოებამ გამოიწვია სამუშაოთა პროგრამის შემცირება, ვინაიდან ამ თანხით ვერ მოხერხდება ყველა ძირითად ნაგებობათა აშენების დაწყება. ამიტომ [illegible] სამუშაოთა სამმართველომ გამოიმუშავა ახალი სამუშაო პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია ორი უმნიშვნელოვანესი სამუშაოს წარმოება: ერთი მთავარი საგუბარის აგება და მეორე მთავარი არხის გაყვანა ე. წ. სადგურის პლატოს რაიონში,

ახალი სამუშაო პროგრამის დეტალური დამუშავებისას გამოირკვა, რომ 1.500.000 მანეთით [illegible] იქნება აღნიშნულ სამუშაოთა შესრულება. ამიტომ რიონჰესის სამუშაოთა სამმართველომ მთავრობას წარუდგინა მოსაზრება, რომლითაც საჭიროდ იყო ცნობილი, დასახულ სამშენებლო სამუშაოთა ფინანსიური უზრუნველყოფის მიზნით, ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატის ერთგვარი შეკუმშვა. სამუშაოთა სამმართველოს ასეთი წინადადება მიღებულ იქნა და გადაწყდა მოხდეს სამუშაოთა სამმართველოს სრული ლიკვიდაცია თბილისში და მისი ფუნქციების გადაცემა ქუთაისში არსებულ მთავარი კანტორისათვის. ამჟამად შტატი 295 კაციდან შემცირებული იქნება 207 კაცამდე.

უდავოა, რომ ასეთი ცვლილებები შტატში უკეთესად იმოქმედებს ყველა იმ მრავალ-ფეროვან ფუნქციების შესრულებაზე, რომელსაც დღემდე ასრულებდა სამუშაოთა სამმართველო. მაგრამ ასეთი ზომების მიღება გამოწვეულია მხოლოდ იმ სურვილით, რომ შტატის შემცირებით მიღებული ეკონომია გამოყენებულ იქნეს აღმშენებლობისათვის.

ახალი სამუშაოთა დაწყებით რიონჰესის შენებლობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი გაიზრდება დაახლოებით 2,000 კაცამდე, ამჟამად კი მუშაობს 600 კაცი.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

კონკურსისათვის წინასწარი სამზადისი აჭარისტანში წარმატებით მიმდინარეობს

ჩვენი გაზეთის მუშკორებმა თბილისში დაადგინეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ კონკურსის ჩატარებაში

თბილისის საბჭოს სექციების მუშაობის შეფასება

სექციის წევრები მათი მუშაობის შესახებ

როგორ ვმუშაობდით

(განათლების სექცია)

განათლების სექციის მუშაობა, საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებელია.

სექციის წევრთა 95 პროც. ესწრებოდა სექციის კრებებს და მონაწილეობას ღებულობდნენ სექციებში დასმულ საკითხების განხილვაში. სექციის მიერ გამოყოფილმა კომისიებმა პირნათლად და ნაყოფიერად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა.

სექციამ სხვა კომისიებთან ერთად გამოჰყო აგრეთვე სარემონტო და საბიუჯეტო კომისიები. სარემონტო კომისიამ ჩამოყალიბებისთანავე მოახდინა სკოლების გამოკვლევა, რომლის დროს აღმოჩნდა, რომ მრავალ სკოლას ესაჭიროება კაპიტალური შეკეთება. განათლების განყოფილებას ამ საქმისათვის გადადებული ჰქონდა სულ 83.000 მანეთი. ეს თანხა არ იყო საკმაო ყველა სკოლების შეკეთებისათვის, ამიტომ პირველ რიგში დაიწყეთ შეკეთება ისეთი სკოლებისა, რომელთაც აუცილებლად ესაჭიროებოდა შეკეთება. კომისიამ ამ საკითხს სწორად მიუდგა. წინად განათლების განყოფილება ასე არ იქცეოდა. ის შეკეთებას აძლევდა სკოლებს, მაგრამ მიცემული თანხა არ ყოფნიდა და ნახევრად გაკეთებული საქმე მეორე წელსაც გასაკეთებელი იყო. ამრიგად პირველად დახარჯული თანხა უშედეგოდ იკარგებოდა. ზოგი სკოლა კი არ საჭიროებდა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, აუცილებელი არ იყო მისი შეკეთება, მაგრამ მაინც ხდებოდა მათი შეკეთება.

კომისიის მითითებით შეკეთებულ იქნა სულ 18 სკოლა, დანარჩენების შეკეთება კი შეტანილია მიმდინარე წლის ბიუჯეტში. ამის შემდეგ კომისიამ გამოიკვლია სკოლების რაოდენობა და მათი მდგომარეობა.

საბიუჯეტო კომისიამ გამოარკვია სასკოლო ბიუჯეტის მდგომარეობა, თუ რამდენად აკმაყოფილებს სკოლებს განათლების განყოფილების მიერ მიცემული თანხა, სკოლების შემოსავალი და სხვა. ამასთან ერთად კომისიამ გამოარკვია სკოლების დავალიანება, რომლის დროსაც აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ სკოლებს არ შეუტანიათ განათლების განყოფილებაში სასწავლო გადასახადების 15 პროცენტიანი ანარიცხები. კომისიამ საჭიროდ სცნო ეს საკითხი დასვას სექციის სხდომაზე და მიიღოს ზომები ამ დავალიანების ჩამოსაწერად.

მიზანშეწონილი აღმოჩნდა აგრეთვე სკოლების სექციის წევრების მიმაგრება სკოლების პედ. საბჭოს, სამეურ. კომისიის და სხ. სხდომებზე მონაწილეობის მისაღებად. განათლების განყოფილება ავალდებულებს სკოლის გამგეებს, რათა მათ მიერ დახარჯული თანხები გააცნონ სექციის წარმომადგენლებს და ანგარიშებზე მიაწერონ ხელი.

ამ მიღწევებთან ერთად სექციას აქვს ნაკლიც. სექციის ზოგიერთი წევრები ზედმეტად არიან დატვირთულნი. რაც იწვევს საქმის შესრულების შეფერხებას. ხშირად თვით სექციის წევრები ხალისიანობით ღებულობენ დავალებას, მაგრამ შეასრულებენ თუ არა, ამაზე არ ფიქრობენ. ჩემის აზრით, ესეც ერთი ნაკლად უნდა ჩაითვალოს. მომავალში ყურადღება უნდა მიაქციოთ ამ გარემოებას და მუშაობა გადანაწილდეს ისე, რომ სექციის წევრთა მთელი ასი პროცენტი მონაწილეობას ღებულობდეს სექციის საქმიანობაში.

გარდა ამისა, განათლების განყოფილება სკოლებს არ აქცევს სათანადო ყურადღებას. მე-13 შრ. სკოლის სანიტარულმა ექიმმა შეადგინა ოქმი სკოლაში უსუფთაობის გამო, გადასცა განათლების განყოფილებას, მაგრამ უკანასკნელმა ყურადღებაც არ მიაქცია. კომისიამაც აღძრა ეს საკითხი, სადაც ჯერ არს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სკოლის საპირფარეშო დღესაც შეუკეთებელია.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ერთი ფრიად არა ნორმალური მდგომარეობაც: როგორც ვიცით ხდება მასწავლებლის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვან-გადმოყვანა. ამის შესახებ სექციამ არაფერი იცის. ამიტომ საჭიროა მომავლისათვის ამ საქმეში მონაწილეობას ღებულობდეს სექციის წარმომადგენელიც, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სექციის წინაშე. ამით მოვსპობთ იმ გაუგებრობებს, რომელთაც დღემდე ჰქონდა ადგილი.

ვალიკო ჩუგაბრია.

მთლიანად შევასრულეთ დავალება

(საქ. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის უმუშევარი მუშა, საფინანსო სექციის წევრი)

მე მიმაგრებული ვარ ფინანსიურ სექციაზე ჩვენი სექციის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ჩვენს სექციაში არა გვყავს არც ერთი წევრი, რომელსაც არ ჰქონდეს რაიმე მოვალეობა დაკისრებული და არ იყვეს მიმაგრებული, რომელიმე კომისიაზე

სექციის მიერ გამოყოფილი კომისიები აწარმოებდნენ ამა თუ იმ წარმოების და დაწესებულებების ფინანსიური მდგომარეობის შესწავლა გამორკვევას.

ფინანსიურმა სექციამ ფართოდ გამოიყენა სექციაზე მიმაგრებული მუშათა აქტივი. მუშათა აქტივმა გამოიკვლია და საფუძვლიანად შეისწავლა ქალაქის ლომბარდის ფინანსიური მდგომარეობა.

ფინ-სექციის მიერ გამორკვეულ და შესწავლილ იქნა ქალაქის შემდეგი დაწესებულებები: [illegible] და ადმინისტრატიული განყოფილებანი. ქალაქის კომუნალური ბანკი, ტრამვაის სამმართველო, ქალაქის სასაკლაო, კეთილმოწყობის და „უსის" განყოფილებები, აგურის ქარხნების სამმართველო, „თემქა" ლუდის ქარხანა და ქალაქის აბანოების სამმართველო.

პირადად მე მიმაგრებული ვიყავი ხელმძღვანელად კეთილმოწყობ განყოფილების, სასაკლაოს, აგურის და ლუდის ქარხნების საგამოკვლევო კომისიებზე.

ამას გარდა, ფინანსიურ სექციამ, გამოჰყო საბჭოს წევრებიდან და აქტივიდან 30-მდის ამხანაგები, რომლებიც მიამაგრა ფინ-ინსპექტორებთან. ეს მიმაგრებულნი ესწრებოდნენ საგადასახადო კომისიის სხდომებს და ღებულობენ მონაწილეობას ამა თუ იმ სახის დაბეგვრის განაწილებაში

მე მიმაგრებული ვარ პირველ საგადასახადო უბანზე, სადაც ეხლა ჩვენ ვაწარმოებთ საშემოსავლო დაბეგვრის განაწილებას.

საერთოდ სექციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ ყველა წევრი და აქტივი ფართოდ ყოფილიყო ჩაბმული სექციის საერთო მუშაობაში, რაც სექციამ შესძლო და გაამართლა ასი პროცენტით.

ი. დურგლიშვილი.

მეტი ყურადღება განაპირა უბნებს

ამხ. ვასილ იაშვილი

(რკინის გზის სტამბის ახალგაზრდა მუშა კომუნალური სექციის წევრი)

ლენინის უბანში ტრამვაის რონოდების რიცხვი [illegible] გადიდდა, მაგრამ ეს მაინც არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამიტომ საჭიროა [illegible] მაინც დაიმატოს მისაბმელი რონოდები.

როგორც [illegible] ღრმაღელეში არსებობს 2—3 აგურის ქარხანა. ქარხნის მუშებს ყოველდღე ფეხით უხდებათ სიარული ქარხანაში სამუშაოდ. ღრმა ღელეში ტრამვაის ხაზის გაყვანის საკითხი გადაწყვეტილია, მაგრამ მუშაობა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. საჭიროა დადგენილების დროზე შესრულება.

ლენინის უბანში მილიციელების საგუშაგოების რიცხვი შემცირეს., რის გამო გახშირდა ქურდობა და ჯიბგირობა—ლენინის უბანში არ არის აგრეთვე აბანოც. საჭიროა მისი დაჩქარებით აგება.

რას ლაპარაკობენ ამომრჩევლები

ზოგიერთ „წვრილმანის" შესახებ

თბილისის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიული სექცია გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს კოოპერაციის გაძლიერების დარგში. ცხადია, სექციას დიდი მიღწევები აქვს თავის მუშაობის პერიოდში, მაგრამ არის ზოგიერთი „წვრილმანი" ნაკლიც, რომელიც ხელს უშლის სექციის ნაყოფიერ მუშაობას. სექციამ გამოჰყო კომისია ფასების დაკლების კამპანიის ჩასატარებლად. კომისიამ ჩაატარა კამპანია: პირველ ხანებში ფასების დაკლება თითქმის 10 პროც. უდრიდა. მაგრამ ამჟამად შემჩნეულია, რომ სამომხმარებლო საქონლის ფასები, თითქმის პირვანდელ მდგომარეობაშია.

გარდა ამისა ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ერთი და იმავე ხარისხის სამომხმარებლო საქონელი კოოპერატივებში სხვადასხვა ფასებში იყიდება. ხორცის ბაზრის არსებული ნორმა თბილისს 100 პროც. აკმაყოფილებს, მაგრამ კვირა-უქმე დღეებში კოოპერატივებში ხორცი ძალიან მალე ილევა. ამის გამო კერძო ვაჭრები ერთიორად ჰყიდიან ხორცს: მაგ.: 25—26 თებერვალს კოოპერატიულ საყასბოებში ხორცი არ იშოვებოდა, კერძო ჩარჩებს კი აურიცხელი ხორცი ჰქონდათ და 400 გრამს 50 კაპ. ჰყიდდნ. საჭიროა ისეთ შემთხვევებში ხორცის საკმაო რაოდენობით მომარაგება.

შეშის კერძო საწყობების პატრონები ტყავს აძრობენ მუშებს. თბილისის საბჭოს მათთვის არ დაუწესებია ნორმა. ისინი ერთიმეოთხედი შეშის მაგიერ ერთმერვედ საჟ. აძლევენ. ფულს კი ერთიმეოთხედისას ახდევინებენ.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ კოოპერატიულ სავაჭროებში რიგის მოსპობას საშველი არ დაადგა, რის გამო მომხმარებლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საქონლის ჩეკით ვაჭრობას. ზოგიერთი კოოპერატივები ჩეკით ვაჭრობას გაურბიან, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს ბოროტმოქმედებაც, ნოქრების მომხმარებლებისადმი მოპყრობის შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამ „წვრილმან" შენიშვნების აღმოსაფხვრელად სექციას ჯერ პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამს. საჭიროა კი კოოპერატიულმა სექციამ ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად გადამჭრელი ზომები მიიღოს.

რკინისგზელი.

ჩვენს მიერ არჩეული დეპუტატები კარგათ მუშაობენ

(რკინის გზის მთავარი სახელოსნო)

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ადგილკომმა მთ. სახელოსნოს მუშების მიერ ამორჩეულ საბჭოს წევრების მუშაობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

მთავარ სახელოსნოს მუშების მიერ ამორჩეულ დეპუტატებს შორის აღსანიშნავია ამხ. ბერიძე, რომელმაც განცხადებით მიმართა აღმასკომს, რომ ღრმაღელეს აგურის ქარხნის მუშებს პურის უქონლობის გამო ყოველდღე უხდებათ თბილისში სიარული. ამიტომ საჭიროა მუშებისათვის ქარხანასთან მოეწყოს „მუშკოოპი"-ს ან „ზაკტეპო"-ს ფარდული.

ამხ. ბერიძე შუა ხნის კაცია, მიუხედავად მისი ხნოვანებისა, ის დაუღალავათ შრომობს, ასეთივე მუშაობას აწარმოებენ ამხ. კაზიშვილი, ასლამაზოვი, ჩლაიძე, ლებედევა, მანდარენკო, ვასილენკო და სუხიშვილი.

ეს ამხანაგები მეტად აქტიური და ენერგიული დეპუტატები არიან.

დანარჩენი ამხანაგებიც ერთგულად ასრულებენ ამომრჩეველთა დავალებებს.

ჯ.

წინასწარი სამზადისი აჭარისტანში

წინასწარი საორგანიზაციო მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო 15 თებერვლიდან. არის შექმნილი კამპანიის ჩასატარებლად კომისიები, როგორც რესპუბლიკის, ისე მაზრების მასშტაბით. რომელშიაც შედიან სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აჭარისტანის ცაკის მიერ, თანახმად საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ცირკულიარებისა და სხვა მასალისა, შემუშავებულ იქნა და დაეგზავნა ადგილებს საჭირო დირექტივები და მიმართვები.

ადგილების ყურადღებას ცაკი აქცევს განსაკუთრებით უმოქმედო საბჭოს წევრების უკან გამოწვევის საკითხს. აგრეთვე ახალ განაწესის მიზანშეწონილად შემუშავებას, სადაც ეს საჭირო იქნება და სხვ.

ტარდება აგრეთვე საუკეთესო სექციების კონკურსის ჩატარებისათვის წინასწარი საორგ. სამზადისი. შემუშავდა და დაეგზავნა ადგილებს საუკეთესო სექციების გამორკვევისათვის სხემა და ცირკულიარება.

ლე—ლი.

ჩვენი მუშკორები კონკურსის შესახებ

29 თებერვალს გაზ. „კომუნისტის" რედაქციის ბინაზე შესდგა ამავე გაზეთის მუშკორთა საერთო კრება, რომელზედაც საბჭოთა საუკეთესო სექციების კონკურსის ჩატარების შესახებ, საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. ს. ელიაძემ. რომელმაც გააცნო მუშკორებს სექციების მუშაობის გამოკვლევის და კონკურსის მიზანი.

ამხ. ელიაძე შეეხო აგრეთვე მუშ-გლეხკორების მონაწილეობას ამ საქმეში და მოუწოდა მუშკორებს, რათა მუშკორებმა მიმდინარე კამპანიის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ, გააშუქონ თვითეული სექციის მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, აღნიშნონ მუშების შენიშვნები, მათი წინადადებები სექციის წევრთა საანგარიშო მოხსენებების დროს, რაც ხელს შეუწყობს სექციების მუშაობის შემდგომ გამოცოცხლებას.

ამხ. ელიაძის სიტყვით, საუკეთესო კორესპონდენციის ავტორებს „კომუნისტი"-ს რედაქცია მისცემს პრემიებს.

შემდეგ ამხ. ნანუაშვილი აცნობს კრებას საბჭოთა დემოკრატიის გატარების გამოკვლევის მნიშვნელობას, რომელიც დაიწყება ამ დღეებში და მოუწოდებს მუშკორებს, ხელი შეუწყოს ამ კამპანიის ნაყოფიერად ჩატარებას. აქტიური მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ გამოკვლევებში და მიაწოდონ რედაქციის სათანადო კორესპონდენციები ამ საკითხის ირგვლივ.

შეკითხვების შემდეგ მუშკორებმა გამოიტანეს დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია: ჩვენ, მუშკორები, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დამხმარე ძალა, მოვალედ ვთვლით თავს აქტიური მონაწილეობა მივიღოთ წერილების მიწოდებაში მომავალ კამპანიების ნაყოფიერად ჩატარებისათვის.

ვანო.

მუშათა ცხოვრება

ნაყოფიერი მუშაობა

(საყუდი)

პლეხანოვის სახელობის კლუბში, თბილისის საყუდის მუშა - მოსამსახურეთა კონფერენციაზე საყუდის ადგილკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. პატარიძემ, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას ადგილკომის მუშაობა საანგარიშო ხნის განმავლობაში და აღნიშნა მუშაობის როგორც ნაკლი, ისე მიღწევები.

მომხსენებლის სიტყვით ადგილკომს ჰქონია სულ 34 სხდომა, სადაც გარჩეულა 210 საკითხი რაც შეეხება ადგილკომთან არსებულ სხვადასხვა კომისიებს, ზოგიერთი მათგანი მოისუსტებდა. მაგალითად კულტკომისიის მუშაობა ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. საანგარიშო ხნის განმავლობაში კომისიას ჰქონია სულ 3 სხდომა და გაურჩევია 15 საკითხი. საწარმოო კომისიას, თავის 11 სხდომაზე გაურჩევია 100 საკითხი, რომლიდგან 76 საკითხი გატარებულა ცხოვრებაში.

შედარებით კარგად მუშაობდა შემფ. სადაზღვ. კომისია, კომისიის მიერ გარჩეულ საკითხების უმრავლესობა მუშების სასარგებლოდ სწყდებოდა

ადგილკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე მუშების პროფმუშაობაში ჩაბმას და საერთოდ პროფმუშაობის გაცხოველებას მათში, რამაც ხელი შეუწყო მუშათა აქტივის გაზრდას და მათში კულტურული დონის აწევას. საწევრო გადასახადებიც შედარებით წინანდელთან, კარგად შემოდის. დავალიანება საგრძნობლად შემცირდა.

ამხ. პატარიძის მოხსენების შემდეგ იგივე მოხსენება რუსულ ენაზე გააკეთა ამხ. ზაკომოლდინმა. დასასრულ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 20 კაცმა. ორატორები აღნიშნავდნენ ადგილკომის მუშაობას ზოგიერთ ნაკლს და მოითხოვდნენ მომავალში მის გამოსწორებას.

კრებამ ადგილკომის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და ახალ ადგილკომის ასარჩევად გამოჰყო კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს კანდიდატების წამოყენება და ახალ შემადგენლობის არჩევა ადგილკომში.

მუშკორი მეთვალყურე

ადგილკომი გადაირჩიეთ

15 და 16 თებერვალს, ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა - მოსამსახურეთა კონფერენცია. დღის წესრიგში იყო მოხსენება ადგილკომისა და სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ და ახალი ადგილკომის არჩევნები.

პირველ საკითხის ირგვლივ მოხსენება გააკეთა ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. ე. მუქერიამ, რომელმაც აღნიშნა ადგილკომის მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე კულტურულ-პროფესიონალური მუშაობას და სხვა კომისიების საქმიანობას. მოხსენების ირგვლივ კამათში გამოსული ორატორები ამხ ეპ. პაიჭაძე, ოგანაზაროვი და სხვ. აღნიშნავდნენ ადგილკომის მუშაობაში ზოგიერთ ნაკლს და მიუთითებდნენ მის გამოსწორებისაკენ.

კამათისა და აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ კონფერენციამ ადგილკომის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად. შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. მიხ. ლაშხიას მოხსენება სარევიზიო კომისიის საქმიანობის შესახებ, საიდანაც გამოირკვა, რომ არავითარ ბოროტმოქმედებას და გაფლანგვას ადგილკომში ადგილი არ ჰქონია. სარევიზიო კომისიის მუშაობა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

16 თებერვალს მოხდა ახალი ადგილკომის არჩევნები. ადგილკომი არჩეულ იქნა 17 წევრის შემადგენლობით. სარევიზიო კომისიაში კონფერენციამ აირჩია 3 წევრი და ორი კანდიდატი.

დ—რი.

რკინისგზელ მუშკორთა კონფერენციები

ამიერ - კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის ცნობით, ამჟამად ამიერ - კავკასიის რკინისგზელთა შორის ითვლება 2.000-ზე მეტი მუშა - კორესპონდენტი. რკინისგზის სხვადასხვა წარმოება - დაწესებულებაში გამოდის 134 კედლის გაზეთი. მიუხედავად ამისა, რკინისგზელ მუშკორების მოძრაობაში კიდევ აქვს ადგილი ზოგიერთ ნაკლულოვანებებს, როგორიცაა მუშკორთა ზოგიერთ წრეების სუსტი მუშაობა, მუშკორების არა აქტიური მონაწილეობა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების რაციონალიზაციის გატარების საქმეში და სხვ.

აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ რკინისგზის პროფკავშირები მუშკორთა მოძრაობას ვერ უწევს საკმაო ხელმძღვანელობას. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად და რკინისგზელ მუშკორთა შორის მუშაობის გასაცხოველებლად ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტი თებერვლის 20-დან თბილისში, ბათომში, ხაშურში და სხვა ადგილებში იწვევს რკინისგზელ მუშკორთა საქალაქო კონფერენციებს. კონფერენციებზე მოსმენილი იქნება: მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, საინსტრუქციო მოხსენება მუშკორთა მოძრაობის გასაცხოველებლად და რაციონალიზაციის გატარება ტრანსპორტზე და რკ. გზ. მუშკორება.

X.

მუშკორთა წერილებიდან

— მნიშვნელოვანი ნაბიჯი (ხაშური). ხაშურის საყუდის საშეფო კომისიამ თავის პირველ სხდომაზედვე შეფად აიღო ს. ზემო - ქალის შვიდწლიანი შრომის სკოლა. რომელიც საშეფო კომისიამ ინახულა ადგილობ. და უყიდა საჭირო ინვენტარი. კომისიას მოკრეფილი აქვს 600 მან., რომლითაც უნდა მოაწყოს სასწავლებლის ფიზიკური კაბინეტი, სამკითხველო და სხვა.

იმედია შეფ - კომისიის წევრები იმუშავებენ ენერგიულად და აღადგენენ დანგრეულ სკოლას.

გ. ნ.

— გამოუსწორებელი თანამშრომელი (ხაშური). ხაშურის სოცდაზღვევის კანტორის თანამშრომლის, მოქ. ჩადუნელის გამოსწორებას საშველი არ დაადგა. იგი გლეხების მიმართ უდიერად მოპყრობის გამო სამსახურიდანაც კი იყო მოხსნილი და პასუხისგებაში მიცემული, მაგრამ ამჟამად კვლავ აგენტად ითვლება და განაგრძობს თავის ბოროტმოქმედებას. ხაშურის აღმასკომო, მოგვაშორე უდიერი თანამშრომელი.

ნემსი

— გეწაძე გვავიწროვებს. ლენინის უბანში ხვანჭკარის შესახვევში მდებარე სახლის მეპატრონე გეწაძე საშინლად ავიწროვებს მდგმურებს. განსაკუთრებით რკ. გზელ მუშას, ერ. დვალიშვილს მოსვენებას არ აძლევს. ამას წინად გეწაძემ დვალიშვილის ბინას ამოუშენა შესავალი კარები, რის გამო მილიციაში იყო დაბარებული. მილიციავ, აღკვეთე გეწაძის მხრივ შევიწროება.

ლანტკურელი

— მეტაბელე იგვიანებს. სოფ. გორდაბანის მეტაბელე, მოქ. კიტია თითქმის ყოველდღე იგვიანებს სამსახურში. ამის გამო სატაბელო საქმე ვერ არის თავის სიმაღლეზე დაყენებული. ვინ გამოასწორებს ამ საქმეს?

მზარეული

— მოგვაწყეთ აფთიაქები. ხშირია შემთხვევა, როდესაც რკ. გზის სამმართველოს თანამშრომელი ჩიგის ტკივილებზე და ეთხოვება უფროსის საავადმყოფოში წასასვლელად. ამით კი ის ცდება სამუშაოს. გარდა ამისა ეს გარემოება შეიძლება ზოგიერთებმა ბოროტათაც გამოიყენონ. ამიტომ საჭიროა პირველ რიგში დაისვას საკითხი განყოფილებებში აფთიაქების მოწყობის შესახებ.

კოლე.

მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ამ დღეებში საქართველოს პროფორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარი პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედების საზოგადოების ორგანიზაციაში. ცირკულიარში ნათქვამია:

— დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ რომელმაც განთავისუფლა ყველა ეროვნებათა მშრომელნი, ებრაელებიც უფლებრივათ გაუთანასწორა საბჭოთა კავშირის ყველა ერებს და ამავე დროს მიზნად დაისახა მშრომელ ებრაელთა მოსახლეობის არსებობას შეექმნას მტკიცე ეკონომიური საფუძველი ებრაელთა საზოგადოებრივ-სასარგებლო, პირველ რიგში, სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში ჩაბმით. ამ ღონისძიებათა გატარებას საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ხოლო 1923 წლიდან მუშაობამ უფრო ფართე ხასიათი მიიღო.

ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხის გარშემო ებრაელთა და საერთოდ ყველა ეროვნებათა პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად და განსამტკიცებლად, და აგრეთვე ებრაელების მიწათ-მოქმედების საკითხის ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარებისათვის ხელის შესაწყობად საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების აქტიური დახმარებით დაარსდა ნებაყოფლობითი საზოგადოება „მემშ" (მშრომელ ებრაელთა მიწათ მოქმედების საზოგადოება). მთელ საბჭოთა კავშირში ყველა იმ ადგილებზე, სადაც ცოტათ თუ ბევრად ებრაელთა კომპაქტიური მასსა მოსახლეობს, აღნიშნულ საზოგადოებამ მოაწყო თავისი ორგანიზაციის ფართე ქსელი. საქართველოშიც მოეწყო ამ საზოგადოების განყოფილება, რომელიც უკვე შეუდგა თავისი ფილიალების მოწყობას ადგილებზე.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აძლევს რა დიდ პოლიტიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობას საქართველოს „მემშ"-ის მიერ წარმოებულ მუშაობას, წინადადებას აძლევს ყველა პროფორგანიზაციებს მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ „მემშ"-ის მუშაობას იმ მხრივ, რომ ყველა ეროვნებათა კავშირის [illegible] საზოგადოებაში შესვლა, აუხსნან და განუმარტონ მათ „მემშ"-ის მიზნები, ამოცანები და დანიშნულება,

პროფკავშირებმა კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი მაქსიმალურ დახმარებას უწევენ საბჭოთა ხელისუფლების ყოველგვარ თაოსნობას, მათ შორის ებრაელთა საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობაში ჩაბმას და მეფურ წყობილების მიერ ებრაელთა მოსახლეობის ჩაგვრის ნაშთების ლიკვიდაციას.

კბილის ცენტრალური პოლიკლინიკა

ბევრმა არც კი იცის, რომ ამ თვენახევრის წინად თბილისის ჯანმრთელობის ორგანიზაციებს მოემატა ერთი მეტად ძვირფასი სამკურნალო დაწესებულება. მხედველობაში გვაქვს კბილის სამკურნალო პოლიკლინიკა პუშკინის ქუჩ. № 1ა. უხმაუროდ, საზოგადოების ფართო წრეების შეუმჩნევლად, გაიხსნა იგი იანვრის შუა რიცხვებში. ასე შევეჩვიეთ ყოველდღიური მნიშვნელობის ფაქტებს, რომ რაიმე განსაკუთრებულ, გრანდიოზულ მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი საზოგადოების ყურადღება მიიპყროს. ახალი კლინიკის აგება და [illegible] კი დღეს ჩვენთვის პატარა,—ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ ჩვეულებრივი და უმნიშვნელო ამბავი არ არის იგი ჩვენი მოზარდი თაობის, მოსწავლე ახალგაზრდობის და ქალაქის ღარიბების მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით.

მართალია, ამ რამოდენიმე თვის წინად ამავე ადგილას კბილების მკურნალობის დარგში მუშაობდა ამის მსგავსი დაწესებულება, მაგრამ მას იმდენად შეუფერებელი შენობა ეჭირა და ამავე დროს იმდენად მოუწყობელი იყო, რომ აქ მომუშავე პერსონალს განსაკუთრებული შრომა ესაჭიროებოდა, რათა დახმარება გაეწია უთვალავ კლიენტებისათვის, რომელთა დიდი ნაწილი დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. ეხლა ამ დაწესებულებას ვეღარ იცნობთ, ნახევრად დანგრეული ორსართულიან შენობის ადგილზე აღმართულია სრულიად განახლებული, ლამაზი სამსართულიანი შენობა, რომელიც მთლიანად (დარაბებს გარდა) კბილის სამკურნალო პოლიკლინიკას უჭირავს.

შედიხართ პირველ მისაღებ ოთახში და ხედავთ, რომ აღარ არის წინანდელი სიბინძურე და ამით გამოწვეული ანტისანიტარული პირობები. ვრცელ, ფართო ოთახში სკამებზე ჩამომსხდარი ავადმყოფები უცდიან თავის რიგს. ძველებურად დიდხანს არ სჭირდება ლოდინი სამკურნალოდ მოსულ მუშა-მოსამსახურეს, ოთხ-სამი კაბინეტის მაგივრად დღეს უკვე გახსნილია ექვსი სამკურნალო და ერთი საოპერაციო კაბინეტი, რომელიც მოწყობილია ახალი სამკურნალო საგარეულებით და საუკეთესო ხარისხის ხელსაწყოებით. კლინიკაში დილიდან იწყება გაფაციცებული მუშაობა. ყოველ საათში ავადმყოფთა [illegible] ავადმყოფს, რომელსაც მკურნალობს ახალი ხელსაწყოებით აღჭურვილი ექიმის მზრუნველი ხელი. კაბინეტები მოთავსებულია ქვედა სართულის მზიან, ზღვიან ოთახებში. კაბინეტებს შუა ვრცელი [illegible] დარბაზია, ეს არის მოსაცდელი დარბაზი სპეციალურად ბავშვებისათვის. შენობის მეორე სართული კი უჭირავს გამგის კაბინეტს, კანცელარიას და ტექნიკურ განყოფილებას, რომელიც შეიცავს ტექნიკურ და პროტეზების დასამზადებელ კაბინეტებს. გარდა იმისა, რომ ტექნიკური განყოფილება საუცხოვოდ არის მოწყობილი, და ყოველგვარი იარაღებითაა აღჭურვილი, იქვე ჩინებულად დაცულია შრომის დაცვის პირობები. აქ, ამ განყოფილებაში, მუშაობს ერთი პროტეზების ოსტატი ორი უფროსი და ორიც უმცროსი ტექნიკოსი. აქვე მოთავსებული იქნება რენტგენის კაბინეტი, რომელიც უკვე გამოგზავნილია საზღვარგარეთიდან. კბილის სამკურნალო მედპერსონალი შესდგება ოცი ექიმის და ცხრა უმცროს ორდინატორებისაგან. მთელ პოლიკლინიკის მუშაობას ხელმძღვანელობს ცნობილი სპეციალისტი—ამ პოლიკლინიკის მოწყობის ინიციატორი ს. მარგველაშვილი, რომელიც განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდება ამ ახალ საქმეს.

პოლიკლინიკა მით არის შესანიშნავი, რომ იგი პირველად იწყებს ჩვენში ბავშვთა კბილების სანაციას, რომელიც შეიძლება ითქვას, კლინიკის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს.

სანაცია—ეს არის პროფილაქტიური ხასიათის ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდი თაობა დაიხსნას კბილების გაფუჭებისაგან კლინიკამ, რომელსაც განზრახვა აქვს ჩაატაროს ყველა საბავშვო ბაღებისა და შრომის სკოლების სანაცია, უკვე დაიწყო მუშაობა შრომის სკოლების სრულ უმცროსი ჯგუფებიდან. პირველად სანაციის მიზნით კლინიკაში გატარდა მე-70 შრომის სკოლის მოწაფეთა ჯგუფი. კლინიკას ყოველი გასასინჯი მოწაფეთათვის შემოღებული აქვს საანკეტო ფურცელი, სადაც ხდება გასასინჯ ობიექტის კბილების დახასიათება. თუ რომელიმე კბილი დაზიანებულია, იწყება მკურნალობა. ყოველი ჯგუფი კლინიკაში გატარდება წელიწადში ორჯერ, ვიდრე ჯგუფი ცხრა წლედს დაასრულებდეს. საანკეტო ფურცელში ყოველ გასინჯვის დროს აღნიშნული იქნება კბილების მდგომარეობა. ასეთი წინასწარი მზრუნველობით ბავშვების კბილები დაზღვეულია შემდგომი გაფუჭებისაგან. დღემდე სანაციის პირველი საფეხური გავლილი აქვს 250 ბავშვს, ჯერ-ჯერობით კლინიკაში დადიან მე-70 შრომის სკოლის, და მთიელთა საბავშვო სახლის უმცროსი ჯგუფები. მათ მიჰყვებიან დანარჩენი შრომის სკოლის უმცროსი ჯგუფები რიგ-რიგად.

გარდა ამისა კლინიკა უფასო დახმარებას უწევს შრომის სკოლების უფროს ჯგუფებს, ტექნიკუმებს, საქარხნო სკოლების და პარტსკოლების მოწაფეებს, უმაღლეს სასწავლებლის და მუშფაკების სტუდენტებს, პროფკავშირის დაუზღვეველ უმუშევარ წევრებს და ქალაქისა და სოფლის ღარიბებს მოსახლეობას.

ვ—ნი.

საქ. ცაკში

დემობილიზაციაქმნილ წითელ არმიის უმუშევარ მეთაურებს.—საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ 24 თებერვალს ამიერ-კავკ. სახალხო კომისართა საბჭოსაგან გადმოცემული ხუთი (5.000 მ.) ათასი მანეთი დახმარებათ დაურიგა წითელ არმიიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულ იმ მეთაურებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან მოწყობილი სამსახურში.

პენსიები და დახმარებები.—საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების თბილისის საპენსიო სამმართველომ ქალაქ თბილისში და მის [illegible] მცხოვრებ ინვალიდებს უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში პენსიების და ყოველთვიურ დახმარების სახით დაურიგა—15.332 მანეთი.

აჭარისტანში გლეხკომების გადარჩევა დამთავრდა—საქართველოს ცაკის სოციალურ-უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით:—აჭარისტანში გლეხკომების გადარჩევა ყველგან დამთავრდა. აჭარისტანის გლეხკომების ყრილობამ რესპუბლიკის ცენტრალური გლეხკომების თავმჯდომარეთ აირჩია აჭარისტანის ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგე ამხ. მამედ გათიშაძე.

საქ. სახკომსაბჭოში

ამხ. ტრაპაიძის დანიშვნა

ფინსახკომთან არსებული საკონტროლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დოლიძე განთავისუფლებულია თავის მოვალეობისაგან. საბჭოს თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. გ. ტრაპაიძე.

განათლების სახკომის კოლეგიის დამტკიცება

განათლების სახ. კომისარიატის კოლეგია დამტკიცებულ იქნა ამხ. დ. კანდელაკის (თავმჯდომარე), მარიამ ორახელაშვილის, ს. მამულიას, ტ. ქაცარავას, დავით ცხაკაიას, ა. ზაუტაშვილის, იმედაძის, შ. გობეჩიას, ა. ფირალოვის, ნ. მახარაძისა და ა. მიქაძის შემადგენლობით.

ამხ. საკიანის დანიშვნა

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის თანამდებობისაგან ამხ. ა. ათაბეგოვის განთავისუფლების გამო განსაკუთრებული საექსპორტო თათბირის წევრად დამტკიცებულ იქნა ვაჭრობის სახ. კომისარიატის ახლად დანიშნული რწმუნებული ამხ. საკიანი.

ამხ. ლ. ქართველიშვილის გამგზავრება შვებულებაში

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. ქართველიშვილი გაემგზავრა შვებულებაში სამი კვირის ვადით.

სახალხო კვების მუშაკთა ყრილობა

გუშინ თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს სახალხო კვების მუშაკთა მე-7 ყრილობა. ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს: ამხ. სტალინი, ტომსკი, ორჯონიკიძე, რიკოვი, მახარაძე, ცხაკაია, ყურულაშვილი, მიქოიანი, კრუპსკაია და ცეტკინი.

საქმიანი პრეზიდიუმის არჩევისა, დღის წესრიგის დამტკიცების და რეგლამენტის მიღების შემდეგ, ყრილობა გადავიდა მიმდინარე საქმიანობაზე.

პირველად ყრილობამ მოისმინა სახალხო კვების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. ალექსანდროვის მოხსენება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში უმუშევრობას შემცირება ემჩნევა მაშინ, როდესაც კავშირის წევრთა რიცხვი შესამჩნევათ იზრდება. გასული წლის განმავლობაში კავშირის წევრთა რიცხვი გაიზარდა 22,2 პროცენტით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიღწევები სატარიფო-ეკონომიური მუშაობის დარგში: დასრულებულია ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადება, გამომუშავებულია ახალი სატარიფო ცხრილი და მთელ რიგ რესპუბლიკებში მიღწეულია სამუშაო ხელფასის გადიდება.

ცენტრალური კომიტეტი, მომხსენებლის განცხადებით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შინამოსამსახურე მუშ-ქალთა შორის მასიური მუშაობის გაძლიერებას. გასული წლის განმავლობაში შემჩნეულია საერთიერთო დამხმარე სალაროების ქსელის ზრდა, საკავშირო დემოკრატიის გატარება, გაფლანგვების შემთხვევათა შემცირება და სხ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ხის დამმუშავებელთა კონფერენცია

მეორე სხდომა

კონფერენციის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. შ. სალდაძის მოხსენება უმუშევართა დამხმარე ფონდების შექმნის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღემდე ხის დამმუშავებელთა კავშირში უმუშევართა დასახმარებლათ არაა შექმნილი სპეციალური ფონდები, რაც შესამჩნევათ აძნელებს უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენას. თანახმად საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივებისა, უმუშევართა ფონდები უნდა მოეწყოს ყველა პროფესიონალურ კავშირებში. ფონდების დაარსება საქართველოში დაწყებულ იქნება მიმდინარე წლის 1-ლი მარტიდან. ფონდების შესაქმნელად, თვითეული კავშირის წევრს, რომელიც წარმოებაშია და ღებულობს ხელფასს, გადახდება 1 პროცენტი თვიური ხელფასიდან.

საწარმოო თათბირების მუშაობა

საწარმოო თათბირების მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ცენტრ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ს. დემეტრაშვილი. იგი აღნიშნავს, რომ 1927 წლის განმავლობაში სულ მუშაობდა 22 საწარმოო თათბირი. თათბირების მუშაობაში სულ ჩაბმულია 2.629 მუშ. ამ ხნის განმავლობაში საწარმოო თათბირების მუშაობას დიდი წარმატება ეტყობა. მთელ რიგ ქარხნებში ცხოვრებაში ტარდება მუშათა ახალი გამოგონებები, მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანაში მუშა ცინცაძის გამოგონებით მიღწეულია 20.000 მანეთამდე ეკონომია. აღნიშნულ მუშას თავის გამოგონებაში ჯილდოთ მიუღია 600 მანეთი. ახალ გამოგონებებს ადგილი აქვს აგრეთვე გორის სახერხ ქარხანაში და თბილისის ქარხნებში.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 15 კაცმა.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკ. რკ. გზების მეტეოროლოგიური განყოფილების ცნობით, 1 მარტს ამიერ-კავკასიაში ასეთი ამინდი იყო:

საქართველოში. ბათომ—სამტრედიას შუა გუშინ დილამდე განუწყვეტლივ თოვდა. თოვლის სისქემ—60 სანტიმეტრს მიაღწია. ქროდა ზომიერი ქარი. ტემპერატურა 0 გრადუსს უდრიდა.

სურამის უღელტეხილზედაც განუწყვეტლივ თოვდა. წიფაში თოვლის სისქე ერთ მეტრამდე ავიდა. ტყიბულში თოვლის სისქემ მეტრს გადააჭარბა. ტემპერატურა—5 გრადუსს უდრის.

ხაშურში ძლიერად თოვდა. თოვლის სისქე იქ 70 სანტიმეტრს უდრის, ტემპერატურა—5 გრადუსს.

აზერბეიჯანში. ბაქოს რაიონში თოვდა და ქროდა ძლიერი ქარი. ტემპერატურა—4 გრადუსს უდრიდა. დერბენტისაკენ სუსტად თოვდა და ქროდა ძლიერი ქარი. ტემპერატურა—7 გრადუსი.

სომხეთში. ჯაჯურის უღელტეხილზე ძლიერი ქარბუქი მძვინვარებს.

მდგომარეობა რკინის გზებზე

ქარბუქი სომხეთის ხაზზე გრძელდება. ქარბუქმა მოიცვა აზერბეიჯანის და კახეთის ხაზებიც. ღამით 1 მარტს მთელს გზაზე თოვლი მოდიოდა.

სომხეთის ხაზზე. ბრძოლა მძვინვარებულ სტიქიასთან გრძელდება.

მანძილი ორთაჭალის—ჯაჯურის შუა კვლავ დაიკეტა, თოვლმწმენდების მიერ მიღებული ღონისძიებები უშედეგოდ თავდება. გაწმენდილი ადგილები ისევ თოვლის ნამქერით ივსება. ამ ხაზზე მუშაობის დროს ლიანდაგიდან გადავარდნილი თოვლმწმენდი ღამით ჩაიფლა ნამქერში და აქამდე არ ამოუღიათ. თოვლმწმენდის ამოსაღებად ლენინაკანიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი 160 წითელარმიელით.

მოძრაობა მთელს სომხეთის გზაზე შეწყვეტილია.

აზერბეიჯანის ხაზზე. აზერბეიჯანის ხაზზე ქარ-ბუქი დაიწყო 29 თებერვალს. თოვლის ნამქერების თავიდან ასაცილებლად სადგ. ქიშლიში გაიგზავნენ მუშები. ყველაზე მეტად ქარბუქი მძვინვარებს სადგ. ქიშლში,

ნამქერებია 50 კილომეტრის მანძილზე, დაწყებული ნავთლუღიდან—სადგ. ქზოხამდე. ამ მიმართულებით თოვლითაა ავსილი სადგურებიც: ვეილა, გორდაბანი, რუსთავი და ყარაია. ხაზზე თოვლში ჩაიფლო ორთქლმავალი, რომელიც ჩამოიყვანა ნავთლუღში თოვლმწმენდმა. თოვლმწმენდი ხაზის გასაწმენდად მეორედ გაგზავნის დროს ასცდა ლიანდაგს. ნამქერებით ავსილ ადგილებში მუშაობს დამხმარე მატარებელი 200 წითელარმიელით. ამ მიდამოებში ნამქერების სიმაღლე 6 არშინამდე აღწევს.

სახალხო მატ. № 8 გუშინ ბაქოსაკენ არ გასულა.

უკანასკნელად მიღებულია ცნობა ხურდალან-ბალაჯარის ხაზის დაკეტვის შესახებ.

დილას 1 მარტს ეიბათ-ბალაჯარის გადასარბენი სრულიად გაიჭედა თოვლის ნამქერით. ნამქერმა მოუსწრო საბარგო მატ. № 117-ს. იმავე გადასარბენზე თოვლში ჩაიფლა ჩქარი მატარებელი № 1. მის დასახმარებლად გაგზავნილ თოვლმწმენდმა შესძლო მხოლოდ ორთქლმავლის გამოყვანა თოვლიდან. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა თვით მატარებლის გაყვანაც სადგურზე.

მთელ აზერბეიჯანის ხაზზე მუშაობენ თოვლმწმენდები. 1 მარტს დილის 11 საათისათვის თოვა შესწყდა, მაგრამ ქროდა ძლიერი ქარი მატარებლების მოძრაობა შეწყვეტილია.

კახეთის ხაზზე. კახეთის ხაზზე ნამქერებს ადგილი ჰქონდა ნავთლუღ-ვაზიან-იორის გადასარბენებზე.

მატარებლების მოძრაობა ამ ხაზზედაც შეწყვეტილია. სადგ. ვაზიანში დაკავებულია სახალხო მატ. № 12, იორში საბარგო მატ. № 195.

სახალხო მატარებლები № 8 და 11 გამორიცხული არიან მოძრაობის ცხრილიდან.

ხაზის გაწმენდაზე მუშაობენ თოვლმწმენდები.

ტყიბულის შტოზე. ქარ-ბუქი ტყიბულის შტოზეც გადავიდა. იქაც ადგილი აქვს თოვლის ნამქერებს. ხაზის გაწმენდაზე მუშაობს თოვლმწმენდი.

ქუთაისში

გუშინ ქუთაისში თოვლის სიღრმე უდრიდა არშინ ნახევარს, ტყიბულში—2 არშინს. ქარბუქისა და დიდი ნამქერების გამო, გუშინ ქუთაისიდან ონისაკენ ფოსტა არ გასულა. მიღებულია ენერგიული ზომები ტელეფონების და ტელეგრაფის ხაზების დასაცავად.

ბათომში

გუშინ ბათომში და ბათომის მიდამოებში თოვდა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბათომსა და მის მიდამოებში ასეთი თოვლი არ ყოფილა. გუშინ დილით თოვლის სიღრმე უდრიდა 90 სანტიმეტრს, ალაგ-ალაგ კი მეტრს. ზღვის ზედაპირი დაფარულია თოვლის სქელი ფენით, რომელიც შეუძლებელს ხდის გემების მოძრაობას. გემი „მიტელმეინი", რომელიც მოდიოდა ბათომში, რადიოთი იტყობინება, რომ გზა აერია. დიდი თოვლის გამო ნავთსადგურში ორი დღეა რაც შეწყვეტილია საბარგო ოპერაციები, შეწყვეტილია აგრეთვე მუშაობა [illegible] სამშენებლო სამუშაოებზედაც. ბათომის რკინის გზის [illegible] თოვლის ნამქერებია, რომლებსაც სწმენდენ თოვლის მწმენდელი მანქანები. მატარებლები მოდიან დიდი დაგვიანებით. ქობულეთი-ბათომი-სუფსის გზატკეცილზე შეწყვეტილია ურმების მიმოსვლა. ქედის მაზრიდან ჩამოსული გლეხები იტყობინებიან, რომ ზემო აჭარაში მოსულია დიდი თოვლი. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, ბათომში მოიპოვება სურსათ-სანოვაგის და სათბობი მასალის სამი თვის მარაგი. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩებში მოძრაობა ძალიან გაძნელებულია, ქალაქის ყველა უბნებს სურსათ სანოვაგეს აწვდიან რეგულიარულად. დროზე მიღებული ზომების გამო სურსათ-სანოვაგის ფასები არ აწეულა. დაპატიმრებულია ზოგიერთი კერძო ვაჭარი, რომლებიც ცდილობდნენ ფასების აწევას. მიღებულია ზომები მაზრების სურსათ-სანოვაგით უზრუნველსაყოფათ.

საბჭოთა მეურნეობებიდან იტყობინებიან, რომ ციტრუსოვან მცენარეულობაზე თოვლს ფრთხილად სწმენდენ და მიღებულია ზომები, რომ ეს მცენარეულობა არ დაზარალდეს.

ღამის ცნობები

ქარბუქი გავრცელდა დასავლეთის უბანზეც

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოში გუშინ საღამოს მიღებული დამატებითი ცნობების თანახმად ქარბუქი გავრცელდა გზების დასავლეთ (საქართველოს) უბანზედაც.

ქარბუქის გამო ბათომის უბანზე გზაზე გაჩერდა საბარგო მატარებელი. ოზურგეთის მატარებელმა მიაღწია მხოლოდ [illegible] და იქით ვეღარ წავიდა; მის დასახმარებლად [illegible] გაიგზავნა თოვლმწმენდი, აგრეთვე გაჩერდა ციხისძირთან ჩაქვიდან მომავალი საბარგო მატარებელი.

თოვლის ნამქერმა გუშინ ნაშუადღევის ორ საათზე შეკრა გზა თბილის-ავჭალას შუა. თბილისიდან ლაგოდეხისაკენ გაგზავნილი სამუშაო მატ. № 4 დაბრუნდა უკან თბილისში.

ხაზი გაწმინდეს თოვლმწმენდმა და დამხმარე მატარებელმა, რის შემდეგაც მატარებლები გაგზავნეს.

დანარჩენ ხაზებზე

გზის დანარჩენ ხაზებზე გუშინ საღამოს 9 საათისათვის ასეთი მდგომარეობა იყო:

აზერბეიჯანის ხაზი გაიწმინდა ყველგან, გარდა ნავთლუღ-ვილის უბნისა, სადაც ხელმეორედ აივსო გზა თოვლის ნამქერით:

ხაზის გაწმენდისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად დილას ბაქოსკენ გაემგზავრა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის წევრი ინჟ. მ. დ. ბერიძე, რომელიც ნამქერს იქით მოჰყვა.

სომხეთის ხაზზე—ნავთლუღ-სოღანლუღის და ორთაჭალის-ჯაჯურის შუა გზა გაწმენდილი არ არის. ნალბანდ-კიროვაკან-ჯაჯურის გადასარბენზე ნაშუადღევის 5 საათიდან გზა ხელახლად შეიკრა ახალ ნამქერით.

საღამოს 8 საათზე ნავთლუღს მიაღწია სახალხო მატარებელმა № 4, რომელიც წინა ღამეს თოვლში იყო ჩაფლული ორთაჭალისთან. მას წინ მიუძღოდა თოვლმწმენდი.

თბილისის სასაკლაოსთან მიახლოებისას თოვლმწმენდი გადავარდა ლიანდაგიდან და მატარებელიც გაჩერდა. თოვლმწმენდის ამოსაღებად გაგზავნეს დამხმარე მატარებელი.

კახეთის ხაზზე მდგომარეობა უცვლელია.

მოძრაობის შეწყვეტა

ა.-კ. რკ. გზების ყველა ხაზებზე, გარდა თბილის-ბათომისა, ყველა მატარებლები მოიხსნა. ბაქოსკენ, სომხეთისკენ და კახეთისკენ გუშინ მატარებლები არ გასულან.

უანგარო მუშაკის ხსოვნას

(ექიმ იასონ მუჯირის გარდაცვალების გამო)

28 თებერვალს, ქ. ზუგდიდში გარდაიცვალა ზუგდიდის სამაღმასკომის ჯანმრთელობის გამგე ექიმი იასონ მუჯირი. თავგანწირულმა მუშაობამ 20 წლის განმავლობაში ის „დაასაჩუქრა" გულის სიგანიერით, რამაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა უდროოდ დაღუპა. დაახლოებით ერთი წელი იქნება, რაც იასონი ამ საშინელ ავადმყოფობით ხან წოლიარე—ხან ამდგარი იტანჯებოდა. ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებით მას ტანჯავდა გრძნობა, რომ თანდათან შორდებოდა მის საყვარელ საქმეს—მშრომელ ხალხის სამსახურს, მაზრის ჯანმრთელობის საქმის ხელმძღვანელობას, რაც მას სულით და გულით უყვარდა. თუ ფეხზე წამოდგომის საშუალება მიეცემოდა, მას არ ახსოვდა ავადმყოფობა: უნდა წასულიყო სამსახურში, უნდა მიეღო აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა სხდომებში. იასონს პატივს სცემდენ ზუგდიდის მაზრის მშრომელები, რადგან ის იყო უანგარო მუშაკი, კარგი ექიმი და სპეტაკი პიროვნება. მისი სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისია ჩვენი მაზრისათვის. მას ყოველი პირადული ავიწყდებოდა, როდესაც ამა თუ იმ რაიონში იხსნებოდა საექიმო პუნქტი. დიდ აღტაცებაში მოდიოდა და აღფრთოვანებას გამოსთქვამდა იმ მიღწევების გამო, რომლებიც ჩვენ მაზრას აქვს პარტიის და ხელისუფლების დაუღალავი მუშაობის შედეგად.

ამ უანგარო მუშაკის სახელი მუდამ დარჩება ჩვენი მაზრის მშრომელთა მეხსიერებაში.

ი. ქვანია.

ქრონიკა

ამხ. შახსუვარიანის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად დაამტკიცა ამხ. ა. შახსუვარიანი.

საქ. ფინსახკომში

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის საკონტროლო თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. ტრაპაიძე.

ცვალებად არტილერისტთა საყურადღებოთ

ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2-ე ქართ. საარტილერიო ლეგიონი აცხადებს 1901, 1902, 1903 და 1904 წელში დაბადებულ იმ ცვალებად წითელარმიელთა საყურადღებოთ, რომლებიც სცხოვრობენ თბილისსა და მის მიდამოებში, რომ 4, 11 და 18 მარტს დანიშნულია ერთდღიანი შეკრებები. ამ დღეებში (ცვალებადელები უნდა გამოცხადდენ თბილისში (კლარა ცეტკინის ქუჩა, № 119), დილის 8 საათზე.

რესპუბლიკანური საკლუბო თათბირი

5 მარტს საქარ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება მუშათა სასახლის დიდ დარბაზში იწვევს რესპუბლიკანურ საკლუბო თათბირს.

დღის წესრიგშია: მუშათა კლუბების მუშაობის შედეგები და ამოცანები (მომხ. ამხ. ფირალიშვილი), სამხატვრო მუშაობა კლუბებში (მომხ. ამხ. მხითაროვი), პროფკავშირთა საზაფხულო გეგმა (მომხ. ამხ. ქმოსხერი), ახალგაზრდათა და ქალთა შორის მუშაობა (მომხ. ამხ. ორჯონიკიძე), ფიზკულტურა და გასამხედროება კლუბებში.

საკლუბო მუშაკების გარდა, თათბირზე მოწვეული არიან კავშირთა ცენტრ. გამგეობათა კულტგანყოფილებების გამგეები, პოლიტგანათლების მთავარ - მმართველობის და თბილისის პოლიტგანის წარმომადგენლები.

პოლიტგანათლების მუშაკთა თათბირი

დღეს, 2 მარტს, დილის 9 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ., № 3). შესდგება სამაზრო პოლიტგანების და სოფლის სანიმუშო სამკითხველოების გამგეთა თათბირი.

დღის წესრიგშია: საპოლიტგანმანათლებლო მუშაობა მე-15-ე პარტყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, სოფლის სამკითხველოების მუშაობა, მოხსენებები ადგილებიდან (სიღნაღის, ზუგდიდის, ახალქალაქის პოლიტგანების და სანიმუშო კოპ-სამკითხველოების თანამოხსენება), საპოლიტგანმანათლებლო გეგმა. მუშაობის ბლანკები და ანგარიში, მიმდინარე საკითხები. თათბირზე მოწვეული არიან აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკების წარმომადგენლებიც.

მოხსენება შრომის მუზეუმში

შრომის დაცვის მუზეუმში ორშაბათს, 5 მარტს, დღის 2 საათზე შრომის სახ. კომისარიატის ჰიგიენური ლაბორატორიის ექიმი ხმალაძე მოხსენებას გააკეთებს ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნების შრომის პირობების შესახებ

მოხსენებაზე დასასწრებლათ მოწვეული არიან პროფსაბჭოს, ფეიქართა კავშირის, საოლქ. კომიტეტის, ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოცდაზღვევის, ჯანსახკომის, რკინის გზის შრომის ინსპექციის და სხ. დაწესებულებების წარმომადგენლები.

სარკინისგზო ტარიფი

29 თებერვალს, სარკინისგზო ტარიფის გადასინჯვასთან დაკავშირებით, თბილისის საქონლის ბირჟაში შესდგა უწყება-დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი. თათბირზე გამოირკვა, რომ ზოგიერთ პირველ მოთხოვნილების საქონლის გადაზიდვის ტარიფი ხშირათ საქონლის ღირებულების 50 პროცენტს შეადგენს, რაც საგრძნობლათ აფერხებს აღნიშნულ საქონლის ფასების შემცირებას. თათბირმა საჭიროთ სცნო სარკინისგზო ტარიფის გადასინჯვის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხორბლეულის და ფურაჟის გადაზიდვის ტარიფის შემცირებას. თათბირმა დაავალა უწყება-დაწესებულებებს გამოსთქვან თავისი მოსაზრებები სარკინისგზო ტარიფის შესახებ და წარადგინონ ასეთები ა.-კ. რკინის გზის სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირში.

თბილისის აღმასკომში

◆ „საბჭოთა მუშაობა". თბ. აღმასკომმა დაასწყვიტა გამოსცეს საკუთარი ჟურნალი „საბჭოთა მუშაობა".

◆ საბავშვო სახლების შეკეთება. განათლების განყოფილება შეუდგა საბავშვო სახლების გაფართოება-შეკეთებას.

◆ მოძრავი სახელოსნო. საადგილ-მამულო განყოფილება მაზრისათვის აწყობს სას.-სამეურნეო-მანქანების შემკეთებელ მოძრავ სახელოსნოს.

◆ ტელეფონი. აღმასკომმა გადასწყვიტა მაზრის მოზრდილ თემებში გაიყვანოს ტელეფონის ქსელი.

სოცდაზღვევა

◆ მოზარდ უმუშევრებისათვის დახმარების გასაწევად ამიერ-კავკ. სოცდაზღვევის სამმართველომ საქართველოსათვის გადასდო 13.000 მანეთი.

◆ ახალი სანატორიუმი. სოცდაზღვევის სამმართველოს ცნობით წელს აბასთუმანში დამთავრდება ახალი სანატორიუმის აგება.

განათლების კომისარიატში

◆ რადიო. პოლიტგანათლების მთავარმა მმართველობამ დაადგინა რაჭის მაზრას გადაუგზავნოს 8 რადიო-მიმღები სადგური.

◆ სკოლა. განათლების კომისარიატის ცნობით სოფ. ზნაკში (რაჭის მაზრა) გლეხებმა შვიდწლედისათვის ააგეს ახალი შენობა, რომელიც დაჯდა 6.000 მანეთი.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

◆ პედაგოგიური პერსონალი. ამჟამად უნივერსიტეტში ირიცხება 41 პროფესორი, 23 დოცენტი 93 ლექტორი, 115 ასისტენტი, 32 ასპირანტი, 45 ორდინატორი და 49 პრეპარატორი.

◆ კურსდამთავრებულები. სახ. უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე უნივერსიტეტი დაამთავრა 819 კაცმა.

◆ ხელფასის გადიდება. პედაგოგიურ პერსონალისათვის ხელფასის გასადიდებლად სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ მთავრობისაგან დამატებით მიიღო 76.000 მან.

◆ უფასო სადილები. სტუდენტთა აღმასბიურომ დაადგინა ღარიბ სტუდენტებისათვის უფასო სადილების რიცხვი გაადიდოს 100-მდე.

◆ სტიპენდიანტები. სტ. აღმასბიურომ აღძრა შუამდგომლობა სტიპენდიანტების რიცხვის გადიდების შესახებ. ამჟამად სტიპენდიას ეძლევა 387 სტუდენტს.

სხვადასხვა

◆ კულტკონფერენცია. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება 5 მარტისათვის თბილისში იწვევს სრ. საქართველოს კულტკონფერენციას.

შემთხვევები

ქურდობა მუშკოოპის მაღაზიაში

უკანასკნელ ხანებში მუშკოოპის პურის [illegible] დუქანში (№ 170) სისტემატიურად იკარგებოდა ტომრები. მუშკოოპის გამგეობამ ამის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ ქურდობას ეწეოდა ვიღაც მამედ მამედისძე მამუდოვი. ქურდი დაპატიმრებულია.

ბავშვის დაკარგვა

21 თებერვალს უგზო-უკვლოდ დაიკარგა მიხეილ მიხეილისძე ოჟიარი, 9 წლისა (მცხ. კამოს ქ., № 24).

ქურდების დაპატიმრება

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ნოე ანდრიასძე ვაშაყმაძე, კარაპეტ მარტიროსისძე გასპაროვი, ვალიკო რაზმაძე (მცხ. ცხინვალის ქ., № 6), და ხაჩატურ უნანისძე ჯალგაკოვი, რომლებსაც ბრალდებათ ქურდობა.

მკვლელების დაპატიმრება

გუშინ დააპატიმრეს ალი ახმედ და ბაირამ ახმედ-ოღლი, რომლებსაც ბრალდებათ თევდორე ათანასისძე ათანასოვის მოკვლა.

ქურდობა

გუშინწინ გაქურდეს ეპიფანე მენაბდის ბინა (გრიბოედოვის ქ., № 6); წაიღეს 181 მანეთის ნივთები.

გუშინ გაქურდეს ბ. ტურიაშვილის ბინა (კალინინის ქ., № 73),—წაიღეს 200 მანეთის საოჯახო ნივთები.

კინო-თათბირი

უკანასკნელი სხდომა

გუშინ დამთავრდა საქ. კომპარ. ცეკის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან მოწვეული კინო-თათბირი, რომელმაც თავის უკანასკნელ სხდომაზე მიიღო რეზოლიუციები თათბირის დღის წესრიგში დასმულ საკითხების შესახებ.

კინემატოგრაფიის დარგში პარტხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპების შესახებ გამოტანილი რეზოლიუცია საჭიროდ სცნობს, რომ კინო- წარმოებამ მიზნად დაისახოს მხატვრულ რევოლიუციონური ფილმების გამოშვება, უმთავრესად, ჩვენი მუშათა და გლეხთა ყოფაცხოვრებიდან. რეზოლიუცია საჭიროდ სცნობს კინო-წარმოებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბრძოლას ჩვენი კულტურული ჩამორჩენილობის, რელიგიური ცრუმორწმუნეობის, მეშჩანური განწყობილების წინააღმდეგ და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებას ე. წ. საწარმოო და კულტურული ფილმების გამოშვების საშუალებით. კინო-წარმოების საწარმოო პროგრამის ერთ მთავარ მუხლს უნდა წარმოადგენდეს საბავშვო ფილმების გამოშვება და კინო-ქრონიკა ჩვენი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებისა და საბჭოთა აღმშენებლობიდან. რეზოლიუციაში გათვალისწინებულია აგრეთვე მთელი რიგი ღონისძიებები კინო-ფილმების მხატვრულ ღირსების ასამაღლებლად.

საქართველოს კინო-მრეწველობის შესახებ მიღებული რეზოლიუცია საჭიროდ აღიარებს კინო წარმოების მტკიცე ფინანსიურ და საოპერაციო გეგმაზე გადაყვანას, მისი მუშაობის რაციონალიზაციას და კინო-პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებას.

სოფლის კინოფიკაციის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში გათვალისწინებულია ჩვენი სოფლისთვის საჭირო სურათების ხასიათი და ღონისძიებები სოფლის კინოფიკაციის დასაჩქარებლად. (მაგ. სოფლის კინოფიკაციისათვის სახელმწ. გადასახადების ანარიცხების გადადება, სოფლისთვის კინო-აპარატების მიწოდება, კინო-სურათებზე ფასების დაკლება, კინო-მექანიკოსების მომზადება და სხვა). მიღებულ იქნა აგრეთვე რეზოლიუციები კინოს საქმის გაუმჯობესების შესახებ მუშათა კლუბებში და წითელი არმიის ნაწილებში.

სასამართლო

ვატმან ვართანოვის საქმე

თბილისის სამაზრო სასამართლო ამხ. ბერიაშვილის თავმჯდომარეობით არჩევს ვატმან ვართანოვის საქმეს.

საქმის დაწვრილებით შინაარს იცნობენ ჩვენი მკითხველები.

ვართანოვი პასუხისგებაში მიცემულია იმ კატასტროფისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1926 წ. 5 ნოემბერს კალიაევის (ყოფ. ციციანოვის) დაღმართზე.

ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვართანოვი, კალიაევის დაღმართზე დაეშვა არაჩვეულებრივი სისწრაფით. დაღმართის შუა ადგილიდან ვაგონი ისე მოწყვეტით დაეშვა, რომ დამუხრუჭებამაც ვერ შეანელა სისწრაფე. მგზავრები შიშისაგან ერთმანეთს ეკვროდენ. დაღმართის ძირში ვაგონი გადაბრუნდა და ქვეშ მოიყოლა მგზავრების ნაწილი. მოკვდა სამი მგზავრი, მათ შორის გაზ. „იზვესტიის" კორესპონდენტი ლაუფერი. დაშავდა 8 მგზავრი.

საგამომძიებლო ორგანოების დასკვნით, კატასტროფა ვატმანის ბრალია. უკანასკნელმა არ გამოიჩინა საჭირო სიფრთხილე, არ დაამუხრუჭა თავის დროზე ვაგონი.

ბრალდებული თავს დამნაშავედ არ სცნობს და აცხადებს, რომ ტრამვაის ხაზი იყო სველი არ ეყარა ხრეში, ვაგონი დაცურდა და შეუძლებელი გახდა შეჩერება.

საქმეზე გამოწვეულია 8 ექსპერტი. ბრალს სდებს პროკურორი ლ. ჟღენტი. ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ლვამიჩავა.

დაიწყო მოწმეების დაკითხვა.

მკვლელობა

საბრალმდებლო სკამზე ზის ხუთი ბრალდებული: ანდრო საძაგლიშვილი, ლონგინოზ ჩითალაშვილი, ბოგდან ზურაბაშვილი, გიორგი ასილოვი და ევგენია საძაგლიშვილის ასული.

საბრალმდებლო დასკვნა შემდეგს ლაპარაკობს:

ევგენია საძაგლიშვილის ქალი ცოლად ჰყავდა ვინმე ქობულაშვილს. უკანასკნელს სამიკიტნო ჰქონდა თბილისში, სადაც მოსამსახურედ აყვანილი ჰყავდა თავისივე ცოლის ძმა ანდრო საძაგლიშვილი.

ქობულაშვილი უდიერად ეპყრობოდა ცოლს ევგენიას. ბრუნდებოდა სახლში მუდამდღე მთვრალი, აგინებდა—ლანძღავდა და ზოგჯერ კიდეც სცემდა ცოლს.

ანდრო საძაგლიშვილი ამ ნიადაგზე ხშირად ეჩხუბებოდა თავის სიძეს. მდგომარეობამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. როცა ცოლ-ქმრის შეთანხმება შეუძლებელი გახდა, ევგენიამ მიატოვა ქობულაშვილი და დამოუკიდებლად დაიწყო ცხოვრება.

ჩხუბი და აყალ-მაყალი ქობულაშვილსა და ანდრო საძაგლიშვილს შორის გრძელდებოდა, ბოლოს ესენიც დაშორდენ ერთმანეთს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ქობულაშვილმა თავისი რესტორანიდან დაითხოვა ყოფილი ცოლის ძმა.

ერთ დღეს ანდრო საძაგლიშვილმა შეკრიბა თავისი ამხანაგები, დაუხვდა გზაში ქობულაშვილს და მოჰკლა.

მკვლელები დააპატიმრეს.

მთავარი ბრალდებულია ანდრო საძაგლიშვილი, ლონგინოზ ჩითალაშვილს, ბოგდან ზურაბაშვილს და გიორგი ასილოვს ბრალად ედებათ თანამონაწილეობა მკვლელობაში. ევგენია საძაგლიშვილის ქალს თავისი ძმის წაქეზება.

ანდრო საძაგლიშვილი სცნობს თავს დამნაშავედ. დანარჩენები უარყოფენ ყოველგვარ მონაწილეობას მკვლელობაში.

დამთავრდა ბრალდებულთა დაკითხვა.

ღალატი

გაგიჟებით უყვარდა მოქ. კაპაინიდის ალექსანდრა სტალიაროვას ქალი.

ქალიც თანაუგრძნობდა მას. ქალმა შეფიცა, რომ არასდროს მას არ გასცვლიდა სხვაზე.

ხვდებოდენ ერთმანეთს ახალ-გაზრდა ქალ-ვაჟი. ბათუმის ბულვარი იყო მათი პაემანის ადგილი (ამბავი ხდება ბათომში). რამდენჯერ შემოღამებიათ მათ ზღვის პირას, ზღვის კენჭებით თამაშის დროს!

მიდიოდა დღეები. კაპაინიდისს სულ უფრო ძლიერად ეკიდებოდა სიყვარული.

გაცივდა სტალიაროვას ქალის გული. თუ წინად პაემანის ადგილს თვითონ უნიშნავდა სატრფოს და ყოველთვის შეჰხაროდა მასთან შეხვედრას, ეხლა პაემანის ადგილიც არ მოსწონს, საქმეებიც გაუჩნდა, აღარ „სცალია", „დრო არ აქვს".

გაურბის კაპაინიდისს. აღარ უყვარს. სხვამ დაისადგურა მის გულში. როცა კაპაინიდისი გულმოკლული დაეძებს თავის სატრფოს, როცა დაეხეტება ქუჩაში, რომ იქნებ სადმე თვალი მოჰკრას,—ალექსანდრა სტალიაროვას ქალი ალექსანდრე ლიფშიცთან ალერსში ატარებს დროს.

გაიგო ეს ამბავი კაპაინიდისმა. შესჩივლა სატრფოს.

სტალიაროვას ქალმა ტკბილი ენით ყოველგვარი ეჭვები გაუფანტა ძველ სატრფოს და [illegible] პაემანის დროც დაუნიშნა.

ეს რომ ახალმა სატრფომ—ლიფშიცმა გაიგო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

— შენ კიდევ არ შესწყვიტე იმ არამზადასთან სიარული? ხომ იცი, ცოცხალს არ გაუშვებ?—ბრაზმორევით უთხრა ლიფშიცმა სატრფოს.

— რა ვქნა? გადამეკიდა ძველი თამასუქივით... განა მე არ მინდა მისი თავიდან მოშორება!

ორივეს უნდა „ძველი თამასუქის" თავიდან მოშორება.. მუშავდება საშინელი გეგმა.

ალექსანდრა სტალიაროვას ქალი ჩვეულებისამებრ პაემანს უნიშნავს ყოფილ სატრფოს - -კაპაინიდისს.

სექტემბრის გრილი საღამო. ზღვის პირას, ბნელ ადგილას სტალიაროვას ქალი ტრფობის ზღაპრებს ეჩურჩულება კაპაინიდისს.

გაიელვა დანამ და გადასერა კაპაინიდისის გული.

— აბა, ჩქარა, მოჰკიდე ხელი ფეხებზე!..

ქალმა დასტაცა ხელი სასიკვდილოდ დაჭრილ კაპაინიდისს და ორივემ შეერთებული ძალ-ღონით ზღვის ტალღებს მიაბარეს კაპაინიდისი.

კაპაინიდისი კარგი მცურავი იყო. მიუხედავად მძიმე ჭრილობისა, მან ცურვით მოაღწია ნაპირამდე და ყვირილი ასტეხა.

იქვე მდგომმა საგანგებო რაზმის თანამშრომლებმა მიუსწრეს მომაკვდავ კაპაინიდისს, რომელმაც სიკვდილამდე მოასწრო მისი მკვლელების დასახელება.

აჭარისტანის უზენაესი სასამართლო 17 მარტს მართავს საჩვენებელ პროცესს ალექსანდრა სტალიაროვას და ალექსანდრე ლიფშიცის გასასამართლებლად.

საქმე დიდ ინტერესს იწვევს ადგილობრივ მცხოვრებლებში.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

ფატმა მუხტაროვას პირველი გასტროლი

„კარმენ", მუს. ბიზესი.

ამა წლის თებერვლის 29 ფატმა მუხტაროვამ გვიჩვენა თავისი ვოკალური და სცენიური შემოქმედება ოპ. „კარმენ"-ში. ამ შემოქმედების ირგვლივ შეიძლება გაიმართოს საინტერესო და ჩვენი ოპერისათვის ნაყოფიერი კამათი. ეს შემოქმედება მატარებელია როგორც დადებითი, ისე ყოვლად დაუშვებელ უარყოფითი მხარეებისა, მაგრამ მასსიურ მაყურებელზე სტოვებს იმოდენად ძლიერ შთაბეჭდილებას, რომ ძალაუნებურად იბადება საკითხი ამ შთაბეჭდილების ძირითად მიზეზებზე. მუხტაროვას „კარმენი" ჩვეულებრივ კომენად ვერ ჩაითვლება: ამ როლის შესრულების დროს მუხტაროვას მიტოვებული აქვს ყველა სცენიური საზღვარი, ემორჩილება მხოლოდ თავისი ფსიქიკის წამიერ კარნახს და ამ კარნახით გატაცებული რეალურად აფურთხებს ცუნიგას შიგ სახეში, რეალურად დაარტყამს მას თავში დაირას, მოითხოვს, რომ დონ-ხოზე ეჭვიანობის დროს რეალურად წაუწედეს მას თმებში და სხვ. ესტეტიურია ეს ცალკე მომენტები? რა თქმა უნდა არა. მაგრამ ამ ცალკე მომენტებისაგან შექმნილი საერთო შთაბეჭდილება იმოდენად ძლიერია თავისი სინამდვილით, რომ მაყურებლის ფსიქიკაში იკარგება სცენიური შემოქმედების პირობითი ხასიათი. მუხტაროვას კარგად აქვს შეგნებული რეალობის ზეგავლენა მასსიურ მაყურებელზე და ამიტომ განზრახ აღრმავებს ამ რეალობას, ისე რომ მრავალ ადგილას არ ერიდება გადაჭარბებასაც კი. მან კარგად იცის, რომ თანამედროვე მაყურებელს მოსწყინდა ოპერაში გამეფებული სცენიური განცდის ტრაფარეტი, ვითომდა „ესტეტიური" ფარგლებით შეკავებული დრამატიული განვითარების უფერული გამოსახვა, იცის, რომ მაყურებელს სწადია ამ უფერულობის დაახლოება ცხოვრების სინამდვილესთან, და ამის მისაღწევად ყოველი სცენიური ცდა მიღებული იქნება აღტაცებით. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მუხტაროვას საუკეთესოდ აქვს შემუშავებული ცალკე ფრაზების სიტყვიერი გამომეტყველება და გამომეტყველების გამომხატველი ხმოვანი ათოა ინტონაცია, ცხადია, რომ არავითარი თავისებურება სცენიური შესრულებისა ხელს ვერ შეუშლის მუხტაროვას კარმენის შთაბეჭდილების განმტკიცებას მასაზე.

მაგრამ მუხტაროვას შემოქმედების ამ დადებით მხარეს თან სდევს ყოვლად მიუღებელი მოპყრობა მუსიკალურ შინაარსთან და კომპოზიტორის განზრახვებთან. გატაცებული დრამატიული მოქმედების გაღრმავებით, მუხტაროვა ხშირად მღერის არა იმას, რაც შეთხზულია კომპოზიტორის მიერ, არამედ იმას, რაც მუხტაროვასათვის უფრო ხელსაყრელია მისი ინტუიტიური განცდის გამოსახვისათვის; სასიმღერო ადგილებს მუხტაროვა ხშირად გარდაქმნის მელოდეკლამაციით, სადაც არა შეფარდებული არ არის მუსიკასთან; თავისი შეხედულებით ჩაუმატებს ოპერის ლიბრეტოში მუსიკალურ დრამატიულ უსიტყვო ინტერმედიის დროს თავის საკუთარ სიტყვებს და ყვირილს, მაგალითად: „ოჰ, ესკამილიო" და სხვ. ამის გამო, მუხტაროვას შესრულებაში ბიზეს მუსიკა მრავალ ადგილას ჰკარგავს თავის გამომეტყველებას და მნიშვნელობას და ჩნდება შთაბეჭდილება, რომ არა მუხტაროვაა ვალდებული გამოსახოს ვოკალურ ბიზეს გენიალობა, არამედ ბიზე ვალდებულია არ შეუშალოს თავისი მუსიკით ხელი მუხტაროვას სცენიურ შემოქმედებას. ეს შეხედულება ოპერაში ყოვლად მიუღებელია და უარყოფს ოპერის ძირითად საფუძველს; თანამედროვე ცხოვრება მოითხოვს იმისთანა საოპერო შემოქმედებას, სადაც უტყუარი დრამატიული განვითარება დაკავშირებული იქნება მუსიკალურ შინაარსთან ისე, რომ ერთი ლოგიკურად გამომდინარეობდეს მეორისაგან.

ვინაიდან ოპერაში ერთი მუსიკალური ფრაზა ჩაითვლება მეორე ფრაზის ლოგიკურ განვითარებათ, ან გაგრძელებათ, მუხტაროვას მიერ ამა თუ იმ ფრაზის მოხაზულობის დარღვევა არეულობას იწვევს მასთან ერთად მომღერლის ფსიქიკაში, უძნელებს მას თავისი ტონალობის მოძებნას, გათვალისწინებულ რიტმის დაცვას, და თვითონ მისი ყურადღება მიპყრობილია არა საკუთარი როლის შესრულებისაკენ, არამედ მუხტაროვას ინიციატივისაკენ. ამით ირღვევა ანსამბლი (საერთო შემოქმედება). მუხტაროვა ჩრდილავს და აფერულებს ყველა თანამონაწილეთა შემოქმედებას. საუკეთესო ოპერად კი ჩაითვლება მხოლოდ ისეთი, სადაც ანსამბლი არის მაგარი და სადაც ყოველი პერსონაჟი არის მხატვრულად დამუშავებული და ტიპიურად ძლიერი.

ოპერას ლოტბარობდა ი. ფალიაშვილი.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

ვალ. ქაშაკაშვილის გასტროლები

იტალიიდან ახლახან დაბრუნებულ ახალგაზრდა მომღერალ—ბარიტონ ვალერიან ქაშაკაშვილის პირველი გამოსვლისათვის შაბათს, 3 მარტს სახელმწიფო ოპერაში წარმოდგენილი იქნება ოპერა „რიგოლეტო". გასტროლიორი შეასრულებს რიგოლეტოს პარტიას.

ვალ. ქაშაკაშვილი იტალიაში გაემგზავრა 1924 წ. თებერვალში. უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო თბილისში—სახელმწიფო კონსერვატორიაში. კურსი დაამთავრა 1923 წელს.

იტალიაში—ქალ. მილანში ვალ. ქაშაკაშვილი სწავლობდა გამოჩენილ ბარიტონ სამარკოსთან.

1926 წლის იანვარში იგი პირველად გამოვიდა ქალ. ფლორენციაში—ოპერა „ტრავიატა"-ში, რომელშიაც შეასრულა ჟერმონის პარტია.

ტრავიატას გარდა, ფლორენციაში იგი გამოვიდა ოპერა „რიგოლეტო"-ში. ამავე ხანებში საგასტროლოდ გაემგზავრა ქალაქ მურტარაში, მონცაში, გენუაში და სონდრიოში. გენუაში მან ყურადღება მიიქცია ოპერა „ჯამბაზებში" და „აიდა"-ში გამოსვლით. ქალ. სონდრიოში იგი რამოდენიმეჯერ იყო მიწვეული.

აღნიშნულ ოპერების გარდა, ვალ. ქაშაკაშვილი მღეროდა „ფაორიტა"-ში, „ფაუსტში" და „ანდრე-შენიე"-ში.

თბილისში ქაშაკაშვილი გამოვა რამოდენიმე ოპერაში.

ხელოვნების ქრონიკა

„ლატავრა"

მუშაობა სახალხო არტისტ ზ. ფალიაშვილის ახალი ოპერის „ლატავრა"-ს დასადგმელად დასასრულს უახლოვდება. პარტიები განაწილებულია შემდეგნაირად:

ლატავრა—დანიელიანი, კრასნიცკაია, ნინო—ვოლჩანეცკაია, მაჟაშვილი, ენგიჩარ—მესხიევი, შარაშიძე, ინკუბუს—ხ. ინაშვილი, ვენაძე, რატი—ქუმსიაშვილი, კრუზო, ბექარ—ფროლოვი, მოლჩანოვი, გურამ ქურხული, ვლ. კანდელაკი, მოურავი—შაპოშნიკოვი, მგოსანი—სვანიძე, მოლჩანოვი, გზირი—გაეცკი, პირველი მოსამართლე—სვანიძე, ფროლოვი, მეორე მოსამართლე—პიჯოვაროვი, მაუწყებელი—ქუთათელაძე.

ოპერას დგამს სახელმწიფო დრამის მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი. დეკორაციები დამზადებულია მხატ. ი. გამრეკელის ესკიზებით. დირიჟორობს სახალხო არტისტი ი. პ. ფალიაშვილი.

ამ დღეებში გაიმართება ოპერის გენერალური რეპეტიცია. „ლატავრა"-ს პირველი წარმოდგენა დანიშნულია 9 მარტისათვის.

ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმის 10 წლის იუბილე

9 მარტს ქუთაისში გაიმართება მუსიკალურ ტეხნიკუმის დაარსებიდან 10 წლის თავის აღსანიშნავი იუბილე.

იუბილეს მოსაწყობად და ჩასატარებლად შედგენილია საიუბილეო კომისია, რომელშიაც შედიან: ქუთ. განათლების განყოფილების გამგე თ. ჭუმბურიძე (კომ. თავმჯდომარე), კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე, სახ. კონსერვატორიის რექტორი პროფ. დ. არაყიშვილი, სახ. კონსერვატორიის პრორექტორი ლარისა ქუთათელაძე, ქუთ. სამუს. ტეხნიკუმის გამგე ილ. აბაშიძე, ამავე ტეხნ. მასწავლებელი ლ. ნაკაშიძე, ქუთ. ხელოვნ. მუშ. კავშ. თავმჯდ. დ. ჩხეიძე, ქუთ. აკად. თეატრ. რეჟ. მ. ქორელი, ქუთ. მაზ. ქალთა განყოფილებიდან—მ. კოსტავა.

ლიტერატურული გასამართლება

კვირას, 4 მარტს, დილის 10 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში რკინისგზელთა მუშფაკთან არსებული სალიტერატურო წრე აწყობს გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის" გმირის—ერემია წარბას ლიტერატურულ გასამართლებას. შესვლა თავისუფალია.

— **„ინტერნაციონალი".** ხელოვნების განყოფილებამ დაადგინა საბჭოთა კავშირის ჰიმნი „ინტერნაციონალი" ყოველ ზიმის დროს შესრულებული იქნეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცემულ ტექსტის მიხედვით.

— **მუსიკალურ ნაწარმოებთა გამოსაცემად.** ხელოვნების განყოფილებამ დაადგინა, რომ სახელგამთან დაარსებული იქნეს მუსიკალურ ნაწარმოებთა საგამომცემლო სექტორი საკუთარი ბიუჯეტით.

◆ **მუხტაროვას მეორე გასტროლი** გაიმართება დღეს. წარმოდგენილი იქნება: „სამსონ და დალილა".

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება თურქული წარმოდგენა.

◆ **„ლატავრა".** ზ. ფალიაშვილის ახალი ოპერა „ლატავრა" წარმოდგენილი იქნება 7 მარტს.

◆ **„რღვევა".** მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

◆ **კონცერტი.** რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში 3 მარტს გაიმართება დიდი კონცერტი.

◆ **მხატვართა კლუბი.** სამხატვრო აკადემიაში ახლო ხანში გაიხსნება მხატვართა კლუბი.

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** 2 მარტს გაიმართება ამავე კონსერვატორიის მასწავლებელ ბარხუდაროვას კონცერტი.

◆ **ახალი სურათი.** რეჟ. ძ. ბერიშვილი შეუდგა ახალი სურათის „ცხრა და ერთი"-ს გადაღებას. სურათის შინაარსი აღებულია 1905 წლის რევოლუციონურ მოძრაობიდან.

ხელოვნების ქრონიკაში

ქუთაისი

ახალი ხანა კოოპერაციაში

საბჭოთა ხელისუფლება მუდამ ცდილობს დაწვრილებით გამოიკვლიოს ქვეყნის მდგომარეობა, გაიგოს მისი საჭიროებანი და თავისი დახმარების ხელი პირველ რიგში მის უფრო სუსტს, მტკივან ადგილს მიაშველოს.

ამ 5—6 წ. წინად ერთი ასეთ ადგილთაგანი გახლდათ ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც თითქმის სრულიად განადგურებული იყო და სასიცოცხლო ნიშან-წყალს ძლიერ ცოტას შერჩენოდა.

საჭირო იყო უებარი ექიმი, რომ ამ სულთმობრძავი ორგანიზაციისათვის სიცოცხლე დაებრუნებია.

და, სწორედ, ასეთ ექიმად მოევლინა მას ხელისუფლება, რომელმაც დაუყოვნებლივ მიაშველა საჭირო წამალი: სახელმწიფო ტრესტებმა და სავაჭრო - სამრეწველო დაწესებულებებმა ბლომად მიაწოდეს საქონელი სარეალიზაციოდ; ბანკებმა უხვად გაუხსნეს კრედიტი, პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა აგიტაცია - პროპაგანდით ხელი შეუწყეს კოოპერაციის წევრთა რიცხვის ზრდას; მთავრობისავე დეკრეტებით და ცირკულიარებით შეიქნა კოოპერაციისათვის მრავალი სხვა და სხვა ხელის შემწყობი პირობები და სხ.

ამას შედეგად მოჰყვა კოოპერაციის მოღონიერება, წელში გამართვა და სასიცოცხლო გზაზე დადგომა. დღეიდან კოოპერაციის მტრები, რამდენიც უნდა ეცადონ, მის ძლევამოსილ მსვლელობას ვერ შეაჩერებენ, სანამ ის მთელს ვაჭრობას ხელში არ ჩაიგდებს, ბაზარს სავსებით არ დაიუფლებს და ამით ერთს მტკიცე საფეხურს არ ჩაუდგამს სოციალიზმის დიადი შენობის კიბეს.

ასეთი მდგომარეობა, როგორც მოგახსენეთ, მოიპოვა კოოპერაციამ უმთავრესად ხელისუფლების დახმარებით, რაც შეეხება წევრთა აქტივობას, ის ჯერ კიდევ შედარებით მცირეა.

სანიმუშოდ ავიღოთ, თუნდაც, ქუთაისის მუშკოოპი „კოოპერაცია", რომელიც შეიძლება სხვა კოოპერატივებისათვის სამაგალითოდ ჩაითვალოს.

ხსენებულ მუშკოოპს, რომლის წარსული საოპერაციო წლის სავაჭრო ბრუნვამ 3.000.000 მანეთს გადააჭარბა და 50.000 მანეთამდე წმინდა მოგება დატოვა,—მიმდინარე საოპერაციო წლის დასაწყისში ჰყავდა სულ 10.287 წევრი, რაც უდრის მოსახლეობის 62 პროც., ამათგან საპაიო თანხა (5 მან.) სრულიად ჰქონდათ შეტანილი, მხოლოდ 1918 კაცს; სულ კი შემოსული იყო წევრთაგან 31.683 მან და 70 კაპ. (ე. ი. თვითეულისაგან საშუალოდ 3 მან. და 8 კ.).

ამგვარად, ხელისუფლებამ თავის მოვალეობა კოოპერაციის წინაშე სავსებით შეასრულა. ამის შემდეგ საჭიროა კოოპერაციამ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები თავის საკუთარ საშუალებათა გასაძლიერებლად. ამისთვის კი, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა წევრთა რიცხვის მაქსიმუმამდე გადიდება, მაგრამ ის კი არ კმარა, რომ ძალღონებურად შეამსებინო მოქალაქეს საანკეტო ბლანკი და მისი სახელი და გვარი საანბანო წიგნში გადაიტანო; ამასთან ერთად, საჭიროა საწევრო - საპაიო ფულის გადახდევინებაც, თუ ერთბაშად არა, ორს, სამს, ოთხ თვეში მაინც. მასთან, მრავალი უნდა გატარდეს ცხოვრებაში კოოპერატივების რწმუნებულთა უკანასკნელი ყრილობების დადგენილება საპაიო თანხის 10 მანეთამდე გადიდების შესახებ. 10 მანეთის გადახდა ოთხი თვის განმავლობაში, ე. ი. თითქმის შუა ზაფხულამდი, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ უღარიბეს მოსახლეობას ეს ფული არ გადახდება.

ასეთი ზომების განხორციელება საგრძნობ თანხას მისცემდა კოოპერატივებს და შეუვსებდა კრედიტების შეკვეცით გამოწვეულ დანაკლისებს.

მაგალითისთვის ისევ ქუთაისის მუშკოოპს ავიღებთ, რომელსაც ძველი წევრებისაგან საპაიო გადასახადის 10 მანეთამდე შევსება მისცემს 71.000 მანეთამდე. მუშკოოპს გარეთ დარჩენილი მოსახლეობის 38 პროცენტის წევრად ჩაწერა (უღარიბესი მოსახლეობის 10 პროცენტის გამოკლებით, რომელიც შეიძლება განთავისუფლებულ იქნას გადასახადისაგან) შემატებოდა მას — 54.900 მანეთამდე. ე. ი. სულ — 125.900 მანეთამდი. მაგრამ 125 ათასის ნაცვლად ასი ათასი, ოთხმოცი ათასი მანეთიც რომ ნაღდათ შემოუვიდეს მუშკოოპს, მაშინ ის ისე მაგრად დადგება თავის საკუთარ ფეხზე, რომ დღევანდელი კრედიტები კიდეც რომ გაუნახევრონ, მაინც არაფერი გაუჭირდება და ამოღებული თანხის მისაცემი სარგებელიც მის ჯიბეში დარჩება წევრთა შორის დივიდენდის სახით გასანაწილებლად. ასევე შეიძლება ითქვას სხვა კოოპერატივებზედაც.

მაგრამ ასეთი ზომების განსახორციელებლად მარტო ის კი არ კმარა, რომ პროფკავშირებმა დაავალონ დაწესებულებათა თანამშრომლებს —უსათუოდ ყველანი ჩაეწერონ წევრად და სამს თვეში გადაიხადონ საპაიო 10 მან.; ამასთან ერთად აუცილებელი საჭიროა, რომ ყოველმა მოქალაქემ, ქალაქის მუშა-მოსამსახურე იქნება ის, თუ სოფლის გლეხი, შეიგნოს კოოპერაციის დიდი მნიშვნელობა და შეგნებულად გახდეს მისი წევრი.

დონ-ვალიანი.

ბიბლიოგრაფია

ა. ნ. ინწკირველი. „საბანკო ანგარიშწარმოება" სამრეწველო-ეკონომიური (კომერციული) განათლების დამხმარე კომიტეტის გამოცემა. გვ. 155. ფასი 1 მან. 80 კაპ.

საბჭოთა კავშირში სამოქალაქო ბრუნვის განვითარებამ დიდი მოთხოვნილება გამოიწვია საბანკო ანგარიშ-წარმოების შესწავლისა. საბანკო ანგარიშწარმოება ისწავლება სამრეწველო-ეკონომიურ ტეხნიკუმებში და აგრეთვე ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ დარგის ყველა განხრებზე. მიუხედავად ასეთი დიდი მოთხოვნილებისა, დღემდე ჩვენ არ მოგვეპოვებოდა ქართულ ენაზე არც ერთი წიგნი, სადაც განხილული ყოფილიყო საბანკო საქმის და საბანკო ანგარიშწარმოების ძირითადი საკითხები; ამდენად საბიბლიოგრაფიო წიგნი აღსანიშნავ ფაქტს წარმოადგენს ჩვენ ღარიბ კომერციულ ლიტერატურაში.

ავტორი სანამ გადავიდოდეს საბანკო ანგარიშწარმოებაზე, მოკლედ არკვევს ბანკს, მის მნიშვნელობას საერთოდ და კერძოდ კი ჩვენს საბჭოთა მეურნეობის სისტემაში. შემდეგ ავტორი იძლევა აქტიურ და პასიურ ოპერაციების განსაზღვრას და განაგრძობს: „ბანკების ოპერაციები შეიძლება დავყოთ აგრეთვე საკრედიტო საკომისიო და სავაჭრო ოპერაციებად".—ავტორს აქ, როგორც ვხედავთ, არ აქვს მოცემული ის კლასიფიკაციის ხაზები, რომლის მიხედვით „საბანკო ოპერაციები სხვადასხვა ძირითადობით სხვადასხვა ჯგუფებად ლაგდებიან. ამავე გვერდზე იძლევა რა ავტორი საკრედიტო, საკომისიო და სავაჭრო ოპერაციების განმარტებას, უშვებს ერთ შეცდომას: „სავაჭრო ოპერაციები ანუ სასპეკულიაციო ოპერაციები ეწოდება ისეთ ოპერაციებს, როდესაც ბანკი აწარმოებს ყიდვა-გაყიდვას თავისი ანგარიშით".

როგორც ვხედავთ ავტორი თანასწორობას ნიშანს სვამს სავაჭრო და სასპეკულიაციო ოპერაციებს შორის, მაშინ, როდესაც სასპეკულიაციო ოპერაცია არის სავაჭრო ოპერაციების ერთ-ერთი სახეობა. ის და კიდევ: „ყველა აკრედიტივის გატარება ცენტრალურ ბუღალტერიაში ღებულობს ასეთ სახეს და სხვა". (გვ 90) ხოლო არსად არ ლაპარაკობს, თუ როგორ ხდება მისი გატარება ოპერატიულ განყოფილებებში. წიგნის 89 გვერდზე ავტორი ამბობს: „თუ აკრედიტივი გაცემულია სხვადასხვა ქალაქებში და სხვადასხვა ბანკებზე, მას უწოდებენ ცირკულიარულ აკრედიტივს", ხოლო მე-13 გვერდზე იძლევა ფულის აკრედიტივის და საქონლის აკრედიტივის განმარტებას. როგორც ვხედავთ საერთოდ ავტორი არ იძლევა ზუსტ დეფინიციას აკრედიტივისა და არ გვაძლევს აგრეთვე იმ ნიშანს, რომლითაც უნდა მოვახდინოთ აკრედიტივის კლასიფიკაცია.

გვ. 32—43 ავტორი ლაპარაკობს განაღდების ოპერაციებზე, ხოლო მხედველობიდან უშვებს ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, სახელდობრ იმას, თუ რომელი თამასუქები შეიძლება გახდეს განაღდების ობიექტად ბანკებში. ჩვენ ვიცით წარმოშობის საფუძვლის მიხედვით შემდეგი თამასუქები: მეგობრული, საფინანსო და საქონლითი თამასუქები. როგორც ვიცით ბანკები არას დროს არ გაანაღდებენ მეგობრულ და საფინანსო თამასუქებს. ამისათვის საჭირო იყო ავტორს თავის წიგნში მიეცა ის გასაღები, რომლითაც ბანკები არკვევენ მას, თუ რომელი თამასუქები შეიძლება მიიღონ, მეგობრულ, საფინანსო და საქონლის თამასუქად.

საერთოდ ერთი თავისებურება გასჩნია ამ წიგნს,—ზედმიწევნით დაწვრილებით არის ლაპარაკი იმაზე, თუ რა და რა განცხადებანი, მოწერილობანი და რეესტრები უნდა წარუდგინოს კლიენტმა ბანკს, რომელთანაც ის საქმიან დამოკიდებულებაში იმყოფება. ამ მიმართულებით საბიბლიოგრაფიო წიგნი შეიძლება ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ ჩაითვალოს ბანკის კლიენტურისათვის.

ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას აგრეთვე ამ წიგნის მეორე მხარეს, რომელიც შეეხება ბანკის მიერ კლიენტთა წარმოდგენილ საოპერაციო მასალების საბანკო ანგარიშწარმოების თვალსაზრისით დამუშავებას. მთელი კურსი აღნიშნული წიგნისა დალაგებულია ოპერაციების მიხედვით და არა ოპერატიულ განყოფილებების მუშაობის მიხედვით, ამიტომ ხსენებულ წიგნში არ ჩანს საბანკო სტრუქტურა და მისი ორგანიზაცია და, რასაკვირველია, ვერ არის საკმაოდ დასურათებული ურთიერთობა, შინაგანი კავშირი ანგარიშების ანალიტურ და სინტეტიურ გატარებას შორის. თვით გამოსავალ წერტილი ე. ი. მასალის დალაგება ოპერაციების მიხედვით და არა ოპერატიულ განყოფილებათა მიხედვით ხელს უშლის ავტორს ბანკის რეალური პრაქტიკული საქმიანობა და მისი სტრუქტურა ცხოველმყოფელად წარმოგვიდგინოს.

ყოველ თავს ბოლოს დართული აქვს გასამეორებელი კითხვები, რომლებიც მკითხველს განვლილი მასალის უკეთ შეთვისებაში ხელს უწყობს. წიგნი ძალიან ბევრს მოიგებდა, რომ ავტორს ალაგ ტიპიური ოპერაციები ერთმანეთთან დაკავშირებით მაინც და ამის მიხედვით მოეცა თვითეულ ოპერატიულ განყოფილების [illegible] ფურცელი და დღიური ბალანსი.

გარდა ამისა კარგი იქნებოდა, რომ ავტორს დაესახელებია თავის წიგნში ანგარიშწარმოების ლიტერატურა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს საბეურნეო დარგში მომუშავე ამხანაგებს და კომერციულ კითხვებით დაინტერესებულ მოსწავლე ახალგაზრდობას.

ი. ურუშაძე.

ინდუსტრიალიზაციის სესხის მეორე ტირაჟი

21 თებერვლის დილის სხდომა

1.000 და 100 მანეთიანი მოგებანი

სერიების №№ 1000 მან.	ობლიგ. №№	100 მან. მოგ. ობლიგ. №№	სერ. №№ 1000 მან.	ობლიგ. №№	100 მან. მოგ. ობლიგ. №№	სერ. №№ 1000 მან.	ობლიგ. №№	100 მან. მოგ. ობლიგ. №№
007.091	2	1,3—50	064.736	17	1—16, 18—50	099.733	30	1—29. 31—50
011.021	24	1—23. 25—50	068.237	15	1—14, 16—50	102.444	10	1—9, 11—50
015.010	41	1—40. 42—50	069.422	11	1—10, 12—50	103.038	43	1—42. 44—50
016.950	14	1—13, 15—50	074.892	44	1—43, 45—50	108.452	50	1—49
019.804	4	1—3, 5—50	075.207	3	1—2, 4—50	108.586	28	1—27, 29—50
021.396	20	1—19, 21—50	077.030	32	1—31, 33—50	110.002	39	1—38, 40—50
025.928	11	1—10, 12—50	078.948	42	1—41, 43—50	110.171	50	1—49
026.452	6	1—5, 7—50	080.373	10	1—9, 11—50	115.695	21	1—20. 22—50
035.243	32	1—31, 33—50	082.387	36	1—35, 37—50	126.401	29	1—28. 30—50
035.478	23	1—22, 24—50	085.634	38	1—37, 39—50	128.392	31	1—30. 32—50
039.756	4	1—3, 5—50	085.899	22	1—21, 23—50	133.700	39	1—38, 40—50
047.593	10	1—9, 11—50	088.061	26	1—25, 27—50	134.219	44	1—43. 45—50
050.656	50	1—49	092.327	28	1—27, 29—50	137.138	45	1—44. 46—50
056.641	45	1—44, 46—50	094.547	49	1—48, 50	144.886	11	1—10, 12—50
062.378	43	1—42 44—50	094.964	33	1—32, 34—50	146.469	14	1—13. 15—50
063.157	20	1—19, 21—50	096.192	16	1—15, 17—50	154.539	7	1—6, 8—50
064.559	16	1—15, 17—50	098.466	41	1—40, 42—50	155.547	25	1—24, 26—50
						156.576	10	1—9, 11—50

22 თებერვლის საღამოს სხდომა

1.000 და 100 მანეთიანი მოგებანი

სერიების №№ 1000 მან.	ობლიგ. №№	100 მან. მოგ. ობლიგ. №№	სერ. №№ 1000 მან.	ობლიგ. №№	100 მან. მოგ. ობლიგ. №№	სერ. №№ 1000 მან.	ობლიგ. №№	100 მან. მოგ. ობლიგ. №№
012.043	2	1, 3—50	052.557	21	1—20, 22—50	126.370	18	1—17. 19—50
017.416	34	1—33. 35—50	057.438	24	1—23, 25—50	128.634	25	1—24. 26—50
019.198	18	1—17. 19—50	064.726	38	1—37, 39—50	132.983	16	1—15, 17—50
019.744	30	1—29, 31—50	064.891	42	1—41, 43—50	135.442	1	2—50
021.323	2	1, 3—50	069.739	24	1—23, 25—50	141.680	17	1—16, 18—50
029.744	8	1—7, 9—50	079.503	25	1—24, 26—50	145.342	1	2—50
035.480	45	1—44, 46—50	080.237	21	1—20, 22—50	146.931	16	1—15, 17—50
035.603	46	1—45, 47—50	080.978	28	1—27, 29—50	148.077	17	1—16, 18—50
040.674	48	1—47, 49—50	083.940	6	1—5, 7—50	151.608	43	1—42. 44—50
048.270	27	1—26, 28—50	102.810	45	1—44, 46—50	152.025	40	1—39, 41—50
050.081	14	1—13, 15—50	119.614	38	1—37, 39—50.			

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 2 მარტი

დღეს, 2 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

საბჭოთა კოოპერაციის როლი საერთაშორისო კოოპერატიულ მოძრაობაში—რუსულ ენაზე.

ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის—ჩატარების გეგმა—რუსულ და ქართულ ენებზე.

თეზისების და ლოზუნგების გადაცემა 8 მარტისათვის—რუსულ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი"—ქართულ ენაზე.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 2 მარტს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: მიხეილ გოგიაშვილი, ნიკო ქურთიევი, სულეიმან გოგელაშვილი, მიხეილ მიკირტუმოვი, გიორგი გულაშვილი, მალქია კვიტაშვილი, გიორგი ძნელაშვილი. გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: მარიამ და არჩილ ხუციშვილი.

თბილისის შრომის ბირჟის მედსექციამ მიიღო დამატებითი მოთხოვნილება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან, როგორც ექიმებზე, ისე სხვა პროფესიის მედპერსონალზე.

მსურველმა დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართოს თბილისის შრომის ბირჟის მედსექციაში ამხ. გოგეშვილს.

ჩვენი ფოსტა

ვანო ხელაშვილს. მიღებულია ერთი მანეთი გაზეთის გამოსაწერათ. გვაცნობეთ მისამართი.

ექ. ნინო ემელიანეს ასული ცაგარეიშვილს. მიღებულია ერთი მანეთი გაზეთის გამოსაწერათ. გვაცნობეთ მისამართი.

გაზ. „კომუნისტის" მთავარი კანტორა

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სასესხო პროცენტის უკიდურესი ნორმის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მევახშეობის შესახებ 1927 წლის აგვისტოს 17-ის თარიღით გამოცემული დადგენილებისა (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. № 48, მუხ. 490) და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სამოქალ. სამართლის კოდექსის 212 მუხლის შენიშვნის თანახმად—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე ქონებრივი სასესხო ხელშეკრულების პროცენტის უკიდურეს ნორმად წლიური 24 პროც.
2. სასესხო გარიგებით აღნიშნულ უკიდურეს ნორმაზე მეტი პროცენტის გადახდევინება დევნილ იქნება სისხლის სამართლის წესასამებრ—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 199 მუხლის თანახმად.
3. მიენდოს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დააწესოს პროცენტის უკიდურესი ნორმა სასესხო ხელშეკრულებისათვის იმ ფარგლების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1927 წლის აგვისტოს 17-ის დადგენილების მე-2 მუხლში.
4. დადგენილება ესე და აგრეთვე აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი, რაც ამა დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად უნდა გამოიცეს, შეტანილ იქნეს სამოქალაქო სამართლის კოდექსში 212 მუხლის დანართის სახით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. პ. ჟუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1927 წლის თებერვლის 29.
თბილისი-სასახლე.

იურიდიული დახმარება

ნიკოლოზ გურგენიძეს.

კითხვა:

შეუძლიათ თუ არა ოჯახის მარჩენელის გურგენიძის სიკვდილის გამო, მის ობლებს და ქვრივს მიიღონ ერთდროული ანუ მუდმივი დახმარება თუ იგი მატარებელმა გასრისა?

პასუხი:

ობლებს და ქვრივს შეუძლიათ მოსთხოვონ რკინის გზათა სამმართველოს ზარალის ანაზღაურება, თუ ისინი სახსარს და უნარს არიან მოკლებულნი, ობლები უნარ მოკლებულად ითვლებიან სრულ წლოვანობამდე, ხოლო ქვრივი (ქალი) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავადმყოფობისა ან ხნოვანობის (50 წ.) გამო ირიცხება უნარმოკლებულად, მაშინაც თუ მას მცირეწლოვან ბავშვს არ შესრულებია 8 წელი. თუ რკინის გზამ არ დააკმაყოფილა თქვენი მოთხოვნა, დაზარალებულთ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს სარჩელით 2 წლის განმავლობაში დღიდან უბედური შემთხვევისა.

პარტიული კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ [illegible] მოწვეულია დღეს, 2 მარტს დღის 1-ლ საათზე. წევრების და კანდიდატების [illegible] დებულობა, აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ: ამხ. თურქაძე მიხეილ, მარდალეიშვილი გალაქტიონ, ნიორაძე გრიგოლი, გველესიანი ტერენტი, კუპრეიშვილი გიორგი და ჩარკვიანი ლევანი.

— სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუნისტების ბიურო იტყობინება, რომ დღეს 2 მარტს დილის 11 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა.

დღესვე საღამოს 6 საათზე მოწვეულია ცალკე ფაკულტეტთა პარტიის და კომკავშირის ბიუროების გაერთიანებული თათბირი პოლიტწრეების მამასახლისებთან ერთად. დასწრება სავალდებულოა.

თბილისის სახ. უნ-ტის სტუდენტები: პეტია ეთერია, იპოლიტე გვასალია, მიშა ჩიქოვანი და ბორის ქავთელაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათთვის უძვირფასესი ამხანაგების კუკურის და კოლიასი მამის

ექიმ იასონი ნიკიფორეს-ძე
მუჯირის

უდროოდ დაკარგვას რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ქ. ზუგდიდში 3 მარტს. (შ)

ღრმა მწუხარებით გულდათუთქულნი შვილი ვარო იასონის ასული, სიძე ვლადიმერ გუგუშვილი, შვილისშვილები: ლეილა და ჯუანშერი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათი უძვირფასესი მამის, სიმამრის და ბაბუასი

ექიმ იასონ ნიკიფორეს-ძე
მუჯირის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება და დაკრძალვა ქალაქ ზუგდიდში შაბათს, 3 მარტს, 4 საათზე. 6. 713

მწუხარებით აღსავსე მახლობელი ნათესავები: ძმა ნიკოლოზ მეუღლით ვერათი, შვილებით: ლეონიდე, ვერა, გური, ტონია მუჯირები, სიძე კარლო გამსახურდია მეუღლით ალექსანდრათი და შვილით ლეილა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ

ექიმ იასონ ნიკიფორეს-ძე
მუჯირის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება და დაკრძალვა ქ. ზუგდიდში, შაბათს, 3 მარტს, 4 საათზე. 1637

ღრმად დამწუხრებული ძმები: შალვა და ლევან ფალავანდიშვილები ცოლ-შვილით, და სოფიო ჯავრიშვილისა, დისწულები: დავით ლავრენტის-ძე ჯავრიშვილი ცოლშვილით, თამარა ჯანდიერისა ქმარშვილით და ნინა ლავრენტის ასული თევზაძისა ქმრით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა

იოსებ (სოსო) რევაზის-ძე
ფალავანდიშვილი

გამოსვენება პარასკევს, 2 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარ ბინიდან ჯორჯაძის ქ. (ყოფ. გიორგიევის) № 3, ვერის ახალ სასაფლაოზე. 6. 721

თბ. აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის, უქსის და სადარაგო ბუხჰალტერიის თანამშრომლები აუწყებენ საზოგადოებას ყოფ. თანამშრომლის

იოსებ (სოსო) რევაზის-ძე
ფალავანდიშვილის

გარდაცვალებას.

გამოსვენება საკუთარ ბინიდან ჯორჯაძის ქ. № 3, პარასკევს, მარტის 2-ს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1642

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი ავლაბარი

პირველად თბილისში მხატვრული სურათი
დრამა პომერის ცირკში
მაცისტის და ჟანა კონსიოტის მონაწილეობით
ქალი გაზრონიდან
ვინ ხარ შენ
ამერიკული კინო-რომანი ს კ ი დ 1 და 2-რე სერია ერთად

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი აშლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ. საღამოს 5—8 საათ. დილის 11—1 საათ.
სპეციალურად სიფილისით ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) და რესის ქუჩა (ყოფ. კირკის) კუთხე. 25—1

სააქციო საზოგადოების
„საქართველოს ჩაი"-ს
გამგეობა
აცხადებს წერილობით
საჯარო ვაჭრობას
ჩაქვში სამი საცხოვრებელ სახლის და სახლოსნოს, ოზურგეთში ორი სახლის, სალიბაურში (ბათომი) ერთი სახლის და ბობოყვათში (ქობულეთი) ერთი სახლის ასაშენებლად.
დაბეჭდილი პაკეთები ერთეულების და საჯამო ფასების ჩვენებით, მიიღება ა | წ. 15 მარტის დღის 12 საათამდე.
დაწესებულებები და პირები, რომლებიც არსებული კანონდებულებით არ თავისუფლდებიან საწინდრის შეტანისაგან, მოვალენი არიან შემოიტანონ „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობის სალაროში საწინდარი სამუშაოთა ღირებულების 5 პროც. რაოდენობით და განცხადებას დაურთონ ქვითარი.
ცნობების და კონდიციისთვის მიმართეთ „საქართველოს ჩაი"-ს საგ.-საკ. განყოფილებაში ყოველდღე დილის 10-დან 12 საათამდე რუსთაველის პროსპექტი № 45
2—1 6. 714 გამგეობა

სარეწაო კოოპერატიული ნადი
„მარსი"-ს
ლიკვიდაციის კომისია
რომელიც შესდგება შემდეგი პირებისაგან: მეძუძე ბაგიროვისაგან, ხერგო აკოპიანისაგან და ოვანეს სოკომონიაცისაგან, და მოთავსებულია კომუნალურ ქუჩაზე № 60, ამით აცხადებს, რომ ვისაც აქვს რაიმე პრეტენზია ნადი „მარსის" მიმართ მას შეუძლია ასეთი წარუდგინოს სალიკვიდაციო კომისიას, არა უგვიანეს ორი თვისა, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. 1644

ქ. ხონსა და მის რაიონში
გაზეთ „კომუნისტი"-ზე
ხელის მოწერას
ამა მარტის 1-დან აწარმოებს მხოლოდ გამომცემლობის რწმუნებული
ილია ფალავა
2—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბილეის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელიბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78 13—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ ა | წ. 6 მარტს ივრის მუღანლოზედ დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა მამედ ხოჯაოღლის, რომელიც აღწერილია 3 თებერვალს 1928 წლ. მეცხვარეთა ამხ.-ბა „მწყემსი"-ს ვალში, თანახმად ქალ. თბილისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორის გაპროტესტებულ თამასუქისა 21 ოქტომბ. 1927 წ. № 3885. სია გასასყიდი ქონებისა: ნახევარი წილი წისქვილის, შეფასებული 500 მან. მთელი წისქვილი: შენობა სიგრძით 15 არშინი, სიგანე ხუთი არშინი, სამი თვალი ქვით, ბრუნავს ღერებით გაწყობილი და გამართულზედ მომბული ერთი პატარა ოთახით, დახურული კრამიტით. ვისაც ვაჭრობაში სურს მიიღოს მონაწილეობა უნდა დაიცვას სამოქ. საპრ. კოდექსის 312 მუხლი. 1640

საქართველოს ს.ს.რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ ა. წ. 28 თებერვალს მის მიერ დამტკიცებულია

საქართველოს კომუნალური ბანკის წესდება

შემდეგ საფუძველზე.

1) საქართველოს კომუნალური ბანკი არსდება იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიური მხარის აღდგენა-განვითარებას, კერძოდ კი: ა) მიაწოდოს საჭირო კრედიტი კომუნალური მეურნეობას, ბ) მიაწოდოს საჭირო კრედიტი მოსახლეობას ქალაქის ყოველი სახის აღმშენებლობის საჭიროებისათვის და გ) ხელი შეუწყოს სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა წარმოებებს მოკლე ვადიანი კრედიტებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთის, აჭარისტანის ს.ს.რ. და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიათა თან ჩართვით (§ 1).

2) ბანკის გამგეობა იმყოფება ქ. თბილისში (§ 2).

3) ბანკს უფლება აქვს, თანახმად აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებისა და საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისრის ნებართვისა, გახსნას საქართველოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებში და ადგილებში განყოფილებანი, სააგენტოები და ანგარანები (§ 3).

4) ბანკის ძირითადი თანხა განისაზღვრება 5.000.000 მანეთით, რა თანხაც შესდგება 100.000 სახელ. აქციების გამოშვებით, ღირებული თითო 50 (ორმოცდა ათი) მანეთად (§ 6).

5) ბანკის გამგეობა შესდგება 5 წევრი და 2 მათი კანდიდატებისაგან (§ 43).

6) პირველი საოპერაციო წლის განვლის შემდეგ გამგეობიდან გადის 1/3 მისი შემადგენლობისა. მეორე წლის შემდეგ კიდევ 1/3 შემადგენლობისა, და შემდეგ წლებში გადიან შემადგენლობიდან გამგეობის წევრები, რომელთა რწმუნების ვადამ გახვლო (§ 44).

7) გამსესხებელ გამხაღდებელი კომიტეტი ირჩევა 5 წევრის შემადგენლობით (§ 52).

8) შემფასებელი კომისია შესდგება არა ნაკლებ სამი წევრისა და მათი კანდიდატებისაგან (§ 54).

9) ბანკის საბჭო შესდგება 12 წევრისაგან, რომელნიც აირჩევიან იმ ვადით და გამოდიან საბჭოდან იმ წესით, როგორც გამგეობის წევრები (§ 58).

10) საბჭოს დადგენილების კანონიერათ ჩათვლისათვის საჭიროა საბჭოს არა ნაკლებ 5 წევრის დასწრება (§ 60).

საქართველოს ფინსახკომი—**მ. მგალობლიშვილი**
სავალიუტო სამმართველოს უფროსი—**ნ. ძოწიაშა**
სავალ. სამმართველოს უფრ. ინსპექტორი—**დ. კიკვაძე.**
6. 720

ბრძანება

სრ. საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებისადმი

№ 21

29 თებერვალი 1928 წ. ქ. თბილისი

§ 2

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ა | წ. 22 თებერვლის დადგენილებით (ოქმი № 6 § 16) ცაკ-თან არსებულ ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელ არმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ლიკვიდაციისა და თვით ლიკვიდაციის მოხდენა დაევალა ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას ამ დადგენილების შესასრულებლად დაინიშნოს სალიკვიდაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. **ლიუბა კალისტრატეს ასული ენუქიძე**, წევრები: ამხ. **იოსებ ილარიონისძე კობიაშვილი** და ამხ. **შიო გლახუნისძე დოლიძე** რომელთაც ევალებათ დაუყოვნებლივ შეუდგენ თავიანთ მოვალეობას.

სრ. საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების გამგე **ქ. ხომერიკი**
1633 კანცელარიის გამგე **ი. ბახტაძე**

გამოვიდა და იყიდება ბუზიკოვის სახელმძღვანელო
„კბილის სამკურნალო საპროთეზო ტეხნიკა"
ქართულ ენაზე, წიგნის ფასი 2 მან. 75 კაპ. წიგნის შეძენა შეიძლება სახელმწ. უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში
13—1 პლეხანოვის პროსპ. № 126 ა. ბოჭორიშვილთან.

კბილის ტეხნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით, რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.
კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.
25—18 ვ. მ.მუხაძე

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

დაიკარგა: დამზოგველ სალაროს წიგნაკი № 998 არსენა სირბილაძის სახელზე, ჩ. გ. 1634

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ ხერხებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82
25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს სამარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნ.ხ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—1

ექიმი მებრაგიანცი
ფილტვების [illegible] და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.
ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—9 25—10

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ხარიყალის ქ. № 1.) 25—1

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 65 და სამხედრო საღრიცხვო წიგნაკი № 20 ვლადიმერ ნანაძის სახელზე, ჩ. გ. 1635

დაკარგვა: ქორწინების მოწმობა ანა მიხეილის ასულის მურადოვის სახელზე, ჩ. გ. 1638

დაიკარგა მუშათა მთლიან კოოპ. საწევრო წიგნაკი № 8041 სარა ბარნაველის სახელზე, ჩ. გ. 1743

დაკარგვა: საბუღალტრო კურსების დამთავრების მოწმობა № 18, ბართლომე ფორჩხუას სახელზე, ჩ. გ. 1639

დაკარგვა სამხედრო აღრიცხვის ნუსხა № 87 ილიკოიოს სიხარულიძის სახელზე ჩ. გ. 1639

დაკარგვა: რძის ფულის მისაღები წიგნაკი № 46, გაცემული ლანჩხუთის დამზოგველ სალაროს მიერ ლავრენტი კოპალიანის სახელზე, ჩ. გ. 16 9

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64